„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2011 წ. მაისი * №29 * ფასი 1 ლარი







## დახვრეტილი წერილი ნაციონალური მოძრაობის აქტივს

გვ. 4-5

## გურამ შარაძის შვილმა პოლიტიკური თავშესაფარი შვეიცარიაში ჰპოვა

გვ. 7

## ეკლესია ელექტრონული პასპორტების წინააღმდეგ

გვ. 13

## საით მიუყვანეს სააკაშვილის იდეოლოგიურ–პროპაგანდისტული მანქანა?

ლეილა ცომაია



სიტყვის თავისუფლებისა და ელიტარული კორუფციის ისტერიით გაპრეზიდენტებული სააკაშვილი ზნეობრივად რყვნის და მორალურად ანადგურებს ახალგაზრდებს.

პრეზიდენტობის რვა წლის განმავლობაში მან შექმნა ღამის კლუბებსა და ღამის ქუჩებში დილამდე მობორიალე „თინეიჯერების“ თაობა, რომლებიც 9 წლის ასაკიდანვე ეწევიან სიგარეტს, სვამენ ლუდსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს, იკეთებენ ნარკოტიკებს, თანაცხოვრობენ გარყვნილობით და ავლენენ პარანოიდულ აგრესიას – კლავენ და ასახიჩრებენ ერთმანეთს. მოზარდ–ახალგაზრდების მკვლელობებით საქართველო პირველ ადგილზეა.

შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილმა საქართველოს თაობა წაართვა, თაობა დაუღუპა, თაობის გარეშე დატოვა ერი.

გართობის ინდუსტრიის მშენებლობის მანიაკალური ჟინით შეპყრობილმა ქვეყნის მეთაურმა, ახალგაზრდობას, ცხოვრების უმთავრეს მიზნად სექსი დაუსახა, რისთვისაც აამოქმედა მთელი პროპაგანდისტული მანქანა: პრესა, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერული თუ მობილური ტელეფონების პროგრამები, საიდანაც გახრწნილობა და გაუკულმართებული ინტიმების პროპაგანდა მიდის.

„სექსუალური ქალისა და სექსუალური მამაკაცის იმიჯი“ – აი, თვითდამკვიდრების უმთავრესი საზრისი, არსი, მიზანი, რითაც სააკაშვილი ასაზრდოებს ახალგაზრდობას. ამ „უმთავრესი იმიჯის“ პროპაგანდირების მიზნით, თვით საინფორმაციო პროგრამების ტელეწამყვანებიც კი ერთმანეთს პირდაპირ ეთერში ეთომარ–ეარშიყებიან (ჟარგონისთვის ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე) და თუ მიშა–პრეზიდენტმა უბრძანა, სექსუალური აქტის საჯარო დემონსტრირებასაც უკომპლექსოდ მოახდენენ. სამაგიეროდ, სააკაშვილის ფოავორიტ ჟურნალისტებს არ მოეთხოვებათ

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

ნიჭი და უნარი (პროფესიული ხმის ტემბრი, მეტყველების სიმკვეთრე და კულტურა), არამედ მჩქეფარე და ბლაგვი მეტყველებითაც იოლად გადიან ფონს. მერე რა, რომ მსმენელსა და მაყურებელს არ მოსწონს ისინი. მიშას მოსწონს!

„ავღანეთში მყოფ ჯარისკაცებს, მსოფლიოში ყველაზე სექსუალური ქალი ანჯელინა ჯოლი ეწვია“ – დღის საინტერესო თემად გადმოსცეს ჩვენმა საინფორმაციო პროგრამების ჟურნალისტებმა. სექსუალური ანჯელინა ჯოლი და მეტი, არავინ! ეს და მხოლოდ ესაა უმთავრესი „ტიტული და რეგალია“ მანიაკი სააკაშვილის ხელისუფლებისათვის, რომლის ტელევიზიებში, თვით ბიზნეს–კურიერებიც კი სექსუალური ჟესტიკულაციებითა და მიხვრა–მოხვრით გადაიცემა. აღარაფერს ვამბობთ დილის, შუადღის, ღამისა თუ შუაღამის ამაზრზენ შოუებზე, სადაც ახალი ტიპის „ევრო–ამერიკელი“ ქართველი სექსო–მანიაკები ღავღავებენ, მერამდენე ქმარი (ცოლი) ჰყავთ, მერამდენე საყვარელი, რომელი სექსუალური ორიენტაციისანი არიან.

აი, ამათ კი ჭეშმარიტად დასდგომიათ ბედნიერი თავისუფლების ხანა და იშვებენ და ხარობენ კიდეც!

კიკიმორა ნანა ჟორჟოლიანის – „ნანუკას შოუს“ – ხანგრძლივ და ყოველდღიურ რეკლამირებას ხომ წალეკილ–წაბილწული აქვს „იმედის“ ეთერი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის, კოდუას ცოლობა, თურმე საკმარისია, რომ კიკიმორა ნანუკას განუსაზღვრელი დრო მიეცეს ტელევიზიაში თავისი იაფფასიანი შოუს წასაყვანად, რისთვისაც ოლიგარქი ბანკირ–ბიზნესმენები სპონსორობას არ იშურებენ. მშიერი და ავადმყოფი ადამიანებისათვის კი, ერთი ლარიც არ ემეტებათ და კარზე მიმდგარ უპოვართ კაცუნებივით ემალებიან.

სააკაშვილის „ჯიბის ტელევიზიების“ საინფორმაციო დროის მეტი ნაწილი ჰოლივუდური კინოფილმების, სხვადასხვა სახის გამოფენების, „დეგუსტაციების“, ტურისტული ინფრასტრუქტურებისა და მოდის ჩვენებებს ეთმობა, რაც მარტოოდენ მდიდართა განცხრომა და ფუფუნებაა. ამ მოჩვენებით კეთილდღეობაში კი სრულიად გამქრალი და მივიწყებულია მშიერი და ღატაკი ხალხი, რომელიც ჩვენი მოსახლეობის სამოცდაათ პროცენტს შეადგენს. თუმცა, თითქოს, ქვეყანაში ისინი სულაც არ არსებობენ. საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკით კი, სააკაშვილის საქართველო, ბავშვთა შიმშილით სიკვდილიანობისა და შიმშილ–სიღატაკით 20–დან 60 წლამდე ადამიანთა თვითმკვლელობებით პირველ ადგილზეა. თუმცა, სააკაშვილის მაძღარი ხელისუფლების ხროვას, არც ეს ადარდებთ.

სააკაშვილის ანტიადამიანური ხელისუფლების ხელში ხალხს წართმეული აქვს ჯანმრთელობის გამოკვლევისა და დაცვის, აგრეთვსე საბინაო უფლება, ქვეყანა ჩამხრჩვალია საშინაო და საგარეო ვალებში, ხოლო მომხვეჭელი სააკაშვილის პირადი ქონება სამ მილიარდ დოლარამდეა. აღარაფერს ვამბობთ მის პარლამენტარებსა და მთავრობის წევრების ასეულ ათასობით ფულად და სხვა მატერიალურ ქონებებზე.

ამ ღატაკ და შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ ქვეყანაში ყვავის ელიტარული კორუფცია და უსამართლობა. პრივილეგირებული ნაციონალები გაბატონებულნი არიან ყველა დარგსა და ყველა სფეროში. საზოგადოება დაყოფილი ჰყავთ „ჩვენიანებად“ და „სხვისიანებად“. შესაბამისად – „ჩვენიანს“ ყველაფერი, „სხვისიანს“ არაფერი. „სხვისიანებმა“ კაზინოებსა და ტოტალიზატორებში აზარტული თამაშობებით მოიპოვონ ფული, გაკოტრდნენ, ერთმანეთს თავ–პირი დაამტვრიონ, მოკლან ან მოიკლან თავი. მცირე ბიზნესის წამოწყების იმედით ბანკის ვალებში ჩაეფლონ, უპოვარ–უსახლკაროებად იქცნენ (შეიქმნან) და ურვას მიეცნენ. სასოწარკვეთილთ, წელსა და ხერხემალში გადატეხილებს ხომ ბრძოლის თავი აღარ ექნებათ!

ამიტომაც იღიმის მუდამ ცბიერი მიშა და აღმა–დაღმა თვითკმაყოფილი დანავარდობს.

მის მძულვარე აგრესიას აღძრავს ქალაქის ძველი და ისტორიული შენობები და ყიდის ყველას და ყველაზე (ოღონდ ვინმემ იყიდოს), თუნდაც გადამთიელზე. ეკლესიების გაყიდვის უფლებაც რომ ჰქონდეს, მათაც ხელაღებით გაყიდდა, რამეთუ იდეურობისა და სულიერებისაგან დაცლილ ამ რეაგენტისათვის ისინი მხოლოდ შენობა–ნაგებობებია და არა ისტორიულ–კულტურული მემკვიდრეობა.

ტელევიზიები კი ყველაფერზე შემგუებლურად დუმან, ვინძლო მიშა არ გააბრაზონ. მაამებლობა იმდენად გაითავისეს ჩვენი ტელევიზიების მესვეურებმა, რომ სრულიად დაივიწყეს, რომ ისინი სიმართლის მსახურები არიან.

პარლამენტის ისტორიული შენობის გაყიდვა და პარლამენტის ქუთაისში გადატანა სწორედ თავქარიან სააკაშვილს შეიძლებოდა მოსურვებოდა მხოლოდ. მაგრამ, ნუთუ მმართველ ნაციონალურ მოძრაობაში არავინ, სულ არავინაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, კანონიერებისა და სამართლიანობის შინაგანი განცდის მქონე პოლიტიკოსი ან მთავრობის პირი, რომ გააპროტესტოს სააკაშვილის ეს თავნება გადაწყვეტილება? ნუთუ ყველანი ერთნაირად ლაჩარ–ცვედანნი და გასვრილ–გაყიდულები არიან, რომ ხმის აწევისა ეშინიათ?

იქნებ, ცბიერმა სააკაშვილმა, სწორედ ამ მოსაზრებით შეარჩია თავისი გუნდი ნაკლული ნიშნით (არასრულფასოვანი გარეგნობისა და დეფექტური მეტყველების) და მაღალი თანამდებობებიც უბოძა, რომ ისინი ასე მორჩილი და მხოლოდ ხელქვეითები ყოფილიყვნენ? ნუთუ ყველაფერს უნდა შეეგუონ? ტერიტორიების დაკარგვას, მიწების გაყიდვასა და მისხალ–მისხალ ჩამოთლასაც აღმოსავლეთ–დასავლეთ–ჩრდილოეთის თუ სამხრეთის საზღვრებზე. ოკუპანტების თავისუფალ თარეშსა და საქართველოს მოსახლეობის დაწიოკება–დატყვევებასაც თვით საქართველოს კონტროლირებად საზღვრების შიგნით. მარტოოდენ საპროტესტო ნოტითა და დეკლარაციებით უნდა შემოვიფარგლოთ? სად არის აქ სახელმწიფო ინსტიტუტები თავისი სამართლებრივი და სამხედრო ძალმოსილებით? ნუთუ ყველა ისინი მხოლოდ სააღლუმოდ არიან შექმნილ–აღჭურილი და სხვა ფუნქცია წართმეული აქვთ?

აკი, გამოჩნდა კიდეც აგვისტოს ომში ჩვენი ჯარისა და სამხედრო ტექნიკის სრული უუნარობა და მთავარსარდალ სააკაშვილის ამაზრზენი სილაჩრე.

როდემდე უნდა გვრცხვენოდეს ასეთი პრეზიდენტისა და ასეთი ჯარის, როდემდე?!

სააკაშვილის „ჯიბის ტელევიზიები“ კი კვლავ აკეთებენ (აქ სწორედ ეს მანიპულაცია უნდა ვიხმაროთ) გადაცემებს „კარგად შეიარაღებულ და საიმედოდ გაწვრთნილ“ ქართულ არმიაზე. ნებისმიერ ქართველს კი სულით ხორცამდე შესძრავდა და სირცხვილითაც დაწვავდა ინტერნეტით გავრცელებული აგვისტოს ომში ტყვედ აყვანილი ქართველი ჯარისკაცების კადრები, რომლებიც მორჩილად ასრულებენ ოკუპანტთა მოთხოვნას ფეხით გათელონ საქართველოს სახელმწიფო დროშა. ხოლო მტირალი და შიშით დამფრთხალნი, როგორ უარყოფენ მებრძოლობას.

მთელ საქართველოს და მსოფლიოსაც, აგრეთვე ახსოვს გავრცელებული კადრები დაჩოქილ–გაშიშვლებული და იარაღაყრილი ქართველი შინაგანი ჯარისკაცებისა ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროსაც.

აშკარაა, რომ ქართველი ჯარისკაცები, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვაზე ყველაზე მეტი ფინანსები იხარჯება, ფიზიკურად სათანადოდ არ იწვრთნებიან, იდეურად და მორალურად კი, – საერთოდაც არა!

ასეთი წვრთნა და მზაობა უცხოა თავად მთავარსარდლისთვის, რომელიც ქვემეხების გრუხუნზე, რეზერვისტივით იკუნტება და შიშით კანკალებს. სამაგიეროდ, აღლუმებზე ძლევამოსილ მთავარსარდლად წარმოგვიდგება.

პომპეზური ტელეჩვენებით ვიხილავთ კადრებს.



საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR’S PARTY OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

## ჩერქეზთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით

20 მაისს გამართულ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიიღეს დოკუმენტი 150 წლის წინათ იმპერიალისტური რუსეთის მიერ განხორციელებული ჩერქეზების მასობრივი გენოციდის შესახებ.

ნიშანდობლივად მივიჩნევთ, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას ხმა არ მისცა, ან სხდომას საერთოდ არ დაესწრო საპარლამენტო ოპოზიცია (თარგამაძე, ბაღათურია, ცაგარეიშვილი...), რომლებმაც სატელევიზიო კომენტარებში გენოციდის აღიარების ფაქტი რუსეთის გაღიზიანებისა და მის წინააღმდეგ მიმართულ გადაწყვეტილებად შეაფასა.

საპარლამენტო ოპოზიციის ამგვარმა დამოკიდებულებამ საბოლოოდ გამოააშკარავა მათი პოლიტიკური ორიენტაცია, რაც ესოდენი საფრთხის შემცველია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, ცხადყო, რომ ისინი რუსეთის საყრდენს წარმოადგენენ საქართველოში.

პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით სრულიად არასაიმედო ვითარებაა არასაპარლამენტო, ქუჩის ოპოზიციაშიც, რომლებიც, თითქმის ერთიანად რუსეთზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკურ ორიენტაციასთან, რომელმაც ოფიციალურად სცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამჟამად იძულებით კონსერვაციაში მყოფი ზვიად განმათავისუფლებლის პარტია მხარს უჭერს და მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 20 მაისს, ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების ფაქტს.

ამასთანავე ვადასტურებთ, რომ ზვიად განმათავისუფლებლის პარტია კვლავაც რჩება სააკაშვილის კაპიტულანტური და ანტიეროვნული ხელისუფლების შეურიგებელ და მიუმხრობელ ოპოზიციად და სააკაშვილის ხუნტისმემკვიდრე ხელისუფლებას კვლავაც არ ვცნობთ ლეგიტიმურ და კანონიერ ხელისუფლად, არამედ მხოლოდ ვაღიარებთ, როგორც ფაქტობრივს.

**პარტიის თვმჯდომარე**

*ლეილა ცომაია*

**21 მაისი, 2011 წელი**



# „ნაციონალური“ განაჩენი მშრომელი კლასებისთვის

მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიურ „დროშაზე“ არის ორი „წარწერა“ „ბაზარი ღმერთია“ და „ადამიანი ბაზრისთვის“. ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა ნათლად დასტურდება ნაციონალური რეჟიმის მიერ მშრომელი კლასების მიმართ გატარებული პოლიტიკით.

საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, მაგრამ მისი მმართველი რეჟიმისთვის ეს მხოლოდ საკუთარი ანგარებითი ინტერესებისთვის გამოსაყენებელი ინსტიტუტია. ამის დასტურია ისიც, რომ 2004 წლიდან გაერომ 28 აპრილი ოფიციალურად გამოაცხადა სამუშაო ადგილებზე დაღუპულ და დაშავებულ მუშაკთა ხსოვნის დღედ. გაეროს წევრმა ბევრმა ქვეყანამ ამ დღის აღნიშვნა საკანონმდებლო დონეზე დააკანონა, მაგრამ არა „ნაციონალურმა“ რეჟიმმა.

სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალურმა“ გუნდმა პარლამენტში „სამართლებრივი კლიმატისათვის“ ანტიჰუმანური და ანტისოციალური „შრომის“ კოდექსი მიიღო. „ნაციონალებმა“ დამსაქმებელი ტირანად აქცია, მას შეუძლია ისე მოექცეს დასაქმებულს, როგორც მოეპრიანება: როცა უნდა გააგდოს, როცა უნდა შეუმციროს ხელფასი, როცა უნდა გაუზარდოს სამუშაო დრო, დაითხოვოს და არ მისცეს კომპენსაცია, არ აუნაზღუროს საავადმყოფო ფურცელი, არანაირი შეღავათი არ მისცეს მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოზე მყოფს, არ ჩაატაროს საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების გამოკვლევა და აღრიცხვა.

მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანძისა და ზურაბ ნოღაიდელის ერთობლივმა ძალისხმევამ შრომით ურთიერთობებში „ნაყოფი“ გამოიღო და ეს სისხლიანი „ნაყოფია“.

მარტო შარშან, 2010 წელს საჯაროდ ცნობილი გახდა სამუშაო ადგილებზე 81 მშრომელის დაღუპვის ფაქტი, მათგან 21 დაიღუპა ჯგუფურად, დაშავებულთა რიცხვმა კი 168–ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ეს ციფრები ეხება მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულებს, მაშინ როცა საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია რამდენი თვითდასაქმებული დაიღუპა და დაშავდა.

მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ნოღაიდელის ძალისხმევით ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორიც არის მშენებლობა, სამშენებლო მასალების წარმოება, მეტალურგია, სამთო და ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა, ნავთობის, გაზისა და ნახშირის მრეწველობა, კავშირგაბმულობა, რკინიგზა თავისუფლად შეიძლება სასიკვდილო რისკის ზონებად გამოცხადდეს. განსაკუთრებით ტრაგიკული ვითარებაა ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, სადაც მშრომელები პერმანენტული სასიკვდილო პირობების ქვეშ მუშაობენ. სამაგიეროდ მათ აქვთ „შრომის თავისუფლება“, ანუ თუ ვთარგმნით ამ სამართლებრივ „ტერმინს“ – იყვნენ მშიერნი მიწის ზემოთ ან დაიღუპონ მიწისქვეშ.

„ნაციონალური“ გუნდის ერთ–ერთმა „თვალსაჩინო“ წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა არა ერთხელ ნიშნის მოგებით აღნიშნა, რომ „ნაციონალების“ დიდი „დამსახურებაა“ საქართველოში შრომის დაცვაზე ზედამხედველი და მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსტიტუტის – შრომის გენერალური ინსპექციის გაუქმება. 2010 წელს მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურიც გაუქმდა, რეგიონებსა და სახიფათო ობიექტებზე ამ სამსახურის მუშაკები აღარ მოქმედებენ.

ამ ყველაფერს „ნაციონალები“ „რეფორმატორობით“ ამართლებენ, რაც სიცრუეა. მაგალითისთვის შორს წასვლა არ გვჭირდება, ავიღოთ თუნდაც ესტონეთი, რომელიც საქართველოზე, არც მოსახლეობით და არც ტერიტორიით დიდი არაა, არც მისი ეკონომიკა არის შესული მსოფლიოს დიდ ოცეულში. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ესტონეთში შეიქმნა შრომის ინსპექცია, რომელიც 1918–1940 წლებში წარმატებით ფუნქციონირებდა, შემდეგ იყო თითქმის ნახევარსაუკუნოვანი საბჭოთა პერიოდი. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ესტონეთმა მიიღო კანონი „შრომის დაცვის შესახებ“, რითაც მან საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით კიდევ უფრო გაზარდა შრომის ინსპექციის კომპეტენცია, რომელმაც დამოუკიდებელ ესტონეთში საბჭოთა ესტონეთისგან განსხვავებით ტექნიკურ ზედამხედველობას, შრომის უფლებებზე ზედამხედველობაც დაიმატა. მეტიც, „ვარდების რევოლუციის“ წელს, 2003 წელს მას კიდევ უფრო გაეზარდა უფლებამოსილება და იგი ინსპექციიდან დეპარტამენტად გარდაიქმნა, მისი ქსელი გავრცელდა მთელს ქვეყანაში სრულად და დეპარტამენტი და მისი ყველა სტრუქტურა აღიჭურვა XXI საუკუნის ყველაზე თანამედროვე საშუალებებით. ესტონეთის პარლამენტმაც შესაბამისად მიიღო ახალი კანონი „შრომის დაცვისა და ჰიგიენის“ შესახებ. ეს მიიღო ისეთმა პარლამენტმა, სადაც მყარად მოქმედებს „მემარჯვენე–ცენტრისტული კოალიცია“ (ამას იმიტომ ვაზუსტებ რომ „ნაციონალების“ ფანებმა არ იფიქრონ ესტონეთში „მემარცხენეთა“ პოლიტიკური ტრიუმფი მომხდარაო).

საქართველოში კი, რაც იყო ისიც „ნაციონალებმა“ დაანგრიეს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 2006 წლამდე მოქმედი შრომის სახელმწიფო ინსპექცია მცირერიცხოვანი ორგანიზაცია იყო, მასში ოთხი ათეული ადამიანი მუშაობდა და მისი სახელფასო ფონდი და სამეურნეო ხარჯები 500 ათასი ლარი იყო წელიწადში. ასე რომ ამ დაწესებულების გაუქმებით სახელმწიფო




ბიუჯეტმა რაღაც „გრანდიოზული“ ტვირთი სულაც არ მოიხსნა. მართალია ეს პატარა ორგანიზაცია არ იყო საკმარისი საქართველოს სიდიდის მქონე ეკონომიკისათვის, მაგრამ წლის განმავლობაში 1600 ობიექტზე ტარდებოდა წინმსწრები ღონისძიებები, უყურადღებოდ არ რჩებოდა უბედური შემთხვევები, თვეში 50–მდე დამსაქმებელი გამოვლენილი დარღვევებისათვის იღებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რაც პრევენციულ ზეგავლენას ახდენდა საწარმოებში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

„ნაციონალებმა“ წაართვეს პროფკავშირებს უფლება პირდაპირი კონტროლი გააჩნდეთ შრომის უსაფრთხოებაზე. მეტიც „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ კანონპროექტით (რომელიც ძალაში შევა 2013 წელს) ძალადაკარგული გახდება შემდეგი კანონები: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“, შედეგად მივიღებთ საფრთხეში ყოფნის სრულ თავისუფლებას.

„ნაციონალურმა“ პოლიტიკამ მოსპო სამუშაოზე მიღებამდე წინასწარი და შემდგომი პერიოდული გასინჯვების სისტემა, სამუშაოზე მიღებამდე მუშაკთა წინასწარი და შემდგომი პერიოდული სწავლების სისტემა. ეს ორი რამ კი შემდგომ იწვევს სულ უფრო და უფრო მზარდ შრომით ტრავმატიზმს. სამედიცინო მომსახურების სიძვირის გამო მშრომელი ვერ იტარებს გამოკვლევებს, რის გამოც დაავადება თავს იჩენს უკვე მის ბოლო სტადიაში და მუშაკი ხდება ინვალიდი, ან სათანადო პერმანენტული მომზადების გარეშე იგი სწრაფად ხდება ტექნიკის ან ტექნიკური პროცესის მსხვერპლი, შედეგად–ინვალიდი.

მიხეილ სააკაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ და ზურაბ ნოღაიდელმა ზიანის ანაზღაურების ისეთი წესი დაუდგინეს მშრომელებს, რომ მასზე აბუჩადამგდების თქმაღაა შესაძლებელი. ზიანის ანაზღაურება დამსაქმებელსა და დასაქმებულის პირდაპირი ურთიერთობის სიბრტყეშია გადატანილი, წარმოებაში მიღებული ზიანის გამო სარჩოს დანიშვნისა და ანაზღაურების საქმის გადაწყვეტა, შემთხვევის გამოძიება და სასამართლოში განხილვა 4 წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. წესის მიხედვით საადვოკატო მომსახურების ფინანსური და ორგანიზაციულ–ტექნიკური მხარე დაზარალებული მუშაკის მხრებზეა. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ ინცინდენტის გამოძიებას სჭირდება თითქმის 10 თვე, აპელაციისთვის საჭიროა 6 თვე, კასაციისთვის კიდევ 6 თვე, გადაწყვეტილების ჩაბარებისთვის 2 თვე, განჩინების ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის 4 თვე, იძულებითი აღსრულებისთვის კიდევ 2 თვე. ეს ყველაფერი კი ხდება საუკეთესო შემთხვევაში, მაშინ როცა დაზარალებულ მუშაკს იცავს ის პროფკავშირი, რომლის წევრიც იგი იყო საწარმოში ტრამვის მიღებამდე. არაა ძნელი წარმოიდგინო თუ რაოდენ ტრაგიკულია დღეს 81 დაღუპული დ 168 მძიმედ დაშავებული მუშაკების ცოლ–შვილისა და მშობლების ყოფა. აი ამის ფონზე საქართველოში არსებობს ორგანიზაცია „ახალი ეკონომიკური სკოლა–საქართველო“, რომლის საჯაროდ ხილული მესვეურები პაატა შეშელიძე და გიორგი ჯანდიერი ასევე საჯაროდ მოითხოვენ საერთოდ გაუქმდეს „შრომის კოდექსი“, კანონი „პროფკავშირების შესახებ“ და კონსტიტუციით აღიარებული „გაფიცვის უფლება“. „თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსი ეს საბაზრო ფუნდამენტალისტების ფორმირება, მშრომელებს და საერთოდაც სახალხო მასებს, მხოლოდ „მოლაპარაკე ინსტრუმენტებად“ განიხილვენ და მზად არიან ადამიანები შესწირონ მათთვის სათაყვანო ბაზარს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სრული სიყალბეა იმის განცხადება, რომ თუ გვინდა ვიყოთ ევროპული საზოგადოების წევრი ასეთი დოგმებით უნდა ვიცხოვროთ და დავიხოცოთ. ეს არაა ასე. თანამედროვე ევროპაში საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების კომპენსაციების სქემები ითვალისწინებს დამსაქმებელთა რესურსების გაერთიანებასა და სახელმწიფოს მხრიდან დაზღვევის სქემების სისტემატიზებას. ეს დასაქმებულს აძლევს ეფექტურ სოციალურ დაცვას, დამსაქმებელს აცილებს ზედმეტ დანახარჯებს.

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას მიღებული აქვს № 102 და № 121 კონვენციები, რომლებიც ადგენენ სოციალური უზრუნველყოფისა და კომპენსაციების მინიმალურ ნორმებს საწარმოო ტრავმების დროს.

№ 102 კონვენცია „სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ“ შეეხება სოციალური უზრუნველყოფის ყველა მხარეს – არა მხოლოდ კომპენსაციებს საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევაში, არამედ დახმარებებს ავადმყოფობის, უმუშევრობის, მოხუცებულობის, ოჯახური მდგომარეობის, ბავშვის დაბადების, შრომის უნარისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაშიც, ასევე საოჯახო და მკურნალობისათვის დახმარებებს. კონვენცია გულისხმობს სოციალური უზრუნველყოფის სქემების მართვაში დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლების მონაწილეობას.

№ 121 კონვენციაში „საწარმოო ტრავმების კომპენსაციის შესახებ“ დეტალურად არის გაწერილი საწარმოში უბედური შემთხვევებითა და დაავადებებით მიყენებული ზიანის კომპენსაციების სქემების ძირითადი პრინციპები. კონვენცია ადგენს, რომ საწარმოში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების ხარჯების ანაზღაურება ეკისრებათ დამსაქმებლებს. კომპენსაცია უნდა გაიცემოდეს შრომის უნარის დაკარგვის მთელი პერიოდის განმავლობაში. კონვენცია კრძალავს ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას. ოჯახის მქონე მუშაკისთვის მინიმალური კომპენსაცია უნდა შეადგენდეს მისი ხელფასის არა ნაკლებ 50%–ს, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში კი არა ნაკლებ 40%–ს. გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის მიხედვით საცხოვრებელი სახლიდან სამუშაო ადგილისკენ და სამუშაო ადგილიდან სახლისკენ მოძრაობისას მომხდარი შემთხვევა ითვლება საწარმოში მომხდარ შემთხვევად. კონვენციის მიხედვით საწარმოო უბედური შემთხვევისა და პროფესიული დაავადების დარღვევა მოქმედებს მუშაობის პირველი დღიდანვე. დაზღვევა არაა დამოკიდებული სადაზღვევო სტაჟზე. კონვენციის ნორმები და წესები თანასწორად ვრცელდება ქვეყნის მოქალაქეებზე და მიგრანტ მშრომელებზეც.

ევროპაში ეს ნორმები უნივერსალურ ნორმებად არის აღიარებული და შრომითი სამართალი ამ ქვეყნებში ამ ნორმების გათვალისწინებით დგება.

მაგრამ „ნაციონალთა“ გუნდს პარლამენტში არ სურს ამ კონვენციების რატიფიცირება. მათ არ სურთ არც № 81 კონვენციის „შრომის ინსპექციის შესახებ“ რატიფიცირება. ამ, ვითომცდა „ნაციონალურ ინტერესებზე“, ვითომცდა „მოამაგეებს“ კარგად მოეხსენებათ, რომ მათმა „შრომითმა სამართლმა“ ქვეყანაში გააბატონა უმუშევრობა და ვინც მუშაობს ძალიან ხშირად მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში. ეს

დასასრული მე-5 გვ.

# დახურული წერილი ნაციონალური მოძრაობის აქტივს

**ამხანაგებო!**

ნაციონალური მოძრაობის მთავარი, რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც დღეის აქეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწოდება, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე იწყებს მის თითოეულ წევრთან გასაუბრებას, აზრთა გაზიარებასა და რაც პარტიისათვის ყველაზე მთავარია, ქვემოდან მომავალი ინიციატივების მოსმენას.

შეგახსენებთ – ცენტრალური კომიტეტის წერილი – უნდა განიხილოთ და შეისწავლოთ მხოლოდ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წევრების მონაწილეობით, მიღებიდან ორი საათის განმავლობაში. წაკითხვიდან 30 წუთის შემდეგ სათანადო აქტით, სამი აქტივისტის ხელისმოწერით უნდა განადგურდეს.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ გასულ წლებში ჩვენს მიერ ჩატარებული მუშაობა – მთლიანობაში შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად და შემოსულია წინადადება – შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. აღსანიშნავია ცალკეული მიმართულებები, სადაც ჩვენ განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ.

ასე, მაგალითად – ამხანაგებო!

პარტიის ზედა ეშელონებში და ჩვენს მიერ დაკომპლექტებულ მთავრობაში, ჩვენდა სასახელოდ არა გვყავს არცერთი წევრი – რამოდენიმე მილიონი არ ქონდეს საბანკო ანგარიშებზე, რაც შეეხება ჩვენს ზოგიერთ გამორჩეულ ამხანაგებს, ამის შესახებ ტელევიიზითაც მოისმენდით, პრეზიდენტის ჩათვლით – კარგა ხანია მილიარდიანი ანგარიშებიც ჩვეულებრივ მოვლენად ექცათ.

ეს ყველაფერი იმ სწორად გათვლილი და დაუღალავი შრომის შედეგია, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი – თავისი შეუცვლელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებს, ასეთ პასაჟში – მისი სახელისა და გვარის მოხსენიებისას, სასურველია დარბაზიდან ისმოდეს ხანგრძლივი და მქუხარე ოვაციები, ფეხზე წამოდგომითაც.

ამხანაგებო!

ვარდების რევოლუციის მონაპოვარს დაცვა სჭირდებოდა, ჩვენი ახალგაზრდა ნაციონალური სახელმწიფო უსათუოდ დაიღუპებოდა – მას, რომ არ შესძლებოდა ჩვენს მიერ ჩამოგდებული შევარდნაძის ჩინოვნიკების კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის მცდელობის აღკვეთა. ამისათვის მასწავლებელმა შექმნა – ვარდების რევოლუციის ისეთი მახვილი, როგორიცაა კუდი და კუდუსუნი, რომლებიც დღესაც წარმატებით იცავენ ჩვენს ხელისუფლებას სხვადასხვა ჯურის არამზადების, ხალხისა და ოპოზიციის შემოტევებისაგან. ამ ორგანოებში საქმიანობა თითოეული ჩვენი პარტიის წევრისთვის საპატიო მოვალეობა და მუდმივი სურვილი უნდა იყოს.

ჩვენ მთლიანად და საბოლოოდ დავამსხვრიეთ შევარდნაძის სასამართლო წყობილება და მასთან ერთად მითი – ჩვენ ხელში საქართველოში სამართლიანი სასამართლოს გამართვის შესახებ. შევქმენით ჩვენი ინტერესების დამცველი, ახალი სასამართლო სისტემა, რომელიც აქტიურად ჩადგა ხელისუფლების სამსახურში და მთელი სიმკაცრით შანთავს მოწინააღმდეგე კლასებსა და ელემენტებს.

როგორც არასდროს – გავაძლიერეთ, ჩავაცვით და დავაპურეთ ჯარი და პოლიცია. დღეს, ეს ძალოვანი სტრუქტურები – ასევე ერთგულად დგანან ჩვენი ხელისუფლების სადარაჯოზე.

ჩვენს მიერ მოწყობილ ე.წ. არჩევნებში – ოპოზიციის ზოგიერთი ნაწილის მიერ გამოყენებული ბოიკოტის ტაქტიკა ჩაიფუშა, ვინაიდან ბელადის მითითებით მეორე ნაწილი – მოვქრთამეთ, მოვისყიდეთ, ახალი რეალობების გათვალისწინებით ჩვენს სამსახურში ჩავიყენეთ.

ამხანაგებო!

ამასთან ერთად, ჩვენს მუშაობაში – ჯერ კიდევ შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომელთა გამოსწორებისათვის ჩვენ ყველამ ერთად ძალისხმევა და მონდომება არ უნდა დავიშუროთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი – ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ჩვენს რიგებში შემოაღწიეს და ნაციონალურ მოძრაობას თავის დროზე მიეტმასნენ, ისეთი მერყევი სუბიექტები, როგორებიც არიან ვოლუნტარისტ–უკლონისტები: კობა დავითაშვილი, კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური, ნინო ბურჯანაძე და სხვები. მათ, თავიანთი უპასუხისმგებლო და გაუაზრებელი მოქმედებებით, მოინდომეს – პარტიის დასახული მიზნებიდან გადაცთომა, მისი გენერალური ხაზიდან გადაყვანა. ქვედა პარტიულ რგოლებში შეუდგნენ ჩვენი ბელადის მთელი რიგი საკვანძო დებულებებისა და გადაწყვეტილებების კრიტიკას, აქ დასაყრდენის მოპოვების მიზნით, მაგრამ ვოლუნტარისტ–უკლონისტების ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა, ისინი იდეურად განადგურდნენ. მასწავლებელმა ყველა დაუნდობლად მოკვეთა პარტიასა და ნაციონალურ მოძრაობას.

ასევე, ჩვენ შორის გამოჩნდნენ ბუხარინის მსგავსი ვერაგი ე.წ. მოღვაწეები, რომლებიც გვიკიჟინებენ – თითქოს ჩვენი პარტიული ხაზი მკაცრია და ხისტი. ასეთი გამოვლინებები ძირშივე უნდა მოიკვეთოს. ზოგიერთი ჩვენი წევრი ლიბერალი – ისე დაეცა, რომ მოითხოვენ ხალხს შევუმციროთ გადასახადები, შევკვეცოთ ჩვენი პარტიის წევრების კეთილდღეობაზე გამოყოფილი ასეულობით მილიონი, ჩვენი კარის მომღერალ–მოცეკვავეებზე ჰონორარები – საერთოდ გავაუქმოთ, ჩვენს მიერ მითვისებული ქონების წარმომავლობაზე გამოძიება დავიწყოთ და ხალხს დავუბრუნოთ. ისინი ივიწყებენ, რომ ასეთი მოთხოვნები – წინააღმდეგობაში მოდის ნაციონალური მოძრაობის მთავარ მიზნებთან და ამოცანებთან – პარტიის თითოეულ წევრს მისი თანამდებობისა და უნარის მიხედვით. ჩვენმა ლიდერმა მათ არაერთხელ მოუწოდა გამოფხიზლდნენ, შეწყვიტონ ძირგამომთხრელი საქმიანობა პარტიაში და მტრის წისქვილზე წყალს ნუ დაასხამენ. ისინი დროზე თუ არ მოეგებიან გონს, პარტია მათ თავის რიგებში ვეღარ მოითმენს და სათანადო ადგილსაც მიუჩენს ისტორიის სანაგვეზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი – პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას საგანგებოდ მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრძოლა ჩვენი რიგების სიწმინდისათვის ამით არ დამთავრებულა. მტერს არ ძინავს. ის ყველა ხელსაყრელ მომენტს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, რომ ახლა შიგნიდან გატეხოს ჩვენი მონოლითურობა.

ყოელივე ამან ჩვენი ბელადი იმ აზრამდე მიიყვანა – შესაძლოა პარტიაში მასობრივი წმენდა გახდეს საჭირო. ამიტომ პარტიის ქვედა რგოლებში უნდა გააქტიურდეს მუშაობა ჩვენს რიგებში შემოღწეული მერყევი და არასანდო პირების გამოსავლენად, რომლებიც სირთულეების წინაშე შეიძლება შედრკნენ და ხალხის მხარეზე გადავიდნენ. უნდა გაძლიერდეს თვალთვალი და შიდა კონტროლი. თითოეული ასეთი ფაქტი საგანგებო მსჯელობის საგანი გახადეთ და დაუყოვნებლივ აცნობეთ ცენტრალურ კომიტეტს.

ამხანაგებო!

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არ არის აღმოფხვრილი არაორგანიზებულობა, თვითდინება და უკონტ-



როლობა ახალგაზრდა პარტიული აქტივის სწავლებაში. კრიტიკას ვერ უძლებს ამ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა თავის ახალგაზრდა წევრებთან. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა – აღნიშნული პატარა ამხანაგები ბაძავენ რა ჩვენი პარტიის ლიდერებსა და სხვა უფროს მუშაკებს, უშნოდ ელორლილავებიან ქალებსა და გოგოებს ბანაკების გარეთ. ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვუწოდეთ ცოტა წამოზრდილიყვნენ და შემდგომ ხანგრძლივ მივლინებებს მოვუწყობდით – ჩვენს მიერ უკვე აპრობირებულ ქვეყნებში: უკრაინაში, საფრანგეთში, შვეციასა და პორტუგალიაში. მაგრამ პატარა ამხანაგები იჩენენ მოუთმენლობას, სულწასულობას რითაც დამატებით თავსატეხს უჩენენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ქვედა რგოლებში აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებით უნდა შეეცადოთ მდგომარეობის განმუხტვას. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გეძლევათ გამოიყენოთ ქიმიური საშუალებები და უკიდურეს შემთხვევაში ორი აგურის ეფექტური ზომები.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა თავის დროზე – ჩვენი პატარა ნაციონალების მისწრაფებისა და სურვილის გათვალისწინებით, რასაც ესენი ოვაციებითა და ყიჟინით შეხვდნენ, მოითხოვა ახალგაზრდული, ნაციონალური ბანაკების შექმნა, იქვე ბუჩქებში კოტრიალის პერსპექტივით. მსურველთა დიდი რაოდენობით მოზღვავების გამო პრეზიდენტმა შემდგომ ბუჩქებს, ჩირგვებიც დაამატა. თუმცა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩირგვის სიმაღლე ჰორიზონტალურად ერთმანეთზე დაწოლილი პატარა ნაციონალების სიმაღლეზე დაბალი არ უნდა ყოფილიყო – ზემოთ–ქვემოთ მოძრაობის გათვალისწინებით.

სამწუხროდ პრეზიდენტის ეს კეთილი ნება ხშირად ირღვევა, ჯერ კიდევ მცირეა ბანაკების რაოდენობა, სათანადო მუშაობა არ მიდის მათ გარშემო ბუჩქებისა და ჩირგვების მოშენებაზეც, რაც საბოლოო ჯამში პატარა ნაციონალების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ფინანსები – ჩვენი პარტიისათვის იყო, არის და იქნება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი. ფული ჩვენთვის წმინდა საუნჯეა, რომლის შოვნის პერსპექტივასაც არანაირი არჩევნებით, თავზე დაყენებული არანაირი დამკვირვებლებით – მაინც არასოდეს არავის დავუთმობთ. პრეზიდენტს ის განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

გრიფით საიდუმლო

თუმცა იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ბოლომდე აქაც ვერ მივაღწიეთ სრული პარტიული კონტროლის დაწესებასა და ერთიანობას.

პრეზიდენტმა არაერთხელ გააკეთა მკაცრი განცხადება, რომ ყველა თანხის აკუმულირება უნდა მოხდეს ბიუჯეტში. შემდეგ უკვე ვინ რამდენი და როგორ წაიღოს, ამას ჩვენი ლიდერი გადაწყვეტს – იმ დამსახურებებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც თითოეულ ჩვენთაგანს მის წინაშე გაგვიკეთებია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბელადი ამხანაგი მიხეილი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჩვენი წევრების მატერიალურ მდგომარეობის განუხრელად გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, პატარა ჩვენი პარტიელები, რომელთაც დიდი ნდობა გამოვუცხადეთ და დავნიშნეთ ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა საკვანძო თანამდებობებზე, საშემოსავლო სამსახურებში იჩენენ თვითნებობას, თვითშემოქმედებას, თანხების მნიშვნელოვან ნაწილს პირადი შეხედულებით განკარგავენ, რითაც შესამჩნევად არყევენ ქვეყნისა და პარტიის ლიდერების ფინანსურ სტაბილურობას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნული სიტუაციის რეაგირების გარეშე დატოვებას მომავალში არ დაუშვებს. პატარა ამხანაგებს მოვუწოდებთ დროზე მოეგონ გონს. ჩვენი ლიდერი შეიძლება პირდაპირ და გახსნილად ამაზე არ ლაპარაკობდეს, მაგრამ გარწმუნებთ – ის ფიქრობს და ზრუნავს თითოეულ თქვენთაგანზე. მისი სურვილია, რომ თქვენ, რაც შეიძლება მალე გახდეთ მილიონერები, მაგრამ საკითხის ხელოვნურად ფორსირება, მხოლოდ გაართულებს სიტუაციას და სრულ ქაოსამდე მიგვიყვანს, მასწავლებელი გვაფრთხილებს, რომ მხოლოდ რიგითობა და მონაცვლეობა – არის ჩვენი კეთილდღეობის საწინდარი. პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე ამ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმონ. აუცილებელია შემუშავდეს კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, რათა სასწრაფოდ და განუხრელად მოხდეს ჩვენი პატარა თანაპარტიელების იდეურ–პოლიტიკური დონის ამაღლება.

ამხანაგებო!

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის შეშფოთებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე კვლავაც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხის მთავარი მტრის განსაზღვრის საქმეში ჩვენი აქტივის მიერ სწორი და გასაგები დამოკიდებულების გამომუშავებას.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ბელადი კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ მთავარი საფრთხე ჩვენს ნაციონალურ მოძრაობას არა საგარეო ფაქტორებიდან, როგორც ეს ბევრს გონია, არამედ სწორედ შიგნიდან ემუქრება. მასწავლებელი მოუწოდებს პარტიის თითოეულ წევრს განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს ნუ მოექცევიან საქართველოში, ჯერ კიდევ შემორჩენილი ჩვენდამი მტრულად განწყობილი კონტრრევოლუციური იდეოლოგიის გამტარებელი ტელევიზიებისა და მასმედიის გავლენის ქვეშ და მთავარი მტრის დასახელებისას რუსეთისაკენ ნუ გაიშვერენ თითს. მათი ძირგამომთხრელი ზეგავლენის შედეგია ის, რომ აქტივის 90 პროცენტი, ძირითადად ახალგაზრდები, ჩვენს მთავარ მტრად რუსეთს აღიქვამს. არადა, ასეთი აღრევა დამღუპველია. ჩვენმა პრეზიდენტმა სულ მარტივი მაგალითის მოყვანით სიცხადე შეიტანა ამ საკითხში. მან თქვა: რუსი რომ შემოვარდა მხოლოდ 20 პროცენტი წაგვართვა, ქართველი ხალხი, თუ მოვარდება, ყველაფერს წაგვართმევსო. აქედან დასკვნა, ვინ არის ჩვენი მოძრაობის მთავარი მტერი? პასუხიც დღესავით ნათელია.

სწორედ ასეთი ცოცხალი და გასაგები მაგალითებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ჩვენი, როგორც ჩანს ჯერ კიდევ დაბნეული აქტივი, რაც შეიძლება სწრაფად გამოვიყვანოთ მდგომარეობიდან.

გაცნობებთ, რომ პრეზიდენტი სულ მოკლე დროში დაამთავრებს მუშაობას თავის ფუნდამენტურ წიგნზე – ერთი ნაბიჯი წინ ათი ნაბიჯი უკან, რომელშიც ის პასუხს გასცემს ჩვენთვის საჭირბოროტო ყველა საკითხს. უნდა უზრუნველვყოთ ამ ნაშრომის პირველად პარტიული ორგანიზციებში განხილვა და შესწავლა, როგორც ეს ბრეჟნევის წიგნების – „ყამირის ათვისება“ და „მცირე მიწა“ მოხდა. მოგეხსენებათ რომ ჩვენი საქმიანობის შედეგად ყამირიც ბევრი გვაქვს, მცირე მიწა ხომ დაგვრჩა და დაგვრჩა, ასე რომ ანალოგიების საძებნელად შორს წასვლა არ დაგჭირდებათ.

**ამხანაგებო!**

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის უკმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც ხელისუფლებაში ვიმყოფებით – არ მოხდა მხატვრულ პროზაში შექმნილიყო ჩვენი ბელადის ჰეროიკული ცხოვრების ამსახველი, თუნდაც ერთი მეტნაკლებად მისაღები ლიტერატურული ნაწარმოები. იგივე ითქმის პოეზიის შესახებაც. პარტიული ორგანიზაციების ძალისხმევა – ამ მიმართულებით საერთოდ ▶

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უახლოეს მომავალში ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს ბელადისა და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებების, რაც შეიძლება სწრაფად შექმნა. მასში ასახვა უნდა პოვოს ნაციონალურმა ახალმა სინამდვილემ – აწმყოსა და პერსპექტივაში, უნდა გამოიკვეთოს ეპოქის ახალი ადამიანი, ჩვენი ბელადი, ხალხი და ხელმძღვანელი, პავლიკა მოროზოვის ფსიქიკა – დღეს, აი, ის თემატური რკალი, რომელიც უნდა დავამკვიდროთ. სათანადოდ არ მუშაობთ ამხანაგებო! მწერლებთან, პოეტებთან, შემოქმედებითი ინტელიგენციის ჩვენს მომხრე სხვა წარმომადგენლებთან. პარტიის ცენტრალური კომიტეტი – შეკვეთილი სტატიებით უცხოეთის პრესაში, რომელიც უზარმაზარი თანხები ჯდება ბელადზე დადებითი იმიჯის შექმნას ასე თუ ისე ახერხებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამ მხრივ ადგილებზე უნდა გავშალოთ აქტიური საქმიანობა. ხელი უნდა შევუწყოთ და სამწერლო ასპარეზზე თამამად გამოვიყვანოთ ახალგაზრდა ნაციონალი მწერლები და პოეტები, რომლებიც პირველ ხანებში დამოუკიდებელ ნაწარმოებებს, თუ ვერ შექმნიან შეუძლიათ გადააკეთონ ძველი ბოლშევიკურ–რევოლუციური მწერლობა და პოეზია, სადაც ძალიან ბევრი მისაღები პარალელებია. ვთქვათ სანდრო შანშიაშვილის დედისერთა ლენინთან, შეიძლება გავხადოთ – დედისერთა მიშასთან, ან ძმები – მხედრიონელები ბელადთან. აქ შემოქმედებითი მიდგომის უამრავი საშუალებებია. მაგალითად:

ფულში ვართ მთელი ნაცები
იმხელა მოსავალია
ნინუცი რა დროს დაგვტოვე
მაგრამ ეს შენი ბრალია.

ანდა მეორე – კ. ფედოსიშვილის ასეთი სტროფი:

მე მამას მოვკვლავ, დავახრჩობ დედას
ნაციონალებმა თუკი მიბრძანეს.

ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. გმირის ხასიათზე მუშაობისას არ უნდა გამოგრჩეთ მისი საუკეთესო თვისებების განსაკუთრებული წარმოჩენა. ესაა პატარა მანდილოსნებისადმი რაინდული დამოკიდებულება, თანამდებობებზე, უფრო კი მინისტრებად მათი გაბედულად წინ წამოწევა. ბრძოლაში უშიში, სიმაღლეზე ხტომასა და სირბილში უბადლო, ცურვაში უზადო, მთიდან სწრაფ დაშვებაში უნაკლო და სხვა უამრავი დადებითი თვისება, რომელიც ჩვენს პრეზიდენტს ასე გამოარჩევს და მისაბაძს ხდის.

სამწუხაროა, მაგრამ ასევე არაფერი გაკეთებულა მხატვრობასა და ქანდაკებაში. სასურველია შეიქმნას მხატვრული ტილო, პანორამა, ჩვენი ბელადი ბავშვების გარემოცვაში, რაც გამოკვეთილად გაუსვამდა ხაზს – მისი პატარებისადმი მზრუნველ და ფაქიზ სიყვარულს.

მისასალმებელია ჩხოროწყუს პარტიული ორგანიზაციიდან წამოსული წინადადება: ქ. გორში სტალინის ჩვენს მიერ მოცილებული ძეგლის ადგილას დაიდგას – ახლა უკვე ჩვენი ბელადის მონუმენტური ქანდაკება რუსული სამხედრო ავიაციისადმი მოღერებული მუშტით. უნდა გვესმოდეს, რომ შუა ქალაქში, ისიც იმოდენა პოსტამენტზე დადგე და მუშტი მოუღერო რუსულ ავიაციას, თან ცხინვალისაკენ იყურებოდე – ამას ყველა ვერ გაბედავს. აქ გამოჩნდება ჩვენი პრეზიდენტის მამაცი გული, უდრეკი სული და შემართება.

წალენჯიხელები გვთავაზობენ და მათი ეს ინიციტივაც განხილვის სტადიაშია ჩვენი პრეზიდენტის ქანდაკებას, რომელსაც შუა გორში პოსტამენტზე დავაყენებთ, დავარქვათ ქართლის მამა, ერთ ხელში მივცეთ თასი და მეორეში ავტომატი. დაე! მის დანახვაზე ჩვენი მტრები შიშისაგან კრთოდნენ. ხოლო მოყვრები იქვე გაშლილ სუფრასთან ქეიფობდნენ, მივიდნენ და თვითონ აირჩიონ რომელი ურჩევნიათ.

ამხანაგებო!

გაფრთხილებთ, ცენტრალური კომიტეტი არ შეეგუება იმ გარემოებას, რომ საერთოდ არ მიმდინარეობს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი ნაციონალ–კლასიკოსების ნამუშევრების შესწავლა–პროპაგანდა. თავად ჩვენს პრეზიდენტს არაერთი მონოგრაფია, ბროშურა თუ წერილი აქვს გამოქვეყნებული. არ უნდა დაგვავიწყდეს ჯერ კიდევ სკოლაში მისი შესრულებით საკონტროლო წერები, რომლებშიც ჩვენთვის ფასდაუდებელი აზრებია გაბნეული – მომავალი ლიდერის განცდებსა და მისწრაფებებზე.

სკოლებში ხშირად უნდა იმართებოდეს დისპუტები, საღამოები, დადგმები და სპექტაკლები – ჩვენი პრეზიდენტის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების წარმოჩენითა და განხილვით. არ ხდება ჩვენი მოსწავლე–ახალგაზრდობის გაყვანა–ექსკურსიები ლოზუნგით დიდი ბელადის ნაკვალევზე. ჩვენი პრეზიდენტის ბავშვობის ადგილებში – არტეკში, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის კაბინეტებსა და კორიდორებში, სადაც გენერალი ბიძამისი მუშაობდა და პატარა დარბოდა, აქედანვე ეზიარა ხელისუფლების შენარჩუნების ჩვენთვის ასე აუცილებელ ხერხებსა და მეთოდებს.

არადა არ დაადგა საშველი შექმნილიყო ჩვენი ბელადის სახლ–მუზეუმები, სადაც გამოიფინებოდა მისი აკვანი, დიადი მოღვაწეობის ამსახველი ასევე დიადი ფოტო–მასალა, სტენდები, დიაგრამები, ფილმები. სხვადასხვა ლიდერების ნაჩუქარი ნივთები, რომელსაც გაიმეტებდა. საათების კოლექცია, ქონების ნაწილი, რომელიც მოძველდა და განახლებას საჭიროებს. მაგალითად თვითმფრინავი, სტალინის ვაგონივით მასაც უნდა მივუჩინოთ თავისი ისტორიული ადგილი. შემოსულია წინადადება ასეთი მუზეუმებისთვის ფართი შეირჩეს, როგორც თბილისში ისე კიევსა და ვაშინგტონში.

ფინანსთა სამინისტროს ყურადღება კვლავაც არასაკმარისია, აქ ლიდერებზე არ არის ლაპარაკი, საქმე ეხება მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და აქტივის საზღვარგარეთ მკურნალობის, დასვენებისა და გართობისათვის გამოყოფილ სახსრებს. აღარაფერს ვამბობთ პრემიებსა და ბონუსებზე, რომელსაც ეს ადამიანები თვეში 20–25 ათასის რაოდენობით იღებენ. რაც დღევანდელ მომატებულ ფასებთან შედარებით პირდაპირ სასაცილოა. რას ფიქრობენ ფინანსთა სამინისტროში მოკალათებული ჩვენი ამხანაგები, გაუგებრია!

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხალხის ფართო მასებში მომჭირნეობისათვის მოძრაობის აქტიურად გაშლას. მართალია, ჩვენი მონდომებით აქ დანაკარგები ძირითადად მინიმუმამდე გვაქვს დაყვანილი, მაგრამ რეზერვები ჯერ კიდევ არის. უნდა ვისწავლოთ პენსიების რაც შეიძლება მომჭირნეობით მომატება და არა მხოლოდ მომატება, მოკლებაც. ამ მხრივ მისაღები ჩანს ინიციატივა შემოსული გურჯაანის პარტაქტივისაგან. ამხანაგები გვთავაზობენ პენსიები მოვაკლოთ ყველანაირი არჩევნების ჩავლის შემდეგ და მოვუმატოთ მისი მოახლოებისას. მათი გამოანგარიშებით ეს ინიციატივა ასეულობით მილიონს დაგვიზოგავს. მასწავლებელსაც ეს აზრი ძალიან მოეწონა. ის ყოველთვის გვასწავლის, რომ უნდა მივცეთ იმდენი სული არ ამოძვრეთ და არც იმდენი, რომ მოილხინონ.

საერთოდ მიგვავიწყდა მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ნაციონალური შეჯიბრი და შაბათობები, ამ მოწოდებას ფართო გამოხმაურება უნდა მოყვეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. შაბათობები, რაც შეიძლება ხშირად და ხანგრძლივად უნდა მოვაწყოთ ჩვენთვის არასასურველი ბიზნესმენების ოფისებსა და საწარმოებში.

ასევე ოპოზიციას უნდა განემარტოს ჩვენი კეთილი ნება. როდესაც ჩვენი მთავარი ციტადელი პოლიციის შენობები გამჭვირვალე გავხადეთ, მათაც უნდა გადმოდგან შემხვედრი ნაბიჯები და თავიანთი საცხოვრებელი ბინები გახადონ გამჭვირვალე, მართალია, ჩვენ ისედაც ვიცით იქ რაც ხდება, მაგრამ ასეთი მოქმედებები ურთიერთნდობას უფრო განამტკიცებს.

ამხანაგებო!

დასასრულს პარტიის ცენტრალური კომიტეტი იმედს გამოთქვამს დახურული წერილის განხილვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გახდება ცხარე, საქმიანი და შემოქმედებითი დისპუტის საგანი. ის ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიული ცხოვრების გამოცოცხლებასა და სწორი მიმართულებით წაყვანას. ნაკლოვანებებზე შეულამაზებელი და გულახდილი მსჯელობა საშუალებას მოგვცემს გამოვასწოროთ და მომავალში არ გავიმეოროთ ისინი. ცხოვრების დღევანდელი რიტმი და ტემპი, თითოეული ჩვენთაგანისგან ითხოვს სწრაფ რეაგირებასა და მოქმედებას. უნდა გვახსოვდეს ჩვენი ბელადის მთავარი მითითება ჩვენ უნდა ვმართოთ და არ გავითქვიფოთ. ჩვენი რიგების სიწმინდე, ნაციონალური იდეები ჩვენი მთავარი მონაპოვარია. გაუმარჯოს დიდ მასწავლებელსა და დამრიგებელს, ჩვენი ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს მიხეილ სააკაშვილს! აქ, ვაშა! ტაში! ამხანაგებო!

**ნაციონალური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,**

**ნაციონალური პარტიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,**

**ნაციონალური პარტიის პრეზიდენტის კანცელარია.**

---

*დასაწყისი გვ. 3*

კი, თავის მხრივ, იწვევს ჩვენი მოქალაქეების მასობრივ გაქცევას საზღვარგარეთ. იკარგება საქართველოს გენოფონდი, რადგან ქვეყნიდან შრომისუნარიან ადამიანებთან ერთად რეპროდუქციის აქტიური უნარის მქონენიც გადიან. ამას თან ერთვის პროფესიული დაავადებების, მავნე და საშიში ფაქტორების უწყვეტი გავლენა დასაქმებულებზე და საწარმოთა გარშემო მცხოვრებ მოსახლეობაზე. ასეთ პირობებში შობადობა ეცემა და ისტორიულ და არც თუ შორეულ პერსპექტივაში საქართველო სამუშაო ძალის „შიმშილს“ იგრძნობს, მაგრამ აქ „ნაციონალებს“ ერთი „ტუზ–კოზირი“ აქვთ შემონახული – ახლო და შორი შრომითი მიგრაციისთვის „ღია კარის“ პოლიტიკა, – თუმც, არა მგონია უცხოელ შრომით მიგრანტს გარკვეული დროის შემდეგ უცხოელი პოლიტიკოსიც არ შემოჰყვეს, რომელსაც თქმა არ უნდა, ექნება და გვარიანადაც ექნება „ნაციონალური ინტერესი“ და ამ ინტერესების გატარებისთვის საჭირო ცოცხალი ბაზისი. დღეს კი გაეროს სათანადო სტრუქტურას საქართველო დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყნების სიაში ჰყავს გამწესებული.

მშრომელმა კლასებმა, სახალხო მასებმა ასეთ ვითარებაში არ შეიძლება პასიურად უყურონ არსებულ რეალობას. მშრომელებს პროფკავშირების მეშვეობით შეუძლიათ დღესვე იმოქმედონ და დააწესონ საზოგადოებრივი ზედამხედველობა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე. მათ, საკუთარი რიგებიდან უნდა აირჩიონ შრომის უსაფრთხოების საზოგადოებრივი ინსპექტორები, რომლებიც იმოქმედებენ დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად სამუშაო ადგილებზე. ამ თემატიკით მშრომელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები საკუთარ ხელში აიღებენ სტრატეგიულ ინიციატივას. პირველ ეტაპზე მშრომელებს ეს ინიციატივა მისცემს საშუალებას შექმნან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც რეალურ დროში გაუწევს ზედამხედველობას, პირველ ეტაპზე, თუნდაც, საზოგადოებრივი ზედამხედველობის სამუშაო გარემოს, შრომის პირობებს, მოახდენს კვალიფიციურ ანალიზს, ზუსტად აღრიცხავს, როგორც დაქირავებულთა, ასევე თვითდასაქმებულთა შორის უბედურ შემთხვევებს, პროფესიულ დაავადებებს, შეიმუშავებს მასთან ბრძოლის მეთოდიკას, მოახდენს ინფორმაციის როგორც შეკრებას, ასევე ანალიზსა და მართვას, ურთიერთთანადგომის გზით საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების დაცვას. ეს მშრომელებს მისცემს იმ ბერკეტს, რითაც ისინი უკვე კარგად აღჭურვილნი იბრძოლებენ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის სახელმწიფო ორგანოს აღსადგენად, მიაღწევენ „შრომის დაცვის შესახებ“ კანონის მიღებას.

მშრომელი კლასების დარაზმულობას ნებაყოფლობით გაერთიანებებში შეუძლიათ:

ა) შეცვალოს „შრომის კოდექსი“ მშრომელთა ინტერესების შესაბამისად;

ბ) მიაღწიოს ინფლაციის ადეკვატურ ინდექსაციას;

გ) 8 საათიანი სამუშაო დღის დაბრუნებას;

დ) საკუთარი ხელფასის განსაზღვრაში მონაწილეობას კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების მეშვეობით;

ე) ბოლო მოუღოს ერთთვიანი, სამთვიანი თუ ექვსთვიანი შრომითი კონტრაქტებით დაშანტაჟების პოლიტიკას;

ვ) მიაღწიოს ზეგანაკვეთური შრომის სამართლიან ანაზღაურებას, სწორედ იმგვარად, როგორც იგი განსაზღვრულია ევროპის სოციალური ქარტიით;

ზ) დაიცვას თავი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოსგან, ან მისი შესრულებისთვის მიიღოს ღირსეული კომპენსაცია;

თ) გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოჯახებისთვის ღირსეული კომპენსციების გადახდას მრავალწლიან სასამართლო პროცესების გარეშე;

ი) საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების სამართლიან გამოკვლევასა და გამოძიებას, მასში მშრომელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების პირდაპირი და უშუალო თანამონაწილეობით;

კ) მშრომელი ქალებისთვის ღირსეულ დეკრეტულ შვებულებას, ისეთს როგორიც დადგენილი აქვს ევროპის სოციალურ ქარტიას, მის შესაბამისი კომპენსაციის გაცემას დედებზე;

ლ) მაღალი ხარისხის სოციალურ და სამედიცინო დაზღვევას;

მ) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთათვის რეალური შემწეობის, ხოლო უმუშევართათვის ეფექტური შრომითი გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებას, მათთვის ელემენტარული არსებობისთვის საჭირო დახმარების გაცემას (ეს აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირი და უმუშევარი არანაირად არ არიან პასუხისმგებელი არსებული ეკონომიკური სისტემის მდგომარეობაზე, მათ მიერ არ ხდება წარმოებისა და გაცვლის სისტემის მართვა);

ნ) პენსიონერთათვის სოციალური ინფრასტრუქტურის სარგებლობისთვის საჭირო პენსიის გაცემას.

და ყველაზე მთავარი – შეუძლიათ ბრძოლით მიაღწიონ წარმოებისა და გაცვლის ისეთი სისტემის ფორმირებას, რასაც სოციალური საბაზრო მეურნეობა ეწოდება. პოლიტიკური დემოკრატია არის ფიქცია და ბუტაფორია, თუ მის გვერდით არა დგას ეკონომიკური და სოციალური დემოკრატია. სამმხრივი პარტნიორობა სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და მშრომელთა შორის შესაძლებელია თუ მშრომელთა კლასები ორგანიზებული და კონცენტრირებული სოციალური ძალა გახდება. ამაშია მშრომელთა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის მომავალი. გაიმაჯვებს ის, იცოცხლებს ის და განვითარდება ის, ვინც ერთად იბრძოლებს.

**დავით არაბიძე**

# ფიქრები ვანო მაჩაბლის (თვით) მკვლელობიდან 113 წლის შემდეგ

რაც გონების თვალი ამეხილა და რაც მაჩაბლის გენიალური თარგმანების მეოხებით, შექსპირის გენიალობას მშობლიურ ენაზე ჩავწვდი, ვანო მაჩაბლის სახელი უკვდავ და ულამაზეს სახელად იქცა ჩემთვის. მისი, ვითომდა, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებისა თუ დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, ამ 113 წლის შემდეგაც კი, გაუნელებელი ტკივილია ჩემთვის. ერისათვის აგრერიგად მძიმესა და სამარცხვინო ამ ფაქტზე, ძალიან ხშირად მეფიქრება...

რა მოხდა 1898 წლის 25 ივნისის ღამითა თუ 26 ივნისის დილით, დანამდვილებით, აქამომდე, არავინ იცის. თუმცა, ცოდნაზე მეტად, ხშირ შემთხვევაში, ფაქტებსა თუ დოკუმენტებს, ხალხისეული, მეხსიერებაში დალექილი ვარაუდი და მოვლენების თანმიმდევრული ანალიზი ბევრად სჯაბნის.

რა, რა მოხდა ისეთი, რამაც თავის გამეტება გადააწყვეტინა 44 წლის ასაკში მყოფ, შემოქმედებითი ძალის აღზევება–გაფურჩქვნის პერიოდში, ასე მრავალმხრივ, პასუხისმგებლობით აღსავსე დიდ შემოქმედს, საზოგადო მოღვაწეს, შექსპირის, როგორც სპეციალისტები ბრძანებენ, კონგენიალურ მთარგმნელს, თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწეს ივანე მაჩაბელს?

მიუხედავად იმისა, რომ მაჩაბელს საშინელი უთანხმოება (არ მინდა სიტყვა–მტრობა ვახსენო) ჰქონდა თავისი დროისა და ყველა დროის დიდ მოღვაწესთან, ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთან ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც გაცნობისთანავე დიდად აფასებდა ვანო მაჩაბლის ტალანტს, რომელთან ერთადაც თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტერესები ბევრჯერ დაეჯახა ერთმანეთს საბანკო თუ სხვა საკითხებში, ვანო მაჩაბელი თვითმკვლელობით არ დაასრულებდა თავის აგრერიგად შინაარსიან სიცოცხლეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე ფიცხი და ემოციური ყოფილა. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? ის, რომ თავს იკლავენ თავის საქმეებს ამაოდ შეჭიდებულნი, საქმე რომ წამოუწყიათ და შინაგანი ძალა არ მოსდგამთ მის დასასრულებლად, ან ადამიანები, რომელთაც არანაირი საქმის შეჭიდების უნარი არა აქვთ.

ვანო მაჩაბელს უამრავი საქმე ჰქონდა, უამრავი! მარტო შექსპირის თარგმნა ეყოფოდა თავისი უკვდავების ძეგლის ასაგებად. საბანკო საქმეებსა და სარედაქციო საქმეებზე მისი მოღვაწეობით თქვენს ყურადღებას აღარ გადავღლი. ეს დიდი კაცი იმაზედაც კი ზრუნავს, მსხლისა და ვაშლის ნერგებს რომ რგავენ თამარაშენში, მის მამულში, რამდენით უნდა იყოს ერთმანეთს დაშორებული... მიდის და მოდის ქალაქსა და სოფელს შორის ათას საქმეს შეჭიდებული ეს გენიოსი კაცი და თან ბლოკნოტში ბეჯითად აქვს ჩამოწერილი ვისი რამდენი ვალი აქვს და როდის გაისტუმრებს ამ ვალებს.

ამდენი საქმის მქონე კაცი თავს არ იკლავს! ნემსის ყუნწში ძვრება, რათა ყველაფერი მოაწესრიგოს, ყველაფერი; ვანო ცეცხლი იყო, სულ დუღდა და გადმოდუღდა, ასე იხსენებენ მას თანამედროვენი; ეს დიდი მოღვაწე ყველაფერს უძლვებოდა, ყველაფერს უძლებდა; ის თავის მომკვლელი კაცი არ იყო, ის კი არადა, 26 ივნისს მას დაბარებული ჰყოლია ადამიანები გორის სინდიკატიდან და არა მარტო სინდიკატიდან; მაშ, რა მოხდა 1898 წლის 25 ივნისის ღამეს?

უკანასკნელ საღამოს, – მოგვითხრობს ეგნატე იოსელიანი, რომელიც ვანომ თავის სახლში გაატარა, მათთან იყო მგოსანი აკაკი წერეთელი, ნარდის თამაშობაში ატარებდნენ დროს. გაზეთის გადმოცემით, – ვანო უვახშმოდ წავიდა მოსასვენებლად. რაღა თქმა უნდა, პოეტსა და ვანოს მეუღლის



თამაშობასაც, ერთი–ორი საათის შემდეგ, ბოლო უნდა მისცემოდა და მოისვენებდნენ მოთამაშენი. აქ მხოლოდ ერთი კითხვა გვებადება, ნუთუ როცა მოსასვენებლად მიდიოდა, მეუღლე არ შევიდა, თუ საწოლი ოთახი ცალკე ჰქონდა და არ დაათვალიერა: გაეხადნა ტანისამოსი, ეძინა ლოგინში? იმ საღამოს შემდეგ აღარავის უნახავს ვანო“...

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის მოგონების ის ნაწილიც, სადაც იგი აკაკი წერეთელზე საუბრობს, რომ მას: „თბილისში თითქმის სულ ვალი აქვნდა ყველა სასტუმროში, ყველგან მას ფული ემართა. ამიტომ მას იქ არსად მიესვლებოდა, აკაკის ერთადერთი ბინა იყო მაჩაბლის სახლი, სადაც მას ბინა აქვნდა. აქვე სჭამდა, სვამდა და დროს ატარებდა. უნდა ითქვას, რომ აკაკის ასეთი სიკეთე და მფარველობა არას დროს არსად ენახა, ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ივ. მაჩაბელმა მას ბინა მისცა, მასთან სასმელი, საჭმელი და სხვაც ბევრი რამ“...

აკაკი წერეთელს მაჩაბლის მეუღლე ტასო ბაგრატიონი ჰყვარებია, ამ სიყვარულს თურმე გულდაგულ მალავდა აკაკი. 19 გამოუქვეყნებელი პირადი წერილი ანასტასია ბაგრატიონ–დავითაშვილ–მაჩაბლისადმი ღაღადებს ამ სიყვარულზე, რომელიც, თურმე, შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისათვის. მიმნდობსა და ალალ ვანოს, არავინ იცის, ჰქონდა თუ არა ეს ამბავი შემჩნეული...

ეს ყველაფერი მრავალ უთქმელსა თუ ნათქვამ კითხვას სცემს პასუხს; ყველაფერს, აქამდე ნათქვამს, აქვს ქვეტექსტები, რომლებიც გონებაგახსნილი ბავშვისთვისაც კი მისახვედრია და მისაწვდომი... აუცილებელი არ არის ადამიანი მოკლა და მკვლელი მაშინ დაგერქვას, მკვლელი მაშინაც ხარ, როცა ადამიანს შენი საქციელით თავის მოკვლას აიძულებ. ეს ისე, სხვათაშორის, ახლა კი, კიდევ ერთ საგულისხმო მოგონებას, მივხედოთ, მაჩაბლის გაუჩინარების დღეებში რომ გამოქვეყნებულა. ეს გახლავთ ვანო მაჩაბლის სახლის მოპირდაპირედ მოსახლე სარაჯოვის ქვრივის მტკიცება: „ღამის ოთხი საათი არ იქნებოდა ჯერაო, როდესაც ივ. მაჩაბელი გამოვიდა ძალიან ფერმკრთალი თავის აივანზე და დაიწყო ჩქარი სიარული, აქეთ–იქით იცქირებოდა, ხელებს იმტვრევდა და მერე ისევ შევიდა ზალაში და ფანჯარაში დავინახე, რომ თავში იცემდა ხელებსაო! ამის შემდეგ გამოვიდა ქუჩის კარებიდან და ძალიან აჩქარებული წავიდა გოლოვინის პროსპექტისკენ“...

რამ გამოიწვია ასეთი ძლიერი სტრესი ამ ღირსეულ კაცში, იმ შუაღამისას? დავფიქრდეთ, კაცი, ერთი წლის ნაოპერაციები, ერთხანს ნარდს თამაშობდა, დაიღალა და დასაძინებლად თუ დასასვენებლად დაწვა... მგოსანმა და ვანოს მეუღლემ ნარდის თამაში განაგრძეს... ამის მერე, მაჩაბლის სახლის მოპირდაპირე სახლიდან ქალი ხედავს, – ვანო აივანზე ღამის 4 საათზე აღელვებული დადის, მერე ზალაში შედის და თავში ხელებს იცემს... რა უნდა იფიქრო ადამიანმა ასეთ დროს? ის, რომ მგრძნობიარე, მიმნდობმა და ალალმა ვანომ ისეთი რამ დაინახა, რამაც ერთიანად შეძრა მისი არსება, ისეთი რამ, რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა. განა დიდი ტალანტია საჭირო იმის მისახვედრად, რისმა დანახვამ შეძრა ეს დიდებული კაცი, რამაც თავის გამეტებამდე მიიყვანა იგი?

დიახ, მაჩაბელი მოკლულია და არა თვითმკვლელი, რაზედაც ზემოთ უკვე მოგახსენებდით ამის შესახებ. არადა, როგორი მდორე, როგორი უგრძნობი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ამის გამო, ივანე მაჩაბელს „დეპრესიული სულის“ კაცად იხსენიებს. ვინც ასაღელვებელზე არ აღელდება და რეაქციაც კი არა აქვს, დიდი პოეტის არ იყოს, „მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა“.

რამ მიიყვანა მაჩაბელი იმ მდგომარეობამდე, რომ საკირისაკენ წასულიყო დაუყოვნებლივ? იმ 25 ივნისის ღამეს დანახულმა უზნეობამ, რომლის მოთმენა მის სუფთა ბუნებას არ შეეძლო...

ამ წიგნს, რომელზედაც აუღელვებლად ვერასოდეს ვისაუბრებ, ჰქვია: „მაჩაბელზე ლეგენდების გარეშე“. მისი ავტორია ჯემალ მჭედლიშვილი. იგი სტუდენტობიდანვე შესდგომია მაჩაბლის ცხოვრება–მოღვაწეობის გამოწვლილვით შესწავლას და, თითქმის მთელი სიცოცხლე ამ საქმისათვის მიუძღვნია. არადა, წიგნი 600 გვერდზე მეტს მოიცავს, დამერწმუნებით, ამხელა წიგნის დაწერას, მით უფრო კვლევას, მთელი სიცოცხლე სჭირდება, გულმოდგინე და თავაუღებელი შრომა...

დიდი მწუხარებით შევიტყვე ამბავი ჯემალ მჭედლიშვილის გარდაცვალებისა, გასულ წელს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! მიუხედავად იმისა, რომ საერთო ნაცნობიც კი არ გვყოლია, ეჭვი არ მეპარება იგი ყოვლად ღირსეული ადამიანი იყო...

ბელა შალვაშვილი

# დ ა ც ე მ ა

***„2009 წლის ოქტომბრიდან შვედეთის ლუთერანულმა ეკლესიამ დაუშვა ჰომოსექსუალისტების ჯვრისწერა. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რამდენიმე თვით ადრე შვედეთის სამეფოს პარლამენტში მიღებული კანონი ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ შვედეთის ლუთერანული ეკლესია ერთ–ერთი პირველია მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიებიდან, რომელმაც გადაუხვია ქალ–ვაჟის ქორწინებაზე ტრადიციული შეხედულებიდან“. გაზეთი „Dagens Nyheter“***

სკანდინავიურ პრესაში გამოქვეყნებული ეს საზარელი ცნობა იმ სამწუხარო რეალობას აჩვენებს, რასაც ღვთის მცნებებზე და ადამიანის პიროვნებაზე მაღლა ბიწიერების დაყენება ეწოდება. ცოდვის იგნორირება, მეტიც მისი პროპაგანდა და სტიმულირება ანტიქრისტიანული ქმედებაა. ამ ღვთისმგმობი გადაწყვეტილებით მათ, ვინც საკუთარ თავს შვედეთის ლუთერანულ ეკლესიას უწოდებს, საბოლოოდ დაადასტურეს გამიჯნულობა ქრისტიანობასთან. ეკონომიკურად წელგამართული ქვეყანა, უპასუხისმგებლო პოლიტიკანებისა და ფარისევლების ვაიმაქნისობით სულიერად და ზნეობრივად წელში გადატყდა. ცოდვისგან თავისუფალ ადამიანს, მათ ცოდვისკენ სვლის თავისუფლება დაუპირისპირეს. ეს სასტიკი მაგალითია, თუ რას უნდა უფრთხოდეს ჩვენი საქართველო, მისი აწმყო და მომავალი. ამ ბიწიერებას ერი და ბერი უნდა გაემიჯნოს და დაიცვას ბუნებრივი და კანონიკური ცხოვრების წესები.

**დავით არაბიძე**

# გურამ შარაძის შვილმა პოლიტიკური თავშესაფარი შვეიცარიაში ჰპოვა

რუსუდან შარაძემ, მას შემდეგ, რაც ყველა სამართლებრივი გზა და საშუალებები გამოიყენა მისი დიდი მამის – გურამ შარაძის მკვლელობის რეალური მიზეზების, მკვლელობის დამკვეთებისა და ნამდვილი მკვლელების გამოსააშკარავებლად, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, პროტესტის ყველაზე მტკივნეულ ფორმას მიმართა და სამშობლოდან, აწ უკვე ქმარ–შვილით გადაიხვეწა.

უახლესი და ძველი ისტორიების მწარე გაკვეთილებიდან კი ვუწყით, რომ პოლიტემიგრანტთა იმედები, რომ ისინი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაბრუნდებოდნენ საყვარელ სამშობლოში, არასოდეს ამხდარა და უცხოობაში, სამშობლოზე ფიქრით და ტანჯვით განლეულან.



ვიმედოვნებთ, რომ რუსუდან შარაძის შემთხვევაში, ანალოგიები შეუსაბამოდ გარდაიქცევა და სააკაშვილის რეჟიმის დასრულებისთანავე, შარაძის ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი შვილი მაინც საქართველოში გააგრძელებს ცხოვრებას და აღარასოდეს აღარავინ დაემუქრება მის სიცოცხლეს, არამედ სათანადო პატივსაც მიაგებენ.

ასევე ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში აღარასოდეს იარსებებს ნეოკომუნისტური რეპრესიულ–ტერორისტული რეჟიმები, რომლებიც თავში რევოლვერის დამიზნებით გაუსამართლებლად კლავდნენ და კლავენ ერისკაცებს, მამულიშვილებს და სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც.

გურამ შარაძის დადუმებისთვის, 1998 წლის 17 ივნისს, მძინარე, თავში სროლით მოკლეს მისი შვილი ლაშა შარაძე (პრეზიდენტი ე. შევარდნაძე, შსს მინისტრი კახა თარგამაძე, პოლიციის სამმართველოს უფროსი სოსო ალავიძე).

2002 წლის ივლისში „მაგთის“ აბონენტებისათვის გაგზავნილი შეტყობინება – „სიკვდილი ფაშისტ გურამ შარაძეს! გაუმარჯოს „თავისუფლების ინსტიტუტს!“ (შეტყობინების ავტორი ამ ინსტიტუტის აქტივისტი ოთარ ქაროსანიძე) – მომავლის მეხთატეხის ხმა აღმოჩნდა.

დიდხანს უგეგმიათ მკვლელობა!

ბოროტი გეგმა 2007 წლის 20 მაისს განახორციელეს. ქუჩაში მიმავალს აადევნეს მკვლელები და მელიქიშვილზე თავში უკნიდან მრავალჯერადი სროლით დახვრიტეს მეცნიერი, პოლიტიკოსი, მამულიშვილი გურამ შარაძე.

„მკვლელი“, უთვისტომო გიორგი ბარათელი, 15 წუთში, „მრგვალ ბაღთან“, მიკროავტობუსში (?!) ჩასხდომისას დააკავეს და მალევე გაასამართლეს. მას შემდეგ, აღარავინ იცის პატიმრის ადგილსამყოფელი და მისი არსებობაც.

გურამ შარაძის ოჯახის ტრაგედია ამით არ დასრულებულა, 2009 წლის 30 ივნისს, დეპრესიულ მარტოობაში გარდაიცვალა პერსპექტიული ახალგაზრდა გიორგი შარაძეც.

სააკაშვილის რეჟიმი მორალური ტერორით რუსუდან შარაძის განადგურებასაც ცდილობდა.

ვინაიდან დღემდე ვერავინ შეძლო პატიმარ



გიორგი ბარათელის ადგილსამყოფელისა და მდგომარეობი შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ–ერთმა იურისტმა ნათია კაციტაძემ, ბარათელის ადგილსამყოფელის გასაიდუმლოების გამო სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა.

ვეჭვობთ, რომ გურამ შარაძის „მკვლელობაში“ დადანაშაულებული გიორგი ბარათელი სააკაშვილ–მერაბიშვილ–ადეიშვილის „ტროიკამ“ ცოცხალი გამოუშვას ციხიდან. არსებობს ეჭვი, რომ იგი უკვე აღარც არის ცოცხალი.

გურამ შარაძის ნამდვილი მკვლელები კი, გვირგვლიანის მკვლელებივით, კვლავ თანამდებობებზე სხედან და თავისუფლადაც დანავარდობენ.

ამ კაზუს–ვითარებიდან მხოლოდ ერთადერთი იმედი რჩება: იქნებ, რომელიმე მათგანს აუმხედრდეს სინდისი და გვირგვლიანის ერთ–ერთი მკვლელის, ვასილ სანოძის მსგავსად საფეთქელში მანაც საკუთარი ხელით დაიხალოს ტყვია.

**ლეილა ცომაია**

# „ცხელი ხაზის“ ტელეფონები და გაცვანჯული ხალხი

ე.წ. ცხელი ხაზის სატელეფონო კავშირები და მისით საჭირო ინფორმაციების მიღება ჩვენთან ისთივე მიუწვდომელია, როგორც თავად ხელისუფლება.

თუ სატელევიზიო ჩვენებისათვის, ვითომ ხალხთან ქუჩაში გამოსულ რომელიმე ხელისუფალს შემთხვევით გადააწყდი, მისი გარემოცვა ახლოსაც არ გაგიკარებს, ხოლო თავად მაღალი თანამდებობის პირი ყურზე მობილურმიბჯენილი ისე ჩაიქროლებს, ვერც შენ დაეწევი და ვერც სიტყვას დააწევ.

ფიქციაა მინისტრებისა და თუ სამინისტროების ყველა სატელეფონო „ცხელი ხაზი“. ასევე ფიქციაა საკომუნიკაციო გადასახადებზეც მითითებული წყლის, გაზისა და ელექტრომომარაგების „ცხელი ხაზის“ სატელეფონო ნომრებიც.

ერთხელ ჩემმა მეგობარმა პედაგოგმა გულშეღონებით შემომჩივლა: ერთი საათი მეჭირა ყურმილი განათლების სამინისტროს „ცხელი ხაზის“ სატელეფონო პასუხის მოლოდინში და მონოტონური მუსიკისა და „დაელოდეთ“ ავტომატური ჩანაწერის გარდა ვერაფერი მოვისმინე, რის გამოც მთელი დღე მოშხამული ვიყავიო.

გაუთავებელი წვიმების შედეგად, ამას წინათ, თითქმის მთელ თბილისს, ორი დღით, წყლის მიწოდება შეუწყდა. საინფორმაციო პროგრამებში, მხოლოდ ფაქტს გადმოსცემდნენ და არ ცხადდებოდა პრობლემის აღმოფხვრის დრო. სააკაშვილ–უგულავას ხელისუფლება მომზადებული ვერ აღმოჩნდა სტიქიური პრობლემებისათვის, არ ხდებოდა მოსახლეობისთვის „ცისტერნებით“ წყლის მიწოდება. გაწამებულმა ხალხმა „ცხელ ხაზზე“ დაიწყო რეკვა, მაგრამ იქაც, მონოტონური მუსიკისა და „დაელოდეთ“–ის გარდა ვერაფერი მოისმინა.

„ცხელი ხაზის“ ტელეფონები კი, ცინიკოსი ავტომოპასუხით კვლავ განაგრძობს არსებობას და დედაქალაქის ბიუჯეტიდან მასზე კვლავაც იხარჯება ფული.

**ქეთევან ჭანტურია**

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში („განმათავისუფლებელი“, № 28, 2001, აპრილი) მე–5 გვერდზე დაბეჭდილ წერილში – „ამბავი – მოლაზე, რომელმაც თავისი ვირი, და პრეზიდენტზე, რომელმაც თავისი ხალხი ჭამას გადააჩვია“ – ფონზე გაკეთებულ მინაწერში გაიპარა მექანიკური შეცდომა – „პროლოგის“ ნაცვლად უნდა იყოს „ეპილოგი“.

## სულთათანა

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჩვენს კოლეგას, გაზეთ „იბერია–სპექტრის“ ყოფილ მუშაკსა და გაზეთ „თვალთაის“ ყოფილ რედაქტორს ბატონ რეზო ურუშაძეს მეუღლის

**მედეა კვირიკაძე–ურუშაძის**

გარდაცვალების გამო და გამოთქვამს მწუხარებას.

---

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წევრებს ბატონ გივი კვირიკაძესა და ქალბატონ მანანა კვირიკაძეს დის

**მედეა კვირიკაძე–ურუშაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა სამძიმარს უცხადებს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერს დიმიტრი ომანაძეს მეუღლის

**დარეჯან ქარდავას**

მოწამეობრივი მკვლელობით გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რაზეც გამოთქვამს ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობას მისი მცირეწლოვანი შვილების ობლად დარჩენის გამო.

**26 მაისი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას არჩევისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღეა**

# მის გარეშე უმოწყალოდ ცოტანი დავრჩით

**ნუგზარ მგალობლიშვილი**

შესაძლებელი იყო მიგებაძა მერაბ კოსტავასთვის, მაგრამ შეუძლებელი ყოფილა ისე გვეცხოვრა, როგორც მას. მხოლოდ ღვთის მიერ რჩეულ პიროვნებებს თუ ძალუძთ , მტკიცე, შინაარსობრივ ერთიანობაში მოაქციონ საუკეთესო ადამიანური თვისებები: სამშობლოსადმი სიყვარული, თავისუფლებისმოყვარეობა, ქედუხრელობა და შემწყალებლობა, სარწმუნოების მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად ბრძოლის გზაზე ღირსებით სიარული. ამავე დროს თავდავიწყებით შეყვარებული არა მხოლოდ გვერდითმდგომ , არამედ ყველა იმ პატრიოტზე, რომელიც ითავისებს ერის ბედსა და ტკივილს.

საყოფაცხოვრებო, საკუთარ თავზე მზრუნველობას განრიდებული, იობის მოთმინებით, სიძნელეთა გადალახვის უნარითა და საოცარი გულწრფელობით ცდილობდა ამ საუკეთესო ადამიანური თვისებების გადაცემას სხვათათვის, რაც მრავლის გაადამიანებას უწყობდა ხელს.

ტოტალიტარიზმის, მატერიალიზმის და ათეიზმის ხანაში ძე ქარიშხლისა უწოდა მერაბ კოსტავას მისმა სულიერმა მეგობარმა და ქრისტესმიერმა ძმამ ზვიად გამსახურდიამ. უკეთესს, მერაბის ბობოქარი ცხოვრების განმსაზღვრელს, სხვა ვერ იტყოდა. ტრაგიზმით სავსე, რაინდულ-გმირული ცხოვრების გზა მათ ერთად განვლეს სამშობლოსა და ერთმანეთისადმი სიყვარულის უანგარო, წმინდა გაგებამდე ამაღლებულებმა. სწორედ „კოლხური კოშკის“ კულტურული წიაღიდან, დიდოსტატ კონსტანტინეს მიერ გაკაფული გზით მომავალი ორი მეგობარი, ვერც ფიზიკური და ვერც მორალური ტანჯვა-წამებით, ვერც იმპერიის საკნებში დამწყვდევით ვერ გატეხეს, ვერ დაიმორჩილეს, ვერ წაართვეს უფლისგან ბოძებული სულიერი თავისუფლება და სიმტკიცე. „მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ციხის კედლებშიც თავისუფლად ვგრძნობ თავს“– ამბობდა პატიმარი.

მერაბ კოსტავა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას. პატიმრობაში მყოფი, ირკუტსკის ოლქის სოფ. კვიტოკიდანაც კი ყოველნაირად ცდილობდა ჩვენს შეგულიანებას და რჩევებით წაშველებას, ხოლო იქედან გათავისუფლებულმა თბილისში ვერ მოისვენა, იმ დღესვე, საღამოს, მატარებლით სოხუმში წამოვიდა, რადგანაც შესანიშნავად აცნობიერებდა იმას, რომ კრემლი აფხაზეთიდან ახორციელებდა საქართველოზე შემოტევას და საფრთხე განმანთავისუფლებელ მოძრაობას სწორედ აქედან ემუქრებოდა. ძალიან დიდი დრო და ენერგია დაუთმო მან აფხაზეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება-გამთლიანებას.

უშიშარი, უდრეკი და მტკიცე, ამავე დროს მეტად თავდაჭერილი და გაწონასწორებული იყო ყოველთვის და არასოდეს ბრაზიანი. ერთ შემთხვევას გავიხსენებ ამასთან დაკავშირებით: სოხუმში ხშირად ჩამოდიოდნენ ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებიც და ღიად გამოხატავდნენ თავიანთ აზრს მიმდინარე მოვლენებზე, ამით გაღიზიანებული ახლადჩამოყალიბებული ბლოკ „სოიუზ“-ის წევრები შეკრებებზე სულ იმას გაიძახოდნენ: „ჩამოსული თბილისელები წყალს გვიმღვრევენ აფხაზეთში“; თურმე ბაბურინები, შანიბოვები, ჟირინოვსკები და ძმანი მათნი აფხაზეთში წყლის დასაწმენდად მოდიოდნენ, ხოლო გამსახურდია, კოსტავა, ჭავჭავაძე და სხვები მათ მიერ დაწმენდილი წყლის ასამღვრევად(?!) გადავწყვიტეთ პასუხი გაგვეცა და განგვემარტა საზოგადოებისთვის, თუ ვინ და რა მეთოდებით ამღვრევდა არა მარტო წყალს აფხაზეთში.



აქციის ჩატარების ნებართვისთვის მერაბი, ვოვა და მე მივედით სოხუმის ალმასკომის თავმჯდომარესთან ჯონი გუბაზთან, რომელმაც თითქმის იგივე გვითხრა, რასაც „სოიუზ“-ელი სეპარატისტები გაჰყვიროდნენ და ნებართვაზეც უარი მივიღეთ. რა გასაკვირი იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში კაცი გაბრაზებულიყო? მერაბმა კი მისთვის ჩვეული სიდინჯით აბსოლუტურად გაწონასწორებულმა მიუგო: „მიუხედავად თქვენი წინააღმდეგობისა, ჩვენ მაინც ვიპოვნით გზას აფხაზთა გულებისკენ“-ო. კაბინეტიდან გამოსულებს კი გვითხრა:-“ახლა გუბაზმა იმტვრიოს თავი, ჩვენ კი ჩვენსას მივაღწევთ“. მერაბის ეს ფრთოსანი ფრაზა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლოზუნგად იქცა.

ფასდაუდებელია მერაბის წვლილი როგორც ეროვნული მოძრაობის, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიღწევაში, ის რომ აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისს სეპარატისტთა მიერ განხორციელებული თავდასხმა თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალზე და ქართველ მოსახლეობაზე ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ომში არ გადაიზარდა, მთლიანად მერაბ კოსტავას დამსახურებაა, რადგანაც 16 ივლისს ღალიძგის ხიდთან მოზღვავებულ ათასობით შეიარაღებულ, მომხდარით აღშფოთებულ ხალხს მერაბი გადაეღობა და უკან დახია ისინი. მისდამი სიყვარულმა და პატივისცემამ გააჩერა ფაქტიურად უმართავი ხალხი.

ძნელად წარმოსადგენია თუ რა შედეგს მივიღებდით, ეს ხალხი ღალიძგის ხიდს იქით რომ გადასულიყო. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ მივიღებდით მასშტაბურ სისხლისმღვრელ „ეთნოკონფლიქტს“ (ნუ დავივიწყებთ, რომ 1989 წელია).

„ლიხნის წერილი“ (და არა მხოლოდ ეს ერთი) რომ საქართველოში არ დაწერილა, არამედ კრემლშია ნამშობიარები, ეჭვს ნამდვილად არ უნდა იწვევდეს. აქედან გამომდინარე, საკითხავია, რომელ ტერიტორიულ-სამართლებრივ სივრცეში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო აფხაზეთი? ჩატარდებოდა კი ამის შემდეგ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები ან ერის ნების გამომხატველი 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი აფხაზეთის ტერიტორიაზე? აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაც.

ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით მკითხველისთვის მიმინდვია, დაწვრილებით და ვრცლად ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ახლო მომავალში ვისაუბრებ.

ახლა კი იმას ვიტყვი, რომ უფლის ნებამ მოგვივლინა მერაბ კოსტავა 1989 წლის 16 ივლისს ღალიძგის ხიდთან, დღეს კი მის გარეშე უმოწყალოდ ცოტანი დავრჩით.

# „უნდა გავძლიერდეთ!...“

კიდევ ერთი უბედურება დაატყდა დედა–საქართველოს, გამოგვაცალეს მერაბ კოსტავა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ეს უიარაღო რაინდი გველეშაპს ებრძოდა.

„სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა“, – გვასწავლის დიდი ილია. სწორედ ილიას გზით ვიდოდა მერაბი. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა: „... განგების წინაშე უნდა ვიყოთ მართალნი, თორემ შესაძლებელია განგებამ ისეთი გამოცდა მოგვიწყოს, რომ მთელი ერი დაიღუპოს. დღეს ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ...“

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით სწორი, სამართლიანი გზის პოვნაში, ერის გამოღვიძებაში.

„მერაბ კოსტავასა და მისი მეგობრების დამსახურება განუზომელია ქართული ეროვნული მოძრაობის განახლებასა და აღორძინებაში. მათ შეუძლებელი შეძლეს, მკვდარი საქართველო გააცოცხლეს“ – ეს სიტყვები გამოჩენილ ქართველ მწერალს ნოდარ წულეისკირს ეკუთვნის.

სადღაც ამომიკითხავს, ვაჟა–ფშაველა, თურმე მოსახლეობას ჩვეულებრივი მელექსე ეგონა. მეც ასეთი მეგონა მერაბი...

სტუდენტობისას, ერთ წელიწადს, მერაბის ბინაში ვცხოვრობდი (ჯავახიშვილის ქ. №1). საოცრად უბრალო, სადა მახსოვს იგი. ალბათ ამიტომაც იყო ასე დიდებული, პირდაპირი, ალალმართალი და პატიოსანი!

რამდენი ტანჯვა–წამება გადაიტანა, ერთადერთი ვაჟიშვილიც დაეღუპა, მაგრამ არ გატეხილა ეს სულით საოცრად ძლიერი ვაჟკაცი. მერაბს არასოდეს უფიქრია საკუთარ ავტორიტეტზე და სახელზე. დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ჭკუას გვარიგებს: „... რაც შეეხება სახელს, იგი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თვით მოგაკითხავს“. მერაბსაც მოაკითხა სახელმა... შარშან, 22 მაისს, ჩემთვის საყვარელ კაცს, ვოვა ვეკუას შევხვდი, „მერაბი ზეგ უნდა ჩამოვიდესო“, – მახარა ვოვამ.

ზღვისპირას, რესტორან „ამრას“ წინა მოედანზე შევხვდი დიდი ხნის უნახავ ახლობელს, მაშინვე მიცნო, გულში ჩამიკრა, ოჯახის ამბავი გამომკითხა: „მერაბ, ამ საღამოს აუცილებლად შინ უნდა მეწვიო, ჩემს ბიჭებს გაგაცნობ“, – ვეუბნები გახარებული. არ ვიცი, მერაბს საერთოდ უარის თქმა თუ შეეძლო.

მერაბი თამადობდა იმ ღამინდელ სუფრას. მახსოვს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირობაზე ჩამოაგდო სიტყვა, უნდა აღდგესო გმირის სახელი.

დიდებულად იმღერა კახური „მრავალჟამიერი“. კუკური ფიფიამ და მერაბმა მეგრული „კუჩხიბედნიერიც“ შემოსძახეს. „მსოფლიოში არ არის ასეთი სიღმერა“, გვეუბნება მერაბი. „თუ ძმა ხარ, თბილისს რომ ჩამოხვალ, გამოიარე ჩემთან, ერთად დავამუშაოთ ეს სიმღერა“ – შემიპირა.

მერაბს სრულიად შემთხვევით წამოსცდა არაქართული სიტყვა, მყისვე მივეცი შენიშვნა. შემომხედა, გაიღიმა და მეუბნება: „ოჰო, კარგია“! თემურ ლორთქიფანიძემ, მერაბის სულიერი ძმის ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო შემოგვთავაზა. მორიდებულმა ვოვა ვეკუამ სიტყვა ითხოვა. ვწუხვარ, სრულად აღარ მახსოვს მისი სიტყვები. საქართველოს თავისუფლებისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე – 26 მაისი მოგვილოცა.

„ეს უთუოდ სიმბოლურია“, – დაუმატა ვოვამ. შემდგომი ჩვენი შეხვედრა დაბა ლესელიძეში მოხდა 1 აპრილს. ძალიან რთულ, საშიშ სიტუაციაში მიმდინარეობდა ერთსაათიანი მიტინგი. მერაბის გვერდით ედგა ნუგზარ მგალობლიშვილი. გუდაუთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის კ. ოზგანის ტრიბუნაზე ასვლამ კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა.

ივნისში ორჯერ ვინახულე მერაბი თბილისში. ნაცნობი სახლი... სრულიად მოურიდებლად შევდივარ... დედამისმა, ქალბატონმა ოლიკომ მაშინვე მიცნო, – ზვიადსა და მერაბს სტუმრები ჰყავთ ბალტიისპირეთიდან, – მეუბნება ქალბატონი ოლიკო.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისევ დავბრუნდი. მერაბმა სტუმრები გააცილა, შინ შემიყვანა, ცოტა ხანს ვისაუბრეთ, აფხაზეთის მწვავე ამბები გამომკითხა.

„უნდა გავძლიერდეთ!“ – თითქოს ბრძანებით მითხრა. საჩუქრად ჟურნალი „საქართველო“ გადმომცა. ეს იყო მერაბის ბოლო საჩუქარი. ის იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც.

13 ოქტომბერს მე და ჩემი მეგობრები ბ. გოგუა და კ. ფიფია სასადილოში აღმოვჩნდით. შევსვით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სადღეგრძელო.

ერთი საათის შემდეგ მეზობელმა ქალმა უბედურება მამცნო. ვერ დავიჯერე, უშედეგოდ ვრეკავ თბილისში, მერაბის ბინაზე.

ვურეკავ ჩემს მეგობარ სოსო ადამიას. სოსოს ძმამ მიპასუხა: „სოსო ხარაგაულს წავიდა, კოსტავა... გარდაიცვალა“.

არც მახსოვს, როგორ მოვხვდი რკინიგზის სადგურზე.

თბილისი, მეტროს სადგური „რუსთაველი“, უამრავი ხალხი დგას „ზემელზე“. ჩავდექი რიგში... ნაცნობი ეზო... ცრემლებს ვეღარ ვიკავებ, სრულიად დამავიწყდა ქალბატონ ოლიკოსთან მისვლა.

დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი – ყველა ტიროდა. თვალცრემლიანი მტირალი სტუდენტი გოგონების გვერდზე აღმოვჩნდი.

საშინლად ვღელავ „მოამბის“ დაწყების მოლოდინში. და... გავიგონე საოცნებო სიტყვა, – „მთაწმინდა“. ჩემდაუნებურად წამოვიჩოქე, პირჯვარი გადავიწერე და... ვიტირე.

ჩემს შესაძლებლობებს აღემატება იმის აღწერა, რაც 21 ოქტომბერს სიონის ტაძარში და მთელს თბილისში ვნახე. ამის აღწერა უბრალოდ შეუძლებელია, იგი უნდა გენახა... მთაწმინდაზე ორი სიმღერა იმღერეს, პირველად მერაბის საყვარელი „შავლეგო“. ვიღაცამ დაიძახა: „ნიჩბები არ ვიხმაროთ, ხელით მივაყაროთ მიწა!“.

ამ ქართული მიწის სიყვარულმა აგამაღლა მთაწმინდამდე, ძმაო მერაბ!

შენი მარადიული სულის დიდება იყოს, ერის სინდისო!

მაგრად უნდა ვიყოთ!...

*1989 წ. დეკემბერი. ქ. სოხუმი*

**დიმიტრი ქებურია**

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.*

# მიშველეთ! SOS! არ მინდა წასვლა!

პამფლეტი

გამარჯობათ! ჩემო ტკბილო და ნიჭიერო ხალხო! ყველას მოგესალმებით. დიახ! ეს მე ვარ თქვენი პრეზიდენტი. გადავწყვიტე გულახდილად გაგესაუბროთ – ჩემს განცდებსა და სურვილებზე. ბევრჯერ მოვინდომე ეს, მაგრამ გარემოცვამ ამისი საშუალება არ მომცა. მართალია, ტელევიზიით ხშირად მომიმართავს თქვენთვის, თუმცა სად გულღია, უშუალო გასაუბრება შენს ხალხთან.

ვიცი – ამაზეც ცხვირს ამიბზუებენ ჩვენთან შეუთანხმებლად რატომ გააკეთეო, მაგრამ ერთხელ ჩემითაც ხომ უნდა მივიღო რაიმე გადაწყვეტილება?

პირდაპირ გეტყვით – მარტო ჩემზე, რომ ყოფილიყო დამოკიდებული ასეთ დღეში არ ჩაგაგდებდით. გამოდის ხალხი და იძახის! – საქართველოშიო ლამის 70 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობსო. მე, სხვა ციფრებს მაწვდიან, მაგრამ თქვენ გგონიათ, არ ვიცი? არ მაწუხებს? გული მაქვს მკვდარი. ხომ მამჩნევთ შიგადაშიგ როგორი დაღონებული დავდივარ. ხანდახან ვტირი კიდეც. მაგრამ არ გაივსო ამათი მუცელი, აქეთ მე მწოვენ სისხლს, იქით ქვეყანას. რამდენს არ ვყვირივარ! ვეჩხუბები, ვერაფერს გავხდი. ხალხს თუ არ მოვუჭირეთ – ჩვენ რა ვჭამოთო? პრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ გული მეც მაქვს, არჩევანზე რომ მიდგება საქმე, პირველ რიგში შვილს აირჩევ, რა ვქნა არ მეთმობიან ეს ოხრები! თან, რამე რომ მოხდეს – ისევ ამათი იმედი მაქვს – თქვენ ბოლომდე მაინც ვერ გენდობით. ხოდა ვარ ასეთ გაორებულ მდგომარეობაში, – ცალკე თქვენი გაჭირვება მტანჯავს – ცალკე ამათი სიყვარული.

ახლა რას მოვაყოლე ეს ყველაფერი და სინამდვილეში რა მინდოდა მეთქვა. რაც დრო გადის და ჩემი პრეზიდენტად ყოფნის ვადა იწურება და იწურება, გული მეწვის, მეკუმშება, რა სულელი ვიყავი, რომ არ ვისარგებლე შემთხვევით და თავი მუდმივ პრეზიდენტად არ გამოვაცხადე. მე თქვენ გეტყვით ხალხს არ ვუყვარდი, ჩემი გულისათვის ზღვაში გადაეშვებოდა. პარლამენტშიც იმხელა უმრავლესობა მყავდა, რომელიც თვალებში შემომციცინებდა – რა კანონსაც მინდოდა იმას მივაღებინებდი; ჩემს ხელში იყო ყველაფერი – მე კი ავდექი და ქარს გავატანე, დემოკრატობანას თამაში მოვინდომე, ამერიკის პრეზიდენტს დავუწყე მიბაძვა და პრეზიდენტობის დრო ჩვენთან საქართველოში ორი ვადით დავადგინე.

რა მრჯიდა? ამერიკაში იდეების გამო მოდიან ხელისუფლებაში, ჩვენთან იდეები ვის რა ჯანდაბად უნდა, ჩვენთან პირადი მატერიალური და ყოფითი პრობლემების მოგვარებაა მთავარი, ხოდა ამისათვის ორი ვადა ვის ეყოფა!. ავყევი რა მეც! აგერ ბიჭები – არაბულ ქვეყნებში, სხვაგანაც გუგულებივით ზიან თუ არა 20, 30 და 40 წელიც, მე კი ავიჩემე – დასავლეთი, დასავლეთი, ეხლა დასავლეთი მიშველის? შორს რომ არ წავიდე აზერბაიჯანი აიღე – მამიდან შვილზე, შვილიდან ალბათ ისევ შვილზე, რა ჯობია ამას. რატომ ალიევს არ ეუბნებიან არადემოკრატი, უზურპატორი ხარო? ვინ აკადრებს? თეთრ სახლშიაც ღებულობენ, ხელსაც უთათუნებენ – არის ყველა ბედნიერი.

მე, ავტყდი – ორი ვადა, ორი ვადა. რა ეშმაკი შემომაფრინდა მაშინ მხარზე. კი! – მეც შემიძლია პუტინივით მოვიქცე, ამისათვის ნიადაგიც შევამზადე. მაგრამ ეე! რა ხდება რუსეთში? თავისივე აღზრდილმა, გზაზე დაყენებულმა და კაცად ქცეულმა მედვედევმა – პრეზიდენტობა კარგი ყოფილა, ამიტომ დათმობასაც არ ვაპირებო. ხედავთ? არავისი ნდობა არ შეიძლება. ამ ამბის გაგონებამდეც მღრღნიდა ეჭვები, ახლა ხომ საერთოდ ძილი და მოსვენება დავკარგე, რომელს გინდა ენდო – ესენი თქვენ მედვედევზე უკეთესები გგონიათ?

მე, ნაკლები ჯაფა და ამაგი მიმიძღვის თითოეულის წინაშე? კაცად მე არ ვაქციე? ხალხში მე არ გამოვიყვანე? მსოფლიო მე არ ვანახე? მილიონები იშოვეს და ერთმანეთს მილიარდერად გახდომაში ჩუმად რომ ეჯიბრებიან, მაგათ თუ გონიათ – არ ვიცი. მამები, სიმამრები, ძმები, დები, ცოლები, ახლობლები – თბილად რომ ყავთ მოყუჩებული – ესეც ვიცი. აბა! ვანო მეტს რას მიკეთებს? ამიტომაც მწყდება გული – ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვები ყირაზე გადადიან და მე კი გამწარებული ხალხის ხახაში ჩასაგდებად მიმეტებენ. მაგრამ მკაცრადაც ვერ დატუქსავ, მოგიბრუდებიან და ჩემს ამბავს სულ ცხვირწინ დამილაგებენ. მე, ხომ ჩემს მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი შევარდნაძეს უარესი დღე დავაწიე – ჩაის დალევა არ ვაცალე ისე გავაბუძგულე. არ მინდა ამის გახსენება.

ხოდა! – ენა არ მიბრუნდება, ვის მივადგე? მესამე ვადით დარჩენა ვის ვთხოვო? ამიტომ ისეთი რამე უნდა მოვიფიქრო, ჩემი შემდგომი პრეზიდენტობა – ძალიან თვალში საცემი არ იყოს. თქვენი რჩევის მოსმენაზეც არ ვიტყვი უარს, ოღონდ პრეზიდენტად დატოვების პირობით.

ვთქვათ, პლასტიკური ოპერაცია, რომ გამეკეთებინა და არჩევნებში თავიდან მიმეღო მონაწილეობა, ცუდი აზრი ნამდვილად არ არის. ჩემებს დავიყოლიებდი, მაგრამ ჟესტიკულაცია და სიარული ვიცი ისეთი, მაშინვე მიცნობენ, ამ ცხვირზე თითის გამოსმას ხომ ვერა და ვერ გადავეჩვიე. შალვა ნათელაშვილისა და ზოგიერების ჯღავილს რა გადაურჩება – მსოფლიოს შემიყრიან.

ზოროსავით – ნიღაბი რომ გამეკეთებინა, – კარგია, მაგრამ ხალხისთვის სიკეთის კეთება არ მეხერხება და ეჭვი არ არის მაშინვე მიცნობენ.

კომუნისტური წყობა რომ დავაბრუნო? რა მოხდება ვითომ? ცეკას პირველი მდივანი გავხდებოდი, ანუ ისევ პირველი! შევარდნაძე ხომ იყო ცეკას მდივანი, – მერე პრეზიდენტი. მეც, პრეზიდენტობიდან ცეკაში გადავდიოდი, რა არის ამაში ცუდი? ოპოზიციას როგორმე გავაჩუმებდი, ერთხელ შევთანხმებულვართ თუ ორჯერ – მაგათი წამალი მე მკითხეთ. ნათელაშვილს დუშეთში დავნიშნავდი რაიკომის მდივნად, ბურჯანაძეს – თერჯოლაში, ეროსი კიწმარიშვილს – რუსთავში და ასე შემდეგ დანარჩენებს. მაგრამ ევროკავშირს, ნატოს, ამერიკას რა ვუყო, მაგათ რა გააჩერებს, ოხ! ეს ამერიკა, ამერიკა – ამათმა აყოლამ დამღუპა.

ბავშობაში წავიკითხე – ბელიაევის პროფესორ დოუელის თავი, რომელსაც მოკვეთილს შეეძლო საქმიანობა, ამდენ ფიქრში ესეც გამახსენდა. დღეს კი მედიცინა ისე შორს წავიდა ამის გაკეთება უკვე შესაძლებელია. ხოდა, მეც რომელიმე ჩემიანისთვის ტანის გადაცვლა



რომ მომეთხოვა? მართალია თავი ჩემი იქნება, მაგრამ სხვისი ტანით რას მიცნობდნენ, თავისუფლად მივიღებდი არჩევნებში მონაწილეობას. გაგიცვლიან? – ამაშია საქმე? მადლობა ღმერთს, ტანი ისეთი მაქვს – ვინ უნდა მითხრას უარი, თუმცა ასეც ვერ იტყვი! ოპერაცია რთულია და შეეშინდებათ. გილაურს კი დავითანხმებდი, კოჭებში ეტყობა უარს არ მეტყვის, მაგრამ რაც მე, პუტინსა და მედვედევს ლილიპუტები ვეძახე – გილაურის ტანით სად გამოვჩნდე? ქალებიც დამცინებენ. არც ბენდუქიძე – მეტყვის უარს თავის კასრში ჩემი ტანი თუ მივეცი, მაგრამ გვერდი–გვერდ რამდენი ხანი ვიარო? თან ისინი ხომ სულ დაიხოცებიან სიცილით.

რა ვქნა? ეს რა აზრები მომდის თავში? რა კარგი ყოფილა ეს პრეზიდენტობა და რა ძნელია მისი დათმობა. ოხ! ეს ვადები და არჩევნები ვინ მოიგონა – ერთი გამადებინა ფეხქვეშ. ვატყობ ისე მიდის ჩემი ამბავი – პრემიერობაზე უნდა დავთანხმდე, მაგრამ თუნდაც დროებით – რომელი გაუშვა წინ მერე რომ თავში საცემად არ მქონეს საქმე. რომელს ვენდო? ამ ბოლო დროს ისეთი ამბები მესმის თითოეულზე, სულ დამეკარგა წარმოდგენა. პრეზიდენტი, რომ გავხდი – ხალხს დავპირდი ჩემს ჩინოვნიკებს მათი ყვლეფის უფლებას არ მივცემდი – გავაკეთე? არ გავაკეთე!. ვემუქრებოდი – თუ რამე გაბადიათ ახლავე ჩაწერეთ დეკლარაციაში – მერე სიდედრ–სიმამრის ნაჩუქრად რომ არ გაესაღებინათ, შევასრულე? არ შევასრულე!. ამათაც რომ ნახეს თვალები მქონდა მოჭუტული ქ ვეყანა თავზე დაიმხეს. კიდე კარგი ჭკუა მეყო, თან ამერიკაში ამის მეტი რა მასწავლეს – პოლიცია და ჯარი გავაძლე. თორემ ამათი იმედით – სულ ცოტა ხუთჯერ ჩამომაგდებდნენ. მარტო 2007 წლის ნოემბერში მე, რომ შიში ვჭამე – გახსენებაზე სულ ჟრუანტელი მივლის.

ეე! გია ბარამიძე – რომ მეგონა ბუზს არ ააფრენსო, – მისულა და ნახევარი საბურთალო ჩაუგდია ხელში, სახლები იმდენი ქონია, თვითონაც ვერ აგნებს. ახლა ამ ჩემს რეზიდენციასთან ახლოს აღმართში იმოდენა სახლი აუშნებია, იმ დღეს ხმაურზე, რომ გამოვიხედე – რა ხდება–მეთქი? შალიკო იყო მოვარდნილი და ყვიროდა არ შევარჩენო. ძალიანაც კარგი! მომიცუცქდა გვერდში – ფიქრობს ალბათ მოსწრებაზე თუ მიდგა საქმე მეც აქვე ვიქნებიო.

ისე ესენი: ბარამიძე, მაჭავარიანი, წერეთელი, გოგორიშვილი და ის ფულის ტომარა ნოღაიდელი – მთლად ჩემები კი არ არიან. საწყალი ჟვანიას გამოზრდილებია. რა გამიბედეს? – ჟვანია, რომ გარდაიცვალა შემომივარდნენ ნოღაიდელს პრემიერად თუ არ დანიშნავ ოპოზიციაში გადავალთო, მეც იძულებული გავხდი ყაჩაღი პრემიერად დამენიშნა. მერეც კაი ხანს ძაღლებივით მიღრენდნენ. მაგრამ შემოვირიგე, მიუშვი საძოვარზე და მათაც გული მოულბათ. თუმცა რას ერჩი? კაცმა, რომ თქვას ჩემებზე მეტი ერთგულები კი აღმოჩნდნენ. მარტო ოქრუაშვილის, კეზერაშვილისა და არველაძის გამო მე, რომ გამაწითლეს და სირცხვილი ვჭამე იმას რა დამავიწყებს.

რომელი ერთი გავიხსენო, აგერ ბაქრაძე, მის აღზრდასა და კაცად გახდომას რამდენი ძალა და ენერგია შევალიე, – ამასაც თავისი სიმამრი ხარაგაულში ერისთავთ–ერისთავად გაუმწესებია და როგორც მეუბნებიან, მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ გადაფრინდება.

ჩემი ჩეგევარა? მოფერებით მეც – ჩე–ს ვეძახი – გივი თარგამაძეს. მეფიცებოდა შენს აზრებსა და ვარდების რევოლუციის მონაპოვარს მთელს მსოფლიოში გავიტან და უკვდავს გაგხდიო. სულ ტყუილი გამოდგა, ჩააგდო ყველაფერი, სხვაგან კი არა! ნეტა აქ შეგვრჩებოდეს ჩვენი რევოლუციის მონაპოვარი. თავისი ფულების მეტი არაფერი ახსოვს, იმდენიც იშოვა. ვანომ მითხრა – კახა თარგამაძე ურეკავს თურმე, რომ დამდევდი და ჩემი მილიონები გიკვირდა, შენი მოგვარე ხომ ვარ მილიარდებიდან ცოტა მეც მომეციო. კიდევ კარგი ამას მკვახედ უპასუხია – ხალხისა და მიშას მტრებს ქუსლით ვსრისავ მეო! მომეწონა, მშვენიერია!

ოქრუაშვილი ხომ გახსოვთ? ჩემი ყოფილი მინისტრი, თავიდან მეც ოქრო რომ მეგონა. ამასწინათ ტელევიზია მაესტროში, თუ სილიბისტროში გამოვიდა და იძახის! იცითო? სააკაშვილის ქონების მატერიალიზაცია – რა თანხაში გამოიხატებაო? მერე დაუმატა – რამოდენიმე მილიარდშიო. გესმით! ჯერ ერთი მაგას ვინ კითხავს ჩემი ქონების აღრიცხვას. თუ მაგარი ბიჭია? თვითონ აგვიხსნას – პარიზში წლობით რომ არის გამოჭიმული სასტუმროში, რომელი ფულებით?. მერე მირეკავს და ნახეთ რას მეუბნება?, აიო! პრეზიდენტობიდან რომ გაგიშვებენ ოფშორულიზონის ბანკებში შენი რამოდენიმე მილიარდით თუ გამოჩდები – ბანკის თანამშრომლები ხომ სიცილს დაგაყრიან ამოდენა კაცს, პრეზიდენტად ნამუშევარს – რამოდენიმე მილიარდის მეტი რომ არ გექნებაო? ნახეო? მუბარაქი, კადაფი, სალეხი – 50–დან 70 მილიარდამდე აქვთო თითოეულს ნაშოვი!, გულზე გამხეთქა – ამის შეხსენება მინდოდა მე?. მაგას ეგონა რამე წამომცდებოდა – იწერდა ალბათ. არადა, ვანოს რამდენჯერ ვყავარ გაფრთხილებული, ტელეფონით სისულე არა თქვაო! – გისმენ იცოდეო!. ახლა თქვენ გეუბნებით ამას და მაგრად შეუშვით მაგ გოგრებში, მეტი არ გამამეორებინოთ!. მე, მილიარდები არასოდეს მქონია, არც მექნება. პრეზიდენტად დარჩენა კი იმიტომ მინდა, ოქრუაშვილის ნაირების დასაცინი არ გავხდე.

ბურჯანაძეს რაღა უნდოდა? ცივ ნიავს არ ვაკარებდი, მამამისი ანზორას გამო – ოთხი–ხუთი წელი საქართველოში გამომცხვარი პური არ მიჭამია – სულ ბაღლინჯოები და ტარაკანები მელანდებოდა. მერე 50 მილიონი დოლარი სესხიც ჩამოვაწერე. ესეც არ ვიკმარე, ავდექი და წყნეთში გექტრობით მიწა თავისი შენობიანად ლარად მივეცი. ხალხს, კი იხტიბარს არ ვიტეხდი და ვეჩხუბებოდი – აბა! მიჩვენეთ ელიტარულ კორუფციას სად ხედავთ–მეთქი?! ეს ელიტარული კორუფციაა, აბა რა ჯანდაბაა, მაგრამ რა ვქნა? გაღმა უნდა შეედავო – გამოღმა რომ შეგრჩეს. გაიგეთ! თუ კაცი ოპოზიციაში – არ გადავა და ჩემს ლანძღვას არ დაიწყებს იმას ყველაფერს დავუტოვებ – ვაპატიებ. ბევრმა იცის ჩემი ეს ხასიათი და არიან გასუსულები. ჩვენი ნინო კი ყველაფრით უკმაყოფილო იყო – სულ მეტი და მეტი უნდოდა. ისეთი ეშმაკია – რაც ზემოთ არის, სამი იმდენი ქვემოთაა. არ მომინდომა? სია მომიტანა – ესენი ყველანი პარლამენტის წევრები უნდა გახადოო!

დავუძახე ვანოს! – გადაირია კაცი, არ გაბედო თორემ უმრავლესობაში მოვა – მერე იმპიჩმენტს მოგიწყობს და თვითონ დასკუპდებაო!. ხედავთ! რა განსაცდელს გადავურჩი. ტყუილა არ ვეძახი ვანოს ქვეყნის ხერხემალს.

დასასრული მე-12 გვ.

# ლიტერატურული გვერდი



## ნოდარ ჯალაღონია

*   *   *

რადგანაც გავჩნდით განგების ნებით
და ღვთისმშობელსაც ასე ენება,
არც საქართველო, არც ქართულ ენას
არ უწერია გადაშენება.

*   *   *

კვლავაც ერთმანეთის მტრობა და
ქვეყნის და ერის ღალატი,
იუდას ვერცხლის ჩხრიალი
და მოღალატის ხალათი.

ისევ, სამშობლოს მტრების წინ
მუხლზე დგომა და ფიცილი.
სანამ ვანგრიოთ ქვეყანა
ღიმილითა და სიცილით.

არ ცხრება საქართველოში
ბალვაშ–შადიმანთ ამქარი,
სანამდე იყოს სამშობლო
ციხე, შიგნიდან გამტყდარი.

*   *   *

ისევ მიდი–მოდიან მეფეა თუ მესია
მაგრამ ქვეყნად არ კვდება ლექსი და პოეზია.

ბევრი ძეგლი ინგრევა დროით განაწირები,
მაგრამ ქვეყნად არ კვდება სახელები გმირების.

რადგან იმათ სახელებს ვლოცავთ და ვეფერებით,
საქართველოს სჭირდება ლექსი და სიმღერები.
რადგან გვეამაყება სვეტიცხოვლის კედელი,
საქართველოს სჭირდება ფუნჯი და საჭრეთელი.

თუმც ყველას და ყველაფერს ქვეყნად დასასრული აქვს,
იმ ფრესკებში, ლექსებში საქართველოს სულია.
სწორედ მათი წყალობით მტერი ვერ მოგვერია,
უკვდავ „მრავალჟამიერს“ ჩვენში დღესაც მღერიან.

დღესაც გულს გვაწერია, მთაშია თუ ბარადა,
იმ მოყმის და იმ ვეფხვის დაწერილი ბალადა.
რადგან ლექსით, სიმღერით ვევედრებით უფალსაც,
არ მოკვდება არასდროს ჩვენში „მუმლი მუხასა“.

*   *   *

გამოვიარეთ გზა გრძელზე გრძელი
აღარ გვივლია მიეთმოეთით,
გვყავს რუსთაველი პოეტი–მეფე,
და გვყავს არჩილი მეფე–პოეტი.
რომ არა მათი ღვაწლი და ნიჭი,
სამშობლოს როგორ მოვიპოვებდით.
ვაჟა–ფშაველა პოეტი–მეფე,
ვახტანგ მეექვსე მეფე – პოეტი.
გვყავდა, გვყოლია და გვეყოლება,
რადგან აქამდე ასე მოვედით,
გალაკტიონი პოეტი – მეფე,
თეიმურაზი მეფე–პოეტი.

## ირინე ტალიაშვილი

### ისევ ისინი

წარსული წლების დიდების სული
ისევ არტყია ძველ ივერიას,
იყო თაობა, მტერი ვერაგი
ბევრჯერ ძლევით რომ მოიგერია.

ჩვენი გმირები, ხმალთა უფალნი
მემატიანეს კალმით უქია,
ჩანს ისტორიის მიმქრალ დღიურში,
თუნდაც კოსტავა, გამსახურდია.

აგერ, გაშლილა დროშა სულეთის,
ერის სახება მოჩანს მშფოთვარე,
ეს არის ჩვენი თავისუფლება,
რაც მოვიმზევეთ და ვიმთოვარეთ.

არც ეს მაისი დავიწყებულა
და გოლგოთაზე შვებით როს ავა,
წინ წაუძღვება ჯარი მხედართა
ისევ ზვიადი, ისევ კოსტავა.



Анатолий Головков

**ანატოლი გოლოვკოვი**, ცნობილი რუსი მწერალი, კინოდრამატურგი, მუსიკოსი და ბარდი რამოდენიმე პოეტური და მოთხრობების კრებულისა და სამი რომანის ავტორია („Трубач“, „Воздухоплаватель“, „Jam session - хроника заезжего музыканта“).

1989 წლის 9 აპრილს, იური როსტთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, საკუთარი ვიდეოკამერით დააფიქსირა პარლამენტის წინ და თბილისის ქუჩებში დატრიალებული ტრაგედიის კადრები და ამის საფუძველზე შექმნა დოკუმენტური ფილმი – „უკომენტაროდ“, რომელსაც ფონად გია ყანჩელის მუსიკა შეურჩია. ეს ფილმი მერაბ კოსტავას კომენტარით სრულდება.

ანატოლი გოლოვკოვის პუბლიცისტიკა სამ კრებულად გამოიცა (М.: Правда, 1989); 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი მისი პუბლიკაცია გამოქვეყნდა გაზეთში „Молодежь Грузии“. იგი ჟურნალ „Огонек“–ის პრემიის ლაურეატია (1989, 1990 წწ.); სსრკ ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი ნომინაციაში „Честь, достоинство, професссионализм (2005).

1989 წლიდან, ასევე ნაყოფიერად მუშაობს კინოში; 2003 წელს მისი პროექტით შეიქმნა მხატვრული ფილმი „Кулагин и партнеры“ (პროდიუსერი ვ. გრიგორევი), 2004 წელს 4 სერიანი ფილმის „Иосиф, сын сапожника“ სცენარის ავტორია (პროდიუსერი ვ. მალიშევი); 2005 წელს მისი სცენარით იდგმება ორი ფილმი „Возвращение“ და „Последнее предупреждение“ (პროდიუსერი ლ. ზაგალსკი); სერიალები „Проклятый рай“, „Безмолвный свидетель“, „Сваха“ და სხვა. ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში.

* * *

Спасите вино «Ахашени»!
Мне жаль и другие, но в нем
Сплетаются древние тени
И кровь наполняют огнем.

Не трогайте бочки в подвалах,
Не жгите плантации, нет.
На наших просторах немалых
Хватает несчастий и бед.

Не слышат. Все ближе морозы,
Бледнеет зеленый наряд.
Сцепившись, последние лозы,
Как перед расстрелом стоят.

*Из грузинского блокнота*
*Нугзару Мгалоблишвили*

### Атени

Как пламенеют георгины,
В кривом и узеньком дворе.
И дверь в свеченье паутины
Распахнута, и на горе
Видна дорога до погоста,
Куда покойника снесли.
Ореховый, непрочный остров
В раздорах неба и земли.
Там до сих пор земляк чугунный
Пугает птиц и лошадей,
И с постамента ночью лунной
Хрипит: «Ужо я вас, б...й!»,
Ему мерещитсяизмена,
Подсчет последних голосов
На съезде, выстрелы, сирены
Меж гор, надгробий и крестов.
Что до него моим соседям?
Сидят за струганным столом,
И к их досаде, к их беседе
Весь век прислушивается дом.
Но дольше века согревает
Им душу юное вино.
На флейте девочка играет
И вечность смотрится в окно.

### Ущелье Марии

Подъем – и ступени глухие
Уводят в заброшенный зал.
Сиони в ущелье Марии
Мне старый грузин показал.

Алтарь в изголовии храма,
Иголки лучей из бойниц.
Причудливая панорама
Святых из районных больниц.

Суровая серость и сырость,
Ушедших веков толкотня.
Последняя Божия милость,
Последние проблески дня.

### Цхнети

Один, с лампадой, у мольберта,
И день, и год, и век подряд
Кладешь на лед оскольки света
И ешь с горчинкой виноград.

Вдали от славы и погони
Полуприкаянный приют,
Где лозы ластятся к ладоням
И до балкона достают.

### 8 августа

Перекрестным дождем окропило обители разные,
До утра завывают ветра в водосточной трубе,
Ты спроси, что за этими ставнями празднуют,
Загляни – может быть, поднесут и тебе.

Говорят: обмывают звезду да нашивку на кителе
За победу над тем, что тебе больше жизни родней, -
Над редающим кругом друзей, над портретом родителей,
Над тобой, надо мной, над страною, уже не твоей.

Ищем странника посох когда не хватает нам воздуха,
Потому что никак не надышатся им палачи,
До других берегов можно морем, а можно и посуху
Только не суждено, хоть моли, хоть молчи, хоть кричи.

ლიტერატურული გვერდი



ლეილა ქემაშვილი

# გამოფენა

*იური მოსიძეს*

ნოველა

ყვავილების სიყვარულით, ალბათ ვერავის გავაკვირვებ.

ბავშვობა სოფელში გავატარე. ბუნებაში. ჩემი სახლის აივნიდან ალაზნის ველი ხელისგულივით მოჩანს. მზეც იქიდან ამოდიოდა. ისეთი ლამაზი იყო, მეწამული ვეებერთელა ბურთი რომ ამოცურდებოდა და ნაღვერდალივით ღვიოდა და ლივლივებდა. სულ თვალებში მიჭვრიტინებდა.

ჩვენი ეზოს გადაღმა ღელე იყო. იყო, რადგან მე იქ წყალი არ მინახავს, ალბათ დაშრა, მაგრამ სახელი კი შერჩენოდა. ირგვლივ ფერდობები, სულ ზევით სიღნაღის გალავნის ნაშთიც მოჩანდა. ჩვენი სახლი თითქმის სოფლის თავში დგას.

ბავშვები ღელეში ვთამაშობდით, ღელეში — ბროწეულის ხეები, ხეები კი არა — ბარდები, დიდი კომშის ხე; შავი ლეღვის ხე, მუდამ გადაკაფული თუთის ხეები, მაყვლის ბარდები, ჭინჭარი ღობის ძირებში, ჭინჭრის დედა და ლაშქარა. რა ლამაზები არიან! ბალბა, რომელსაც ღილივით თესლებს ვაცლიდით, მაჯაზე ვიდებდით, თითს მაგრად ვაჭერდით, თან ხმამაღლა ჩავუთქვამდით ბალბაწუუუ, ბალბაწუუ და თითს რომ ავუშვებდით და თესლსაც მოვიცილებდით, მისი ანაბეჭდი გვაჩნდა კარგა ხანს და ძალიან მოგვწონდა, ჭყიმი, რომელიც ღობის სიმაღლე იზრდებოდა, მსხვილი ღერო ჰქონდა და მილივით იყო. ღეროს მოვტეხდით, ერთმანეთს დავდევდით და სულს ვუბერავდით.

ერთმანეთთანაც დავდიოდით. ხან ეზოში ვთამაშობდით, ხან აივანზე ვისხედით და უფროსებს ვუსმენდით, ქვეყნის ჭორსა თუ მართალს რომ ყვებოდნენ. ფანჯრის რაფებსა და აივნებზე კი ყვავილები, ყვავილები.

ძალიან მიყვარს ყვავილები, განსაკუთრებით ოთახის, არა, განსაკუთრებით — მინდვრის ყვავილები. ამიტომ ვაგროვებდი გადაყრილ, ძირგამოხვრეტილ ქვაბებს, კონსერვის ქილებს, მერე მეზობლებს ვთხოვდი ყვავილის ტოტებს, ღელეში ვჩიჩქნიდი მიწას, ვრგავდი ქილებში, ქვაბებში და ჯერ მარანში ვაწყობდი. ასე ვიცოდი, ახალგადარგული ყვავილი, ცოტა ხნით სიბნელეში უნდა გავაჩეროთო, მერე კი ჩვენი სახლის აივანზე ვამწკრივებდი. ეს მანამდე, ვიდრე სოფელში ვიყავი, მაგრამ თბილისში რომ ვბრუნდებოდი, პაპაჩემი თურმე ხელს მოუსვამდა და გადამიყრიდა. მაგრამ რა გგონიათ, ფარ–ხმალს ვყრიდი? მეორე ზაფხულს იგივე მეორდებოდა. ასე იყო, ვიდრე სკოლას დავამთავრებდი. მერე კი სოფელში იშვიათად ჩავდიოდი.

სკოლაში სწავლის პერიოდში ბოტანიკის მასწავლებელი არდადეგების შემდეგ ჰერბარიუმის ალბომის მოტანას გვთხოვდა ხოლმე. ალბომი ალბომად, მაგრამ ადამიანები ხომ წიგნებშიც აწყობდნენ ყვავილის ფურცლებს, იის კონებს, ფოთლებს იმ ადამიანის სახსოვრად, ვინც უყვართ, ან ვინც ბედნიერი წუთები განაცდევინა, ან იმ დღის სამახსოვროდ, რაღაც მნიშვნელოვანი რომ მოხდა მის ცხოვრებაში.

სტუდენტობისას სვანეთში წასვლა გადავწყვიტეთ. სულ გოგოები ვიყავით, ერთი ბიჭი გვახლდა, მე — ყველაზე უფროსი. ჩვენი კურსელი გოგოები ლენტეხიდან იყვნენ და თავზე დავადგეთო. გზა, რა თქმა უნდა, მშვენიერი. თავად გზას კი არ ვგულისხმობ, ირგვლივ ბუნება თვალისმომჭრელი და თვალწარმტაცი, ზოგან ამწვანებული, ზოგან — კლდიანი, ხან ქარაფები, გვერდზე გახედვის რომ გეშინია, ხევში არ გადავიჩეხოოდ და მანქანის მეორე მხარეს იწევი, იქნებ აქეთ გადმოვძალო, ვიდრე გავცდებით ამ სახიფათო ადგილსო. თუმცა ამას ხმამაღლა არ ამბობ და არც იმჩნევ. ცხენისწყლის პირს მივუყვებით, ვიდრე ლენტეხამდე მივალთ, ჯერ კიდევ გვაქვს სავალი. გავიხედეთ და მეორე ნაპირზე, მდინარის პირას უზარმაზარი ლოდი გდია თუ მდინარის ტალღებს დასცქერის, ზედ კი, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია, ჯიხვი გარინდულა! აღტაცება და სიხარული. ასე ახლოდან დავინახეთ ჯიხვი, ამაყად მდგარი, მანქანის ხმაზე, არც კი დამფრთხალა.

უშგულში გვინდოდა ასვლა. ჯერ აილამაში ავედით, უშბა დაგვცქეროდა, იმ მთას კი უწუნკალა ჰქვიაო.

აილამიდან ზაგაროს უღელტეხილამდე ვილისით აგვიყვანეს. იქ რომ ავედით, ჰოი, საოცრებავ, აგვისტოში თოვლი, თოვლზე კი შავი ტიტები.

გზა ფეხით გავაგრძელეთ. ირგვლივ მთები. ისინი მიუწვდომელნი და ბუმბერაზნი კი არ იყვნენ, თითქოს ჩვენ დავცქეროდით ზემოდან, ცაც ისე ახლოს იყო, ხელი რომ აგეწია, მისწვდებოდი. მთები კი არა — ქუდურები (ჩვენთან კახეთში უწოდებენ ასე — ქუდის ფორმა აქვთ და იმიტომ) და ეს ქუდურები ფერად–ფერად და ნაირნაირი ალპური ყვავილებით მოჩითული და მორთული. გზადაგზა მთის შროშანები, აქა–იქ დეკას ბუჩქები, თან ორფერი, იასამნისფერი და თეთრი, წყაროები, წყაროები ყოველი ფეხის ნაბიჯზე.

სოფელში რომ შევედით, ბინდდებოდა, ნახირი შემოგვხვდა, ენგურიც გადავლახეთ, ერთი მომცრო ხის მორი იყო გადებული, იქით შემაღლებულზე ჩაშავებული სამი კოშკი, თამარის კოშკად წოდებული.

ღამე ერთ ოჯახში გავათენეთ,

დილით ადრიანად ვაპირებდით უკან დაბრუნებას. სეტყვა მოვიდა, როგორც იქნა გადაიღო, ჩვენც დავიძარით. მოვდივართ და ასე გვგონია, ცა ქუდად გვახურავს, სილაღე სიმსუბუქე, თავისუფალი ყოველგვარი წვრილმანებისაგან. რაღაც პირველყოფილება, შენ, ცა, დედამიწა და მეტი არავინ, თითქოს ეს სამყარო მხოლოდ შენია.

სამგზავრო ჭიქები გვიჭირავს და ყოველ წყაროსთან წყალს ვსვამთ, მე ყვავილებს ვკრეფ, სულ გავილუმპეთ.

აილამაში რომ ჩამოვედით, ჯოკია გუგავამ გვიმასპინძლა. გაგვაშრეს, დაგვაპურეს და საბარგო მანქანით ლენტეხში გამოგვისტუმრეს.

შინ რომ დავბრუნდი, სვანეთიდან ჩამოტანილი ყვავილები წიგნებში ჩავაწყე.

ერთხელ შევესწარი, ჩვენი ერთი თანამშრომელი, ნატო ქურდოვანიძე გამხმარი ყვავილებით სახატავ ფურცლებზე რაღაც კომპოზიციას აწყობდა, დაბადების დღეზე მივდივარ და საჩუქრად მივიტანო. დიდხანს უტრიალა, ყვავილებს ერთმანეთს უსადაგებდა, მერე კი აწებებდა.

მოვნახე დიდი ხნის წინათ წიგნებში ჩალაგებული სვანური ყვავილები. ვცადე და გამოვიდა. მერე მეც ვასაჩუქრებდი მეგობრებსა და საყვარელ ადამიანებს.

ჩემი ეს გატაცება უყურადღებოდ არ დარჩენილა და რამდენიმე გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა, ტელევიზიითაც კი აჩვენეს.

მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა! და დროც ისეთი იყო, ყვავილები კი არა, თავიც რომ აღარ გახსოვს.

დრო, ისეთი, საღათას ძილი რომ ჰქვია, კი სუნთქავს, მაგრამ... რა?

ზამთარი, ზამთარი, ზამთარი.

მაგრამ ზამთარში ხანდახან დათვიც სტოვებს ბუნაგს და გარეთ გამოდის, გაუფრთხილებლობით თუ დიდის წადილით რომ გამოაღვიძეს; მანაც არ იზარმაცა, აჰყვა მათ, ვინც შეუძახა, დაუფრთხო ძილი, აღარც მას უნდა თითის ლოკვა, არც ცალ გვერდზე უძრავად ყოფნა, თურმე ის გვერდი არც კი უვარგა, თითქმის ულპება. მონადირეები ამბობენ, იმ გვერდს ვაგდებთო.

ჰოდა, აი, მეც თითქოს ქვა მესროლეს, ბუნაგიდან გამოვდივარ, რადგან დათვივით დიდი ხნის წოლით (ზამთარი ხომ ხან უსაშველოდ გაგრძელდება ხოლმე, როგორც წლეულს!) ლეშად არ ვიქცე, მიხრწნილი ძაღლივით ზეზეურად არ დამეხვიოს მატლი.

ნელ–ნელა გამოფხიზლება დავიწყე და ჩემი მიტოვებული ყვავილები ისევ მოვიკითხე, ამდენი ხანი ყუთებში რომ იყო გამომწყვდეული. ზოგს ფერი შეცვლოდა, ზოგი ჭიას შეეჭამა (ისინი, რა თქმა უნდა, გადავყვარე), ზოგს კი ისევ შერჩენოდა ფერიც და ფორმაც. ისევ დამიკრეს თავი, ისევ გავიხარეთ, თითქოს ეს განშორება არც კი ყოფილა. თავაუღებლად ვმუშაობდი. ის ძაფი, რაც მათთან მაკავშირებდა და რაც მეგონა, რომ აღარ არსებობდა, არ გაწყვეტილა, არ დაკარგულა, უფრო ამაღლებული და უფრო ნაზი, ცოტა სევდიანი.

(როცა მორთმეული ყვავილები დაგიჭკნებათ ნუ გადაყრით, მე მომიტანეთ).

სევდა. სინაზე. აღმაფრენა.

აი, რატომ მიყვარს მე ყვავილები.

ბატონმა იურიმ შემომთავაზა, შენი გამოფენა მოვაწყოთო. სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ ერთი სამჯერ კი გადაიდო, ხან რამ შემიშალა ხელი და ხან რამ, ზოგი — ობიექტური მიზეზი იყო, ზოგი — სუბიექტური, უფრო კი — უფულობა. ყველაფერს როგორ უცვლის ხოლმე ნირს, არა და ხელის ჭუჭყიაო. ეძახე ხელის ჭუჭყი ხარო, უმისოდ მაინც ვერაფერს ახერხებ. არა, ყველაფერი ფულზე არ იყიდება და მადლობა ღმერთს! გვერდით ყოველთვის არიან ადამიანები, რომ შეგეწიონ და მხარში ამოგიდგნენ.

გამოვფინე ნამუშევრები, მეხმარებიან მეგობრები. დავთქვით 19 თებერვალი, ოთხშაბათი. 2003. გამოფენა ჩემს მშობლებს მივუძღვენი. მე მათგან მოვდივარ.

საოცარი განწყობა სუფევდა საგამოფენო დარბაზში. მეც ხომ პირველად ვნახე ჩემი ნამუშევრები ასე განფენილი. მეც უცხო თვალით ვათვალიერებდი, რადგან ადრინდელ გამოფენებზე სხვებთან ერთად ვმონაწილეობდი, ერთი პატარა კუთხე მქონდა დათმობილი, ერთი–ორჯერ კი პატარა ოთახში, ავეჯით რომ იყო გამოვსებული, ახლა კი მთელი დარბაზი ჩემი იყო (არა, არ ვქედმაღლობ, მიხარია!). დამსწრენიც აღფრთოვანებულნი იყვნენ. ისეთი ერთნი ვიყავით ყველანი! ყველას სახე უღიმოდა, სითბო იღვრებოდა ირგვლივ, თუმცა გარეთ ციოდა და ნანატრი გაზაფხული იგვიანებდა, რუსიკომ ისიც კი თქვა, ლეილამ გაზაფხულს დაასწრო და მართლაც დავასწარი. ეტყობა, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. აი, უკვე 19 აპრილია და ისევ თოვს. თოვს, მაგრამ ნუში მაინც ყვავის, წინ რა დაუდგება ბუნების წესსა და კანონს!

გამოყოლილი მაქვს ის სითბო, სიყვარული, თანადგომა, რაც გამოფენის გახსნის დღეს სუფევდა და დიდხანს გამყვება, რადგან ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები, დღეები, რომლებიც არასოდეს დაგავიწყდება, მაგრამ არის დღეც, ამ ყველაფერს რომ გადასწონის.

და ყვავილები, ყვავილები. მარიკა დანელიას თაიგული, ძალიან ლამაზი, ჩემი გოგოები, ისინიც ლამაზები და კარგები. დიდი მადლობა!

დავიშალეთ, წავიდ–წამოვედით.

საღამოს დამირეკეს, ერთი ნამუშევარი აკლია და შენ ხომ არ ჩამოხსენიო. არა–მეთქი. ძალიან ვინერვიულე. გამახსენდა, გამოფენის გახსნამდე ერთი დღით ავიკვიატე, რამე არ დაიკარგოს–მეთქი, მერე დაბეჯითებით გადავწყვიტე, ერთს აუცილებლად მოიპარავენ! სიზმარში, თუმცა სიზმარი არც ეთქმოდა, წუთით წავთვლიმე და ერთი მათგანი ჩარჩოდან გადმოვარდა. სწრაფად გავახილე თვალი, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს–მეთქი. ყურადღება კი არ მიმიქცევია, დამავიწყდა კიდეც. სწორედ ის იყო წაღებული. თუმცა ამ აბავს არ დაუჩრდილავს ის განწყობა, ის სიხარული, რაც ჩემმა მეგობრებმა მაჩუქეს.

გადავწყვიტე დაკარგულის ადგილზე წარწერა გამეკეთებინა და წავაწერე: „გთხოვთ, დააბრუნოთ, ავტოგრაფით გაჩუქებთ“. იმ დღეს რაღა იქნებოდა. წამღებს ხომ უნდა ენახა, თან მაშინვე ხომ არ მოარბენინებდა, თავის ადგილზე ისევე ჩუმად უნდა ჩამოეკიდა, როგორც ჩამოხსნა. ამასობაში ერთი დღე გავიდა. ძლივს გავათენე ის ღამე. დილით ადგილზე დამხვდა. რაღას ვიზამდი, ავდექი და წავაწერე: „დიდი მადლობა. გისურვებთ წარმატებებს. შედევრებს იპარავენ“ და ხელი მოვაწერე.

„შედევრებს იპარავენ!“ რა დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე, არა? არა, უბრალოდ, თავს ვიმშვიდებ, რადგან ეს პირველი არ არის, რომ იპარავენ. თუმცა ერთხელ მართლა დავაბრუნებინე.

მერე ისევ აცივდა, კარანტინი დაიწყო გრიპის ეპიდემიის გამო და სწავლა შეწყდა. გამოფენა ორ კვირას უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მხოლოდ სამ დღეს გასტანა. მე კი ისევ მომდევს ის სითბო, თანადგომა, კეთილგანწყობა, სიყვარული.

ძალიან მიყვარს ყვავილები, ოთახისაც და მინდვრისაც, თოვლზე ამოსულიც და კლდის ნაპრალებში ამოწვერილიც.

... ნუ გადაყრით დამჭკნარ ყვავილებს, მე მომიტანეთ!

დასაწყისი მე-9 გვ.

ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ – რაც ის შინაგან საქმეთა მინისტრად დავნიშნე, მე კი არა – მთელ ჩემს სანათესაოს რადიკულიტი არ მოგვკარებია, შთაგონება მაგარი რამეა. სწორი იყო სტალინი, რომ იძახდა კადრები წყვეტენ ყველაფერსო. აბა! წარმოიდგინეთ! ვანოს გარეშე რა კაცი ვიქნებოდი?. არის სხვა ქვეყნებში ბათქა–ბუთქი, ჩვენთან ტერორისტი ენგურზე გადმოსული არ არის ვანოს დაჭერილი ყავს. ვეკითხები? რანაირად აკეთებ, ესეთი რა ჯადო გაქვს? – იცინის! თურმე იმ უბედურ ტერორისტებს ენგურზე ერთი ფონი ქონიათ აჩემებული – ვანოც იქვეა ჩასაფრებული.

ხო! კინაღამ დამავიწყდა ეს ბურჯანაძის ქალბატონი ახლა მემუქრება – სახალხო კრებას მოვიწვევ და ჩამოგაგდებო. საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელები – რაღაცა კრებებს რომ აწყობდნენ გამახსენდა, თუმცა ამან სად ნახა? კრებით ჩამოგდებული პრეზიდენტი ძალიან მაინტერესებს. ყველაფერი უცნაური მე უნდა დამმართონ. ისევ ვანომ დამამშვიდა, შენ არხეინად იყავიო, სახალხო არ ვიციო, მაგრამ იმისთანა მშობელთა კრებას ჩავუტარებ, ორი კვირა დაწითლებული ყურებით დადიოდნენო! აგაშენა ღმერთმა – დაკა მაგათ!

უგულავა ჩემი სუსტი ადგილია, პიპინიას ძაღლივით ხანდახან ისეთ რაღაცას მომიტანს ნერწყვი მომადგება. ადრე, ჯერ კიდევ ცოტა ფული რომ გვქონდა და ჯართიც ფაოსბდა, ამიჩემა – ტრამვაი რა ტრანსპორტია – ეს ეკადრება ჩვენს ეპოქასო!, ოცდამეერთე საუკუნეში ტრამვაით როგორ ვირიხინოთო. რა მექნა, დავთანხმდი. ეცნენ და ასობით ვაგონი, თავის ლიანდაგებიანად დაჭრეს, დააქუცმაცეს ათასობით ტონა ჯართი თურქეთის გზას გაუყენეს. ახლა ხუთი წელი რომ გავიდა მეუბნება – მოდი ტრამვაის უკან მობრუნებაში ცალკე ვიშოვოთ ფულიო. გამიკვირდა! ქართველებს ნიჭიერებს ვეძახი – უხერხულია მათი ასე აბუჩად აგდება–მეთქი. მომიბრუნდა და იცით რა მითხრა? ახლა ტრამვაი ვაქოთ და ვადიდოთ დაგვიჯერებენ სხვა რა გზა ექნებათო. აა! მერე ჩემი ბრალია ყველაფერი, მე მგლობა დამბრალდა – ტურებმა კი ქვეყანა დააქციეს.

არ თქვაო – მეხვეწა, მაგრამ გიგის უამრავი საზრიანობა – მიგნებიდან ერთი მაინც უნდა გამოვყო. პროგრამა რომ არის ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე – იმდენად მარჯვედ და შენიღბულად არის მოფიქრებული – ჯერ მისი კრიტიკოსი არსად მინახავს. თქვენ გგონიათ – თავზე ჭერდაქცეული თბილისელები შეგვეცოდა და ასეულობით მილიონი მათ დასაბინავებლად გამოვყავით? რა შტერები ხართ!. მე, გეტყვით რა ხდება! ჩემი ნაციონალი ბიჭები, ყველა მეტნაკლებად რაღაცის მაქნისი სამშენებლო კომპანიების წილებში ზიან ან სულაც აკონტროლებენ მათ, როგორც ბოკერიას მამა. ეს წილები ძირითადად ბინების სახით მოდის უკან. ხოდა, კრიზისი რომ დაიწყო და მშენებლობაც დადგა – ცხადია შემოსავალმა ამ მხრიდან იკლო. გიგიმ კი შესანიშნავად მოიფიქრა – ბიუჯეტის ფულები მიმართა ამ სამშენებლო კომპანიებისაკენ – ირიბად კი, ჩვენი ჯიბეებისკენ. თან ფარად მოლაყლაყებული ბინების მეპატრონე თბილისელები დაიყენა. პლუს კიდევ – ამათი სახლებიდან გამოთავისუფლებული მიწებიც ჩემებს რჩებათ. ამას ქვია – სიმბიოზი, როდესაც ჩვენს ინტერესებს დაემთხვა – ამ უბედური თბილისელების ნაწილის ინტერესებიც. ეს ყველაფერი მე რომ არ მეთქვა, თქვენ ასი წელი ვერ მიხვდებოდით!. მოდით ახლა და მითხარით, რომ ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა არ შეიძლებაო!. ა, ტალანტი! ჩქიმი გიგუშა სამს კლავს ერთად. დიახ, ასეთი, მხოლოდ ასეთი, სწორედ ასეთი – მწამს ნაციონალი.

მაგრამ ამას ყველაზე ვერ იტყვი. რუსები რომ არ მიყვარს ამაში რა არის დასამალი. თუმცა ნამდვილად არ მომითხოვია. მისულან ეს ჩემი ჭყონდიდელ–მწიგნობარები და რუსული სიმღერებიც აუკრძალიათ. ვიცოდი, როგორც ბევრი ამათი ჩადენილი სისულელე, ესეც მე მომწერებოდა. მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. ახლა კი ტელევიზიით გავიგე. იმავე რუსებისათვის – ვითომ ჩემი გულის გასახარად, რომ დასდევენ – ხრამჰესი და ხრამ–2 მიუყიდიათ. ამაზე მართლა გავცეცხლდი. კუთხეში მიგდებულ ცოცხს წამოვავლე ხელი, ამათთვის მინდოდა დამეცხო თავში, მაგრამ ისეთი გამართლება მოუძებნეს – მონუსხულივით გავშეშდი, რომ დაუკვირდი მეც ჭკუაში დამიჯდა. რა ვქნათო? რასაც ხრაშუნი და ხრამუნი ურევია – სული წაგვძვრება და ხელაც წაგვიცდებაო. ეს ხრამუნი ეშმაკს შეაცდენს, მეც რამდენჯერ შემიტყუა. მაგრამ ხრაშუნი და ხრამუნი, რომ არ ურევია – ისეთი რამდენი გაქვთ რუსებზე მიყიდული, თქვენს სინდისზე იყოს!

ერთი პერიოდი ისე მომაბეზრეს თავი გადავწყვიტე ერთიანად მომეცილებინა. არც ის მინდოდა, ამათ გაქრობაში ჩემი ბრალეულობა ადვილი მისახვედრი ყოფილიყო. ამიტომ ვეცადე ბუნებრივი ელფერი მიმეცა. ერთმა მეცნიერმა დამარწმუნა – სათაფლიას გამოქვაბულში ნამდვილად ბუდობსო უზარმაზარი დინოზავრი. მეც, ჩავიფიქრე ესენი მისთვის ვახშმად მიმერთმია. მე შენ გეტყვი და ისეთი გამხდრები არიან დინოზავრს გული არ მიუვა, თუ კბილებს დაიმტვრევს?. გამოვაცხადე – სათაფლიას გამოქვაბულში მთავრობის სხდომას ვატარებ რა თქმა უნდა, გაფართოებულს და არ დავინახო ვინმე რომ გამოაკლდეს–მეთქი!, ამათ ეგონათ შეიშალაო და თავში წაიშინეს ხელი, შაშკინმა აკანკალებული ხმით ჩამჩურჩულა – რა ხდება? რუსები ატომს ხომ არ გვესვრიანო?. დაწყნარდით! რიხით ვთქვი მე! – ქვეყანაზე ხომ გამოგიყვანეთ, ახლა გამოქვაბულშიც ჩაგიყვანთ. რას მიხვდებოდნენ რა მზაკვრობა მედო გულში.

გამოქვაბულში ისე დავსვი – ზურგით სიღრმისკენ, მე მოცილებით გასასვლელთან ახლოს თავში დავჯექი. თან ჩემი დაცვა გავაფრთხილე, როგორც კი გამოვარდებოდი კარები მაგრად ჩაეკეტათ. მთავრობის სხდომას ვწელავ, მაგრამ რას ვწელავ. ერთი სული მაქვს დინოზავრი როდის მოცუნცულდება. ესენი სხედან ცოცხალ–მკვდრები, შიშისაგან კბილებს აწაკწაკებენ. თავიდან თითქოს რაღაცა ფაჩუნი და ღმუილიც შემომესმა, თუმცა მერე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. დინოზავრი არადა არ გამოჩნდა, ისიც კი ვიფიქრე – ჩათვლიმა ამ შეჩვენებულს, ამიტომ მოვუმატე და მოვუმატე ხმას. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ – დინოზავრმა გადამაგდო. მერე სპეციალურად დავრეკე ამერიკაში – დინოზავრების შემსწავლელ ცენტრში, გამერკვია რა ჭირი დაეტაკა ჩემს დინოზავრს. იქიდან ამიხსნეს, რომ თუ გამოქვაბულში მყოფ ხალხს ფულის სუნი ასდიოდა სათოფეზე არ მოგეკარებოდათ – ეზიზღებაო. ყველაფერში ბედი აქვთ, ამ სიკეთეში ხომ ამოვლებული არიან. არადა, მე ისე მივეჩვიე ამ სუნს საერთოდ



ვერ ვგრძნობ, მაგრამ დინოზავრს მოატყუებ შენ?. რას ვიზამდი, ავდექი და წამოვასხი უკან. ახლა იმისიც მეშინია ეტყობა – ისეთი სუნი დატოვეს საერთოდ თუ გადაიკარგა, ტურისტებს რა ვუყო? მარტო ნაკვალევი ვის ვაჩვენო?.

მართალია, ჩემზე სულ ცუდი ამბები გესმით, მაგრამ ხადახან ზოგიერთი პირობის შესრულებაც ვიცი. დიდმა მუხრანმა, რომ დამიბარა ცისკარასავით მიუვარდი გრძნეულს ერთი მაგრად დავჭყივლე და არგვეთელების მიტაცებული წყალი გამოვტაცე. ავდექი და მეც დავლიე. მაგრამ რა! მადლობის მაგიერიყო!. ის ტელევიზია – სილიბისტრო აბრძანებულა და აცხადებს: – მიშა, როგორც კი წამოვიდა, გრძნეულს შემოუთვლია არ მეშინა თქვენი ცისკარასიო ე. ი. ჩემი და წყალი ისევ გაუქრიაო. გულზე გავსკდი – კიდევ კარგი ახლა უკვე ჩემი მიტაცებული ტელევიზია ე. ი. „იმედი“ ავიდა და ყველაფერიც გაარკვია. რაში ყოფილა საქმე?. გრძნეული რა თქმა უნდა არ გამოჩენილა, წყალი კი ბევრია, მაგრამ ცენტრალურ მაგისტრალში. ხოდა, გლეხებს უთქვამთ – ასე წყალი რიონშიც მოდისო. თურმე, ნუ იტყვით? და იმაზე გაგულისებულან ეზოებში რატომ არ შემოგვიყვანაო. მოდი ეხლა და გაუკეთე კაცს სიკეთე. ჯერ რა სიკეთეს მე ვაკეთებ? და რაღაცას რომ მოვინდომებ იმასაც ასე გაგიბაიბურებენ, ყველაფრის ხალისი დაგეკარგება.

ჩემი პრეზიდენტობის დასაწყისში სურვილი მქონდა – მეორე დავით აღმაშენებელი გავმხდარიყავი. წაველი და მის საფლავზეც დავიფიცე. რაღაცას, რომ ვბუტბუტებდი მახსოვს, მაგრამ რა პირობა მივეცი ნამდვილად ვერ ვიხსენებ. ყივჩაღებს, სადც ვნახავდი რომ ჩამომესახლებინა, – ამიტომ ბურებზე შევჩერდი, კაი მეომარი ბიჭებია ესენიც. მერე ვიფიქრე დავით აღმაშენებლობა თუ მინდოდა ერთი ომი მაინც უნდა მომეგო. ის მუსრს, რომ ავლებდა ათასი წელი გავიდა ამასობაში და თურქ–სელჩუკები ჩვენი ძმები გახდნენ. რომ მივიხედ–მოვიხედე რუსების მეტი არავინ შემრჩა. მეც, აღარ დავახანე – ავდექი და გავილაშქრე. დედაა! გამომდიდგნენ მარა რა გამომიდგნენ, ჯერ იქ ხომ მაკოტრიალეს, ამ ყოფაში ვიღაცა ოხერმა სურათიც გადამიღო. მერე გორთან რომ ფეხი დავკარი – იმისთანას მოვრბოდი, რუსებს თვითმფრინავი აქვთ სუ–25 თუ 27 მთელი გზა მომდევდა და ვერ დამეწია. არ დამიტოვებია ღობე, ბორცვი და გორაკი, თავს გადავევლე ყველაფერს, რამდენი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი გავაუმჯობესე, ვინ იცის?. ასე ჭენებ–ჭენებით შემოვარდი თბილისში. ბედი, უკან არ მომყვენ, თორემ დავით აღმაშენებლის დაბრუნებულ თბილისს ისევ მტერი წაგვართმევდა. მეც ვარ რა? რა ძალა მედგა, – დავით აღმაშენებელს რომ მივახტი, საქართველოში ბედოვლათი მეფეების მეტი რა იყო, ამერჩია რომელიმე მათგანი, ვერ დავემსგავსებოდი თუ?.

ოპოზიციაზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას, – საპნის ბუშტივით გავაქრობდი ამ ჩმორიკებს, მაგრამ მათზე უფრო ჭკვიანები გამოჩდებიან და ესეც არ მინდა მე. ამიტომაც ვიტან. ერთი სული აქვთ – როდის მოვლენ ხელისუფლებაში, ფიქრობენ თუ არ ვიჩქარეთ არაფერს დაგვიტოვებენო – ეჭვიც არ შეგეპაროთ. ჩართავ ტელევიზორს სულ რიგგარეშე–რიგგარეშეს გაიძახიან, ჭკუა ვერ ისწავლეს – რიგიანში რა მივეცი – ახლა ურიგოში რომ მივცე?.

რევოლუციითაც მაშინებენ. რევოლუცია – როგორც ამ საქმის სპეციალისტს მიმაჩნია, რომ მართლაც არ არის სახუმარო საქმე. ის ისე მოულოდნელად მოვარდება პოეტის თქმით – თან ჩაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს. ჯვარი აქაურობას – მტრისას. ამიტომ წარამარა ვაფრთხილებ ჩემებს, ფხიზლად იყვნენ – რევოლუცია არ მოგვეპაროს. მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, თავისას უბერავენ. ამათ გონიათ არავინ არაფერი არ იცის. იმ დღეს ჩვენი ქონების რაღაცა მიზერი რუსთაველზეც გამოამზეურეს და ყველას ესეც კი უკვირდა რა ამბავიაო?.. ერთი გავიფიქრე, ღმერთო ჩემო! – ხალხმა მთელი სიმართლე, რომ იცოდეს რასაც ესენი იპარავენ და მალავენ, მერე გენახათ სეირი. არადა, ყველაფერი აქეთ მიდის; აბა! რა იქნება? შაშიაშვილმა მთელი ამბავი ატეხა – ასეთი მდიდარი ხელისუფლება არცეთ ქვეყანას არ ჰყავსო. ძალიან შევფიქრიანდი და კანკალმაც ამიტანა. იმის მაგივრად, ხალხის კეთილდღეობაზე ვზრუნავდე, ჩემი რეზიდენციის ეზოში მიწაზე მთელი დღე ციციკორესავით ყური მაქვს დადებული და გუგუნის მოახლოებას ვუსმენ. მადლობა უფალს! – ჯერ სიწყნარეა. როგორც მეორე პოეტი ბრძანებს: დიდება მოთმინებასა შენსა – ქართველო. ცოტა გადავაკეთე, მარა რა უჭირს?

ვატყობ ისე მიდის საქმე საქართველოდან ჩვენი გაქცევის ჯერიც შეიძლება დადგეს. ხოდა ვიფიქრე – პარლამენტში შევიდე წინადადებით და მათი მხარდაჭერაც მივიღო, მინდა საფრანგეთში – ლევილის მახლობლად შევიძინო კიდევ ერთი მამული, ავაშენო დიდი სახლი შევარდნაძისა და ჩემი ბიუჯეტის პარია დევნილი ჩინოვნიკ–პარლამენტარებისათვის. კი ბატონო! ინდივიდუალურად ჩემები ყველა მიხედავს თავს და ეჭვი არ არის შახებივით იცხოვრებენ, მაგრამ ერთად ხომ უფრო გადავაყოლებთ გულს, თან მე იქაც პრეზიდენტი ვიქნებოდი, რომ წარმოვიდგენ ცოტანი არა ვართ – ძალიან დიდი სახლის აშენება მომიწევს. კეთილი! თუ ქართველები ფიქრობთ, ჩვენი მოცილებით რამე გეშველებათ? აგერ ნახავთ ცოტა ხანში რამდენი ფლიგელის მიშენება გახდეს საჭირო.

ახლა ვიღაცა ჩემსა და ნოე ჟორდანიას მთავრობებს შორის პარალელების გავლებას მოინდომებს და სწორიც იქნება. ისინი – სამშობლოს სიყვარულის გამო გარეკეს საქართველოდან. ჩვენ? ფულის სიყვარულის გამო. იმათ რა ჯვალოები ეცვათ არა ვიცი, ჩვენ კი ცნობილი ევროპელი დიზაინერების ძვირფასი სამოსი, მაგრამ არც ისინი იყვნენ ეგვიპტელები და არც ჩვენ ვენეციელები, ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ. ბიჭოს! რა ნოტაზე დავამთავრე, ცრემლიც კი მომადა თვალებზე.

ბოლოს გეტყვით, თუ ტვინს გაანძრევთ და ისეთ იდეას მომაწვდით – პრეზიდენტობა როგორ შევინარჩუნო, მაშინ – ჩემი გოგოებივით მინისტრებად დაგნიშნავთ და სხვა წყალობითაც აგავსებთ. ასე რომ იფიქრეთ! თუ რაიმე ღირებული აზრი – მაგ შიმშილისაგან გასიებულ თავებში, მოხდა სასწაული და ამოგიტივტივდათ, ეცადეთ პირადად გადმომცეთ, ეშმაკს არ ძინავს, ჩემებს ხომ საერთოდ დაჭყეტილი აქვთ თვალები, მე კი დღეს არავის ვენდობი.

კარგად!

**ჯერაც თქვენი**
**პრეზიდენტი *მიშა***

# ეკლესია ელექტრონული პასპორტების წინააღმდეგ

*თუკი უწყი ანტიქრისტეს დროების ნიშნები, მხოლოდ შენთვის ნუ დაიმარხავ ამ ცოდნას, არამედ ყველას აუწყე მათ შესახებ, რათა სიცრუე ჭეშმარიტებად არ მიიღონ. „საიდუმლო იგი აწვე იქმნების უსჯულოებისა„ (2თეს.2,7)*

*წმიდა კირილე იერუსალიმელი*

ეკლესიური საზოგადოება საერთოდ არ ეთანხმება ელექტრონულ საიდენტიფიკაციო ნომერს, თუნდაც „666“ „777“–ით ან რომელიმე სხვა რიცხვით შეცვალონ, იმიტომ, რომ ელექტრონულ ნომრიან პასპორტში შესული იქნება სრული ინფორმაცია მის ყოველ მფლობელზე. კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გაკონტროლდება მოქალაქეთა ყოველი მოქმედება, ანუ შელახული იქნება პიროვნების თავისუფლება – მოხდება ადამიანის პიროვნების ისეთი დაპყრობა, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს. საბერძნეთის ეკლესია ელექტრონული პასპორტების შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა. ათონის წმიდა მთამ, სრული შემადგენლობით, ასეთი ოფიციალური განცხადება გააკეთა: „ჩვენ არ მივიღებთ ელექტრონულ პასპორტებს“. ეკლესიისა და საზოგადოების გავლენით საბერძნეთის მთავრობამ ელექტრონული რეგისტრაცია არასავალდებულო გახადა. აუცილებელია სიფხიზლე, გვმართებს ვიყოთ ინფორმირებულნი და სხვებსც მივაწოდოთ ინფორმაცია. თუკი გავჩუმდებით, მაშინ ელექტრონული მონათმფლობელობა ძალიან მალე იქნება შემოღებული. უნდა ვიყოთ საკუთარი ქვეყნის აქტიური და არა პასიური მოქალაქენი. მოძღვრებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მრევლს, იქადაგონ, გააფრთხილონ თავიანთ სამწყსო მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ამგვარად შევძლებთ წინ აღვუდგეთ მომავალ ბოროტ ძალას, რომელიც გეგმაზომიერად და ეტაპობრივად ამზადებს ანტიქრისტეს მსოფლიო დიქტატურას.

***(მთაწმიდელთა ხმა)***

... ახალ პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით ეკლესიამ უნდა დაიკავოს მკვეთრი პოზიცია, რათა მორწმუნეებმა იცოდნენ, თუ როგორ მოიქცნენ...

ბერი პაისი. ათონი. პანაგულის კელია

ეკლესიის მიმართვის შემდეგ უკრაინის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი: „იმ პირთათვის, რომლებიც რელიგიური ან სხვა მოსაზრებების გამო უარს ამბობენ საიდენტიფიკაციო კოდის მიღებაზე შეუნარჩუნდებათ ადრე არსებული




გადასახადების გადახდის ფორმა, არ მიიღება ძალდატანების ზომები ან ადმინისტრაციული ზემოქმედება“.

უკრაინის უმაღლესი საბჭო 16.06.1999 წ.

## ივერიაში? – ნუ იყოფინ!

საქართველოში ამ თემებთან დაკავშირებით მორწმუნეების ისედაც საფუძვლიანი ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა ბოლო დროის მოვლენებმა. დღეს იუსტიციის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოცემული ვადიანი პასპორტები და პირადობის მოწმობები უმიზეზოდ უქმდება და აუცილებლობის საბაბით მიზანმიმართულად აიძულებენ ხალხს აიღონ ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობები და პასპორტები, რაც არა მარტო ადამიანის ნებაში ჩარევაა, არამედ სიყალბეცაა და სასტიკი ძალადობაც. არსებული ვითარების გამო მორწმუნეები შეშფოთებას გამოთქვამენ და თხოვნით მიმართავენ ჩვენს პატრიარქსა და მამულიშვილ იერარქებს: სასწრაფოდ მოხდეს სათანადო ორგანოებისადმი მიმართვა (სხვა ქვეყნების მსგავსად), რათა საქართველოში ვადაგაუსვლელი პასპორტები და პირადობის მოწმობები კვლავ დარჩეს ძალაში და ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობებისა და პასპორტების აღება მოხდეს მხოლოდ ნებაყოფლობით.

საყურადღებოა ისიც, რომ ინტერნეტში ევროპული ვებ–გვერდები და საინფორმაციო საშუალებები (მათ შორის კათოლიკურიც) ელექტრონულ მოწმობებს წინა საფეხურად და იგივე მონაცემების მქონედ მიიჩნევენ, როგორიცაა სხეულში ჩადგმული იპმლანტი „ვერიჩიპი“, რომელიც უკვე სხვადასხვა ქვეყნებში ოფიციალურ ხმარებაშია (იხ: Google-VeriChip).

თუ მორწმუნეების ეს უბრალო სამართლიანი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, ეჭვი აღარაა, რომ სწორედ ის ჟამია, რომელზეც ეკლესიის გამოცემანი და წმ. მამები მუდმივად გვაფრთხილებენ! ჩვენც სიმდაბლით შევაგონებთ ყველას – მთავრობის წევრი იქნება ეს, ჯარისკაცი თუ რიგითი მოქალაქე, რომ ეს ყოველივე ძალზედ საშიშია! რამეთუ კაცმა ღვთისგან ბოძებული სული თუ გაყიდე, სანაცვლოდ რაღას შეიძენ...

Krebuli (a)anchiskhati.ge

## „ღვთისმშობელმა ჯანმრთელობა აღმიდგინა“

თეატრმცოდნე, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის პირველი რეჟისორი, რესპუბლიკის პროფკავშირების კულტურის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ამჟამად 70 წელს გადაცილებული ქალბატონი ზაირა ასლამაზიშვილი დღესაც უდიდესი მადლიერებით და შინაგანი რწმენით აცხადებს, რომ მას ღვთისმშობელმა ჯანმრთელობა აღუდგინა და გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინა.



– ჩემი ბებია (დედაჩემის დედა) სოფიო, თურმე ურწმუნო ქალი ყოფილა. ერთხელ ბავშვი (ჩემი მომავალი დედა) დიდ განსაცდელში ჩავარდნილა და თავისი ურწმუნოებაც მაშინ მოუნანიებია და ღვთის მქადაგებელი გახდა. იგი თბილისთან მდებარე სოფელ შინდისის ტაძრის ხატის მონად ითვლებოდა. ამბობდნენ, რომ მას ტაძრისაკენ მიმავალს, რაღაც ძალა ისე მიაქროლებდა, ველარავინ ეწეოდაო. მე ბავშვობიდან სევდიანი ვიყავი. ზაფხულობით დედას თელეთში ჩავყავდი. შავნაბადას წმინდა გიორგის ტაძარში დავდიოდით სალოცავად. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მორწმუნე არ ვყოფილვარ, შინაგანი ხმა ყოველთვის მკარნახობდა, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში არ შევსულიყავი.

1984 წელს ინსულტი მივიღე და ძალიან მძიმედ შევიქმენი. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფს ღვთისმშობელი გამომეცხადა, თავზე ჯვარი დამადო და დამლოცა. მეორე დღიდანვე სწრაფად გამოვჯობინდი. ექიმებმა ეს სასწაულად ჩათვალეს. სრულად გამოჯანმრთელებისთანავე ეკლესიაში წავედი და ღვთისმშობელს მადლობა შევწირე.

ღვთისმოსავი ქალბატონი ზაირა ასლამაზიშვილის საცხოვრისიც ეკლესიას მოგაგონებთ, იგი ხატებით და სანთელ–საკმევლის ღვთიური სურნელითაა გაჟღენთილი.

**ქეთევან ჭანტურია**

## ვარაზი ვარაზაშვილის გახსენება



ვარაზი, ახალი ქართული სახელმწიფოსავით 26 მაისს არის დაბადებული და ძალიან სიმბოლურ ასაკში 33 წლის გარდაიცვალა.

მისი ლამაზი სიცოცხლე იმ არამზადებმა შეიწირეს, რომლებიც ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმისათვის არიან მოსულები – სტომაქი გაივსონ, სამშობლო და მისი ინტერესები კი ფეხქვეშ გაიგდონ, ძირს დალექილი ეს ჭუჭყი, 1991 წელს თავის წამოწევას ახერხებს და გარეშე თუ შინაური მტრების წაქეზებით – ეროვნულ ხელისუფლებას ე. წ. სამოქალაქო ომში, უფრო კი შეთქმულებაში ითრევს, რაც ქვეყნის დანგრევა–დაქუცმაცებით მთავრდება.

ამისი დაშვება არ უნდოდა ვარაზის და დადგა იქ, სადაც მისი ჯილაგისა და ჯიშის კაცი უნდა დამდგარიყო. დიდი წინაპრების ნაკვალევზე, რომლებმაც XX საუკუნის საქართველოში საოცარი სიტყვა თქვეს.

ბაბუამ – ვანო ვარაზაშვილმა 1920 წელს გერმანიაში რუსთაველის საზოგადოება დაარსა, არაერთ ქართველს ცოდნის მიღებაში უანგაროდ ეხმარებოდა. დღესაც რუსთაველის საზოგადოების პირველი ნომერი მანდატი – მის სახელზეა გამოწერილი. შემდეგ, ბოლშევიკებისაგან დევნილი – თეირანში დამკვიდრდა, ირანელებს, როგორც რკინიგზის გამორჩეული სპეციალისტი, დაეხმარა რკინიგზის დიდი ქსელის გაყვანაში თეირანიდან – ინდოეთის საზღვრებამდე.

ბაბუის ძმა – ვასილი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც ნობელის პრემიის მიღების კანდიდატი გახდა, მაგრამ მოერიდა ბოლშევიკებისაგან დევნას და 1936 წელს უარი თქვა პასუხი გაეცა სტოკჰოლმიდან მიწვევაზე.

1937 წელს ბოლშევიკურ ტერორს შეეწირა მისი ოჯახის წევრი.

1951 წელს კი მთელი მისი ოჯახი – შუა აზიაში გადაასახლეს.

1991 წელს კი თვითონ შეეწირა ნაძირალთა ტერორს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

მან თავისი მოკლე, გამორჩეული სიცოცხლით საქართველოს დამოუკიდებლობაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა. სამწუხაროდ, მისი სათაყვანებელი საქართველო კვლავაც ბრძოლასა და განსაცდელშია. დაე, მისი ლოცვა იქიდანაც იფარავდეს ჩვენს სამშობლოს .

**მეგობრები**

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის

# დასკვნითი დოკუმენტი

(თბილისი 2011)

***წინააღმდეგობის მოძრაობის წევრის, ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას ჩანაწერებიდან: 1992 წლის თებერვალი, აბაშა.***

მე, ჯემალ ქობალიამ, ხარებავამ... სულ ორმოცმა მებრძოლმა გავმართეთ ბრძოლები, რის შედეგადაც ხიდი აბაშაში არ იქნა აფეთქებული. ჯემალ ქობალიამ არ მომცა საშუალება, რუსების განიარაღებისა. ამავე დროს ვალტერ შურღაია ხვდება ჯაბა იოსელიანს ტარიელ ქანთარიას ძმის ხელშეწყობით. ტარიელ ქანთარია ოთარ ფაცაციას მარჯვენა ხელია. ქალაქ ზუგდიდში დაყაჩაღებული იქნა სომხეთის ყველა მანქანა. გია უჩავამ ზუგდიდში მოწინააღმდეგეზე შეტევის შესაძლებლობა არ მოგვცა.

ტარიელ ქანთარია ოთარ ფაცაციას მარჯვენა ხელია.

ზუგდიდში ამ დროს ზუგდიდის მხედრიონიც იდგა, ალეკო ქარდავას მეთაურობით, რომელსაც თხუთმეტამდე შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდა.

**1992 წლის მარტი (პარტიზანული მოძრაობა).**

ტყვია–წამლით გვამარაგებს გაბუნია, ზუგდიდის უშიშროების უფროსის ბიძაშვილი. მან ფაიფურის დასახლებაში ჩვენთან მოიტანა ტყვიამფრქვევი, ტყვიები და შემდეგ ჩვენ გაგვინაწილა 24 ტომარა. ზუგდიდის აღებაში მონაწილეობას ვღებულობდით 18 კაცი. მილიცია გაფრთხილებული არ იყო, რის შედეგადაც დაიღუპნენ თანამშრომლები. ზუგდიდის კომბინატის სასტუმრო დაწვეს გია უჩავამ, ზაზა მჭედლიძემ და ბახიამ. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ძმები ზარქუები, მიქავები, ხარებავა, მესხია, ოთხოზორია და სხვ. ბრძოლის ასპარეზზე ნელ–ნელა ჩნდება სხვადასხვა დაჯგუფება. ჯემალ ქობალიას, ზაზა მჭედლიძესა და ბახიას შორის შეჯახება მოხდა, სრული განუკითხაობაა. მარტის ბოლოს ციხიდან უშვებენ გია ყარყარაშვილს და ზურა თელაძეს. მიშა დადიანმა მათ ძმაკაცობა შეჰფიცა ეკლესიაში. თბილისელების დაჯგუფება, რომელსაც გია უჩავა ხელმძღვანელობს, მხოლოდ ყაჩაღობით არის გართული. მარტის ბოლო რიცხვებში შევდივართ ფოთში. ჯვარელ ცეზარ ჯიბლაძეზე პრეზიდენტი იტყვის: – ეს ყაჩაღი დაცვაში რისთვის გინდათო. ჯიბლაძემ გაყიდა მთაში პრეზიდენტის ყოფნის ამბავი. კერძოდ, სოფ. ჩქვალერში, როცა პრეზიდენტი იმყოფებოდა, იგი პრეზიდენტის დაცვის „ტოიოტას“ ფირმის მანქანით დადიოდა ჯვარში და სიგარეტებს იღებდა, ხომ იცით, რისთვისაც მინდაო. ჩვენ მაშინ უკვე გახიზნულები ვიყავით.

ზუგდიდში ჩამოყალიბებულია: ჯემალ ქობალიას, სლავიკ მინჯიას, ანზორ ჩხეიძისა და იურა ბაძაღუას დაჯგუფებები, მათთან ერთად მოქმედებენ ჯვარელებიც. ამ პერიოდში ყალიბდება წალენჯიხისა და ჯიხას დაჯგუფებები. ყალიბდება „ფიფას“ ჯგუფი. ჩვენთან დაიჭრება ენვერ ქობალია. შემდეგ კლავენ გაურკვეველ ავარიაში. მკვდარი რატომღაც პირველად ბეჟან წურწუმიამ იპოვა. ჩვენი დაჯგუფება იმყოფება კომბინატში, ჯუტი ხუბუტიას სახლში. ხუბუტია კონტაქტშია ოთარ ბულიასთან. ოთარ ფაცაცია აძლევს ჯუტის ბენზინს გასაყიდად. ზუგდიდში იმყოფება სვანთა საძმო, რომელსაც რეზო გვირგვლიანი ხელმძღვანელობს. რობინზონმა იგი ზუგდიდიდან გააგდო, თუ რისთვის ახლაც უცნობია. ლოთი ისევ დამალულია. ამ პერიოდში გოჩა და ვალტერ შურღაია დაჭერილები არიან ტელევიზიის აღებისთვის. ჩვენ მივდივართ, მაგრამ რიკოთზე გვხვდება ძლიერი დაჯგუფება. ზუგდიდში ჩამოდის ურიდია მერაბი, რომელსაც ოთარ ფაცაციას კაბინეტში ხვდება სლავიკა. იქმნება კიდევ ერთი ახალი დაჯგუფება შოშია ხაზალიას მეთაურობით, სოფ. ორსანტიაში. ქალაქში კვლავ განუკითხაობაა, ზუგდიდში ჩამოდის გრიშა შონია. იჭერენ თენგიზ ბულიას. ჯემალ ქობალია ითხოვს „ომონის“ შექმნას წალენჯიხის ოპერაციის დასაწყებად.

**1992 წელი, წალენჯიხა, ივლისი.**

ბრძოლაში მონაწილეობენ: რომეო კუჭუხიძე, ბადრი ზარანდია, სლავიკა ინჯია და ჯემალ ქობალია. ბრძოლის ველიდან გაიქცა ჯამბულ ბოკუჩავა, დაჭრილის გაყვანის მიზეზით. წალენჯიხის ბრძოლის შემდეგ გადავდივართ გალში. წალენჯიხის ბრძოლის დროს პოზიციები მოხსნა ოთარ უბილავამ, რის შემდეგაც ალყა შემოგვარტყეს და დაიღუპა ჩვენი თხუთმეტი კაცი. მარტვილის ზონას კურირებდა ვალერი გაბელია. ჯამბულ ბოკუჩავამ შექმნა სოხუმის კომენდანტურა. აგვისტოში ავარიაში ვხვდებით. ამის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ზვიად ლელაძე და გვაუწყა, რომ ზუგდიდში ჩამოსული იყო რომან გვენცაძე. მე, ლელაძის მეშვეობით, ლოთიმ მითხრა, რომ ჩვენ უნდა აგვეყვანა გვენცაძე და მისი თანმხლები პირები. აყვანის შემდეგ რატომღაც ისინი წაიყვანეს გალში, კერძოდ, კოხორაში. გოჩა ბახიამ ოთარ ფაცაციას მოსთხოვა ათი მილიონი. ეს ყველაფერი ჯუტისთვის გახდა ცნობილი. სლავიკამაც მას დაუჭირა მხარი, რათა ოთარ ფაცაციასთვის არ წაერთმიათ ფული. მეორე დღეს დაიწყო ომი აფხაზეთში.

გაურკვეველ ვითარებაში გაიქცა ალექსანდრე კავსაძე, რომელიც ოთარ უბილავამ და იური ბაძაღუამ წაიყვანეს. რომან გვენცაძის გამოსახსნელად ჩაერთვნენ კანონიერი ქურდები პაატა ჩლაიძე, ხაშურელი



ქურდი და ბუია, ასევე სენაკელი ქურდი. მათ რომეო კუჭუხიძესთან ჰქონდათ მოლაპარაკება და რომეომ ითამაშა მათ გაშვებაში მთავარი როლი. არადა, მათი დაჭერა ლოთის პრეზიდენტისგან არ ჰქონია დავალებული. ამის შემდეგ ჯუმბერ მაქაცარია რატომღაც ჩვენს ხალხს ბათუმში უგვარებს ავტომატების საკითხს, გაურკვეველია, ბათუმში ვინ იყო ჩვენი ხალხი.

მინისტრების აყვანის დროს საქმის კურსში არ უნდა ყოფილიყო ვალტერ შურღაია, ეს ლოთის ნათქვამი იყო; მაგრამ მათი აყვანის დღეს ვალტერი იქ აღმოჩნდა, სადაც ვცემეთ. მეორე დღეს კი ვალტერი მიტინგზე გამოვიდა, სადაც მე, ქოქო ვაჩაბერიძემ და სლავიკამ მიტინგი დავურბიეთ, რის შემდეგაც ვალტერ შურღაია ზუგდიდიდან გავაძევეთ. ვალტერის ზუგდიდიდან გაძევების შემდეგ არენაზე უკვე სხვადასხვა პოლიტიკოსები გამოდიან. გოჩა ოთხოზორია იცავს პურკომბინატს ოთარ ფაცაციას თხოვნით. ზუგდიდში ჩამოდის პრეზიდენტის დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, რომელიც ჩემთან ერთად ქმნის კოლხურ ლაშქარს. ჩვენ ვიფიცებით ხატზე, მაგრამ რობინზონს არც ხატის სჯერა და არც ჯვრის. ის ზეგავლენას ახდენს სვანებზე და მათ საქმიანობაზე. რობინზონსა და ოთარ უბილავას შორის ხდება დაპირისპირება, რობინზონის წინააღმდეგ გამოდის რომეო და შვარცი. ეს ამბავი ხდება ზუგდიდის კომენდანტურაში. ამის შემდეგ რობინზონი იღებს გროზნოდან წერილს, სადაც ოთარ უბილავა აგინებს ლოთი ქობალიას, რის გამოც ოთარს აგდებენ გვარდიის სამმართველოდან. რობინზონის, დაცვის წევრებმა ისევ მთავარი როლი ითამაშეს. ქოქო ვაჩიბერიძე გამოდის სოსო თორიას წინააღმდეგ, რომელმაც იარაღი არ აყიდინა გროზნოში. ასეთ პერიოდში რომეო კუჭუხიძეს ტონობით ჩაი გააქვს წალენჯიხის ფაბრიკიდან. მერაბ ჩუხუა ამ დროს სასწრაფოდ გამოდის სცენაზე ვალერი გაბელიასთან და თამაზ ჟორჟოლიანთან ერთად. ერთი მოითხოვს საქმის განჭვრეტას, მეორეს კი ლოთის ღალატობის ტოლფასობას უმტკიცებენ. გამოვდივარ მიტინგზე და ვამბობ, რომ აფხაზეთს უჭირს და იქ არის საომარი. პრეზიდენტთან უშუალო კავშირი არ გვაქვს.

აფხაზეთში ომის მიმდინარეობის დროს გაურკვეველია თუ ვინ და სად იბრძვის. ერთმანეთს ეჯახებიან ჯამბული და რომეო. რის შემდეგაც რომეო გამოჰყავთ თამაშიდან. დაზვერვის უფროსი უნდა იყოს ოთარ უბილავა, რის გამოც დაეჯახნენ ისინი ერთმანეთს. გაურკვეველ ვითარებაში ხდება სენაკისა და სხვადასხვა ბატალიონის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია ერთი მომენტი, ჩვენი ერთ–ერთი წევრი ბეჟან კიკალეიშვილი კლავს სრულიად უდანაშაულო პიროვნებას, რომელიც დაიჭირა რომეო კუჭუხიძემ და გადასცა ლოთის. მეორე დღეს კი ადგილობრივი მაფია გვიპირისპირდება. აფხაზეთის ომის პერიოდში აღსანიშნავია, რომ ჯემალ ქობალია აფხაზეთში იძულებით იქნა გაშვებული, ვინაიდან ლოთიმ ის მოღალატედ გამოაცხადა. მისი თქმით, სლავიკ მინჯია და კიდევ რამდენიმე კაცის მკვლელობა მის დაგეგმილად გამოცხადდა. ჯემალის აფხაზეთში წასვლის შემდეგ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ მიირთმევდა საჭმელს ჯაბა იოსელიანთან ერთად. ამით ჯემალის კარიერა დამთავრდა.

აფხაზეთის ომის მსვლელობის პერიოდში ორჯერ იყო ისეთი შემთხვევა, რომ შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო. ერთ–ერთი მათგანი იყო ჯაბას ზუგდიდიდან გატაცების საკითხი, ხოლო მეორე, სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის საკითხი. ორივე ასეთ რთულ სიტუაციაში ლოთი რატომღაც ასლანთან აღმოჩნდა სტუმრად. არადა შესაძლებელი იყო დიდი სისხლის ღვრა. აფხაზეთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის მომენტში ზვიადმა დარეკა ტელეფონით, თუ ლოთი სასწრაფოდ არ გამოჩნდებოდა ზუგდიდში, მას მოუხსნიდა უფლებებს. ზაურ ქობალიამ მიაწოდა პრეზიდენტს ინფორმაცია, რომ ჩემთან ერთად ვალტერი მოქმედებდა აფხაზეთიდან იარაღის გამოტანაში. პრეზიდენტმა გამოაცხადა, თუ ვალტერი თავს გამოიჩენს, მის დეპუტატობის აღდგენაზე ვიფიქრებო. არავითარი მონაწილეობა განიარაღებაში არ მიმიღია. ანზორ ჩხეიძეს ჩემთან ერთად შეხვედრაზე წამოსცდა, რომ ის აბსანძის კაცი იყო. აფხაზეთიდან ჩვენი გამოძევების დღეს მთელ შეიარაღებულ შემადგენლობასთან მოვიდა პრეზიდენტი. პრეზიდენტმა მთაში თქვა, ამათ მე მომატყუეს და ჩამომიყვანესო. აფხაზეთის დაცემის შემდეგ დაიწყო სასწრაფოდ ფოთის აღების დაგეგმვა. გავიგე, გუჯუჯი ებრალიძის ხალხს ჩაის კომბინატი პირწმინდად დაუტაცებიათ. რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა გურამ ლაკია. ერთხელ მეც დავესწარი, მაგრამ მაშინ სერიოზული არაფერი უთქვამს. ლოთის დაცვის ერთ–ერთ წევრს წამოსცდა, ჩვენ ვიბრძვით სრული ავტონომიისათვის, რად გვინდა თბილისიო. ეს იყო სოსო კაკულია. რუსების შემოტევისას ფოთიდან ბათუმში ერთად გაიქცნენ ვალერი გაბელია და თამაზ ვაშაძე. გზაში შემხვდნენ მერაბ ჩუხუა, გია მამფორია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომლებმაც მითხრეს, რომ სოსო ჟღენტი „ჩაჯმულია“, ლოთი მოღალატეა და მე უნდა ამეღო ხელში სარდლობა. ფოთიდან მათთან შეხვედრის შემდეგ მე პირდაპირ ზუგდიდში ჩავედი. ზუგდიდში ერთმანეთს ეჯახებოდნენ პოლიტიკური დაჯგუფებები და საშინელი ქაოსი სუფევდა. აქ იყვნენ აფხაზეთიდან გადმოსული დევნილები და ხდებოდა არეულობები, ყოველივე ეს გარედან იმართებოდა. გენერალ გია გულუას გაქცევა ციხიდან ჩემთვის ცნობილი იყო. სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო მასზე ხმა არ ამოვიღე, მიუხედავად იმისა, შემეძლო ეს აღმეკვეთა. მაგრამ უბრალოდ არ შევუშალე ხელი, ვინაიდან იგი პრეზიდენტის დისკრედიტაციისთვის უფრო იყო დაჭერილი. აფხაზების შემოყვანის შემთხვევაში ისინი მოითხოვდნენ გენერლის გადაცემას, რომელიც მთელი აფხაზეთის ბრძოლის დროს იქ იმყოფებოდა.

პრეზიდენტი ამ გაქცევასთან დაკავშირებით გამოვიდა ტელევიზიით და უარყოფითი შეფასება მისცა. ეს უმჯობესი იყო, ვიდრე ის, რომ იგი აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის გადაეცათ, ან მოღალატეებს მისგან ფული აეღოთ. აფხაზებისა და სხვა ეროვნებების შემოყვანა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ისტორიაში შეიძლება არასწორ ნაბიჯად დაიწეროს. არადა მისი სახელის გასატეხად იყო ეს ყველაფერი გაკეთებული. აფხაზების შემოყვანამ გარკვეული უთანხმობა გამოიწვია ეროვნული გვარდიის რიგებში. აფხაზები და სხვა ეროვნების „ბოევიკები“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ხელი გამოიღეს ბინძურმა პოლიტიკოსებმა, რის გამოც იძულებული ვიყავი, ისევ ▶

ბრძოლაში ჩავბმულიყავი.

**რა ხდება გაქცევის წინ?**

პრეზიდენტი დიდი ხანი არ იმყოფებოდა ლოთის სახლში. პრეზიდენტი ერთ ღამეს ხან ერთი სვანის სახლში ათენებს, მეორე დღეს, სადღაც სხვის სახლში. პრეზიდენტი ბოლო დღეებში უბრალო კაცივითაა, მხოლოდ თავის დაცვის გვერდით. ექვს ნოემბერს ყველაზე ბოლოს მე ვტოვებ ზუგდიდს. დატოვების წინ ჩვენ ხელთ არსებულ მანქანებს ვანადგურებ, „გრადის“ მანქანასაც.

**რა ხდება ბანაკში პირველ დღეებში?**

ჩვენ ოციოდე მეომრით ავდივართ მთაში. ბანაკში მისვლამდე ჯვარში გვხვდება ჯვარის ბატალიონი. ზუგდიდში უკვე შემოვიდნენ. ჩემს შეკითხვაზე, ვინ იყვნენ ისინი? მიპასუხეს, რომ ოთარ უბილავას ბრძანებას ასრულებდნენ. მაშინ როცა ეს საგუშაგო ჩვენ არაფერში არ გვჭირდებოდა. ესეც ხომ თავის მხრივ ღალატის ტოლფასი შეიძლება იყოს. მთაში ყოფნის პირველ კვირას ჩვენ შევისწავლეთ ბანაკის ირგვლივ ყველა ბილიკი. განვალაგეთ ტყვიამფრქვევები და ტექნიკა. აქ ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ გორიდან, ზუგდიდიდან, რუსთავიდან. შემდეგ ჩემთან მოვიდა წინა საგუშაგოდან კაცი, რომელმაც მითხრა, რომ ჯამბულის ხალხი მკითხულობდა. მე და კუსავა ერთმანეთს შევხვდით სოფ. ფახულანში. ჯამბულის თქმით, ჩვენთვის უკეთესი იყო, მხარში დავდგომოდით კიტოვანისა და ფაცაციას მიერ ორგანიზებულ მოსალოდნელ გადატრიალებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალ კვირას უნდა შევხვედროდი სოფ. ლიაში, მერაბ ნანავას სახლში, ოთარ ფაცაციას. ერთ დღეს როზბაქმა და მისმა ძმამ მითხრეს, რომ მათ, რამდენიმე დღეში, ღამის საათებში ჩემი დახმარება დასჭირდებოდათ, მე, რა თქმა უნდა მათ დახმარებას დავპირდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დათქმულ დღეს ჩემთან მოვიდნენ და ჩვენ ჭალის ბილიკების გადავლით მდინარე ენგურის ხიდზე ჩავედით, სადაც გავიგე, რომ ბატონი ზვიადი და ბესარიონ გუგუშვილი უნდა მოსულიყვნენ. დათქმულ დროზე პრეზიდენტის ამალა არ გამოჩნდა, რის გამოც ჩვენ ძალიან შეწუხებულები ვიყავით. ღამის ოთხ საათზე გამაღვიძეს, ხიდზე პრეზიდენტის ამალა გამოჩნდაო. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ჭალის ასასვლელ ზოლზე. გადავედით მუჟავაზე და გამთენიისას წავიხემსეთ ძმებ არქანიების სახლში, რომლებიც მეგზურობდნენ ბატონი ზვიადის გადაადგილებას. ბატონმა ზვიადმა იმ საღამოს მომიყვა, რა ხდებოდა იმ პოზიციებზე, რომლებიც ჩვენ დავტოვეთ. ეს იყო ერთ–ერთი დიდი შემზარავი სურათი. ბატონი ზვიადის სიტყვებით, ის გაჰყვა ლოთის, ცხოვრობდნენ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო მოსახლის სახლში. ერთი სიტყვით, იქ პრეზიდენტისთვის საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ლოთი მოღალატე იყო. ამის შემდეგ ლოთიმ მიატოვა ზვიადი და წავიდა გაურკვეველი მიმართულებით. პრეზიდენტის დაცვის ერთ–ერთი წევრის ბაჩუკის თქმით, პრეზიდენტს უთხრეს, რომ ლოთის დიდი ოდენობით ფული ჰქონდა თან. ამასთანავე, მოღალატეც იყო და ამიტომ ისინი გაანადგურებდნენ ლოთის, რაზედაც პრეზიდენტმა უარი განაცხადა, წავიდეს თავისი სახელიც ეყოფა ჩემგანო. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტთან ვიღაც ორი გოგო იმყოფებოდა, ჟურნალისტები, რის გამოც პრეზიდენტი უწყრებოდა თავისი დაცვის უფროსს, იქ კარავში ხვევნა–კოცნა რომ გამიმართეო. რობინზონი ეუბნებოდა, ის გოგოები ჩვენი მომხრეები იყვნენო. პრეზიდენტი გაუწყრა და ამის შემდეგ რობინზონი პრეზიდენტს ახლოს არ გაკარებია.

პრეზიდენტმა გიორგობის დღეს, 1993 წლის 23 ნოემბერს, ჩემს ბანაკში გადმოინაცვლა. ეს იყო ჩვენი შეხვედრა. აქვე აღვნიშნავ ერთ ფაქტს: წინა დღით ჯუტის ბიჭი და მისი მეგობარი ამოვიდნენ და გვითხრეს, ჯვარში ზვიადისტები შეიპყრესო. მეორე დღეს კი ჩვენთან გოჩა რაფავა ამოვიდა და გვკითხა, თუ რა ვიცოდით ბატონ პრეზიდენტზე. როცა უკვე ჩვენთვის ცნობილი გახდა პრეზიდენტის შესახებ, ბატონი ზვიადი ავტომანქანა „ურალით“ გადმოვიყვანეთ. მე ცხენით მოვუძღოდი წინ. მეორე დილით პრეზიდენტის საძებნელად წამოსული გოჩა რაფავა ისევ ამოვიდა. ბატონმა ზვიადმა მკითხა, თუ ვინ იყო ეს პიროვნება და ვისთან ჰქონდა ურთიერთობა. როცა ვუთხარი, რომ იგი ვალტერ შურღაიას კაცი იყო, პრეზიდენტმა მასთან შეხვედრა არ ისურვა. აგრეთვე აუკრძალა თავის დაცვას, გასულიყო გარეთ. მიუხედავად ამისა, რობინზონი რატომღაც მაინც გამოვიდა და თავი დაანახა; ხოლო თვითონ გოჩას ვკითხე, თუ რა ჰქონდა პრეზიდენტისთვის გადასაცემი. როცა ზუგდიდში ვალტერ შურღაიას შევხვდი, მან მითხრა, ჩვენ გვინდა პრეზიდენტთან შეთანხმებით ბრძოლა დავიწყოთ სამეგრელოს ავტონომიისთვის. აქ წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა, მისი მოადგილე, ზურის ცოლი და შვილი იმყოფებოდნენ. პრეზიდენტმა ჩვენთან ყოფნის მეორე დღეს გადაწყვიტა, დაეთვალიერებინა პოზიციები. პრეზიდენტი და გუგუშვილი ნაბდებში იყვნენ, თეთრ ნაბადში იყო პრეზიდენტი, წაბლისფერში – გუგუშვილი.

პრეზიდენტს „სტეჩკინის“ ტიპის პისტოლეტი ჰქონდა, ბესარიონს კი – „მაკაროვისა“.

დაცვის წევრები ნაღმტყორცნებითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული. პრეზიდენტის დაცვას მოჰქონდა დაახლოებით 200 (ორასი) – 300 (სამასი) კგ. წონის ნივთები. პრეზიდენტს ჰქონდა ფული, დაახლოებით ერთი სანტიმეტრი ზომით სულ ასდოლარიანი კუპიურები.

სოფ. მუჟავაში, როზბაქის სახლში, შევხვდი რომეო კუჭუხიძეს, მაგრამ რომეომ ბრძოლაზე უარი თქვა. ამ პერიოდში მთაში ჩემთან შესახვედრად ამოვიდა გია გულუა. მანამდე კი ამოვიდნენ ბესო ხარებავა და სარია. გენერალმა გია გულუამ, რომელსაც მოჰყვა გული დადიანიც, ბევრი ილაპარაკეს აფხაზების გარშემო. სირცხვილი ვჭამეთო. იგი აფხაზეთის საკითხებში ჩვენ ჩაბმას მოითხოვდა. აქვე ჩემს გასაგონად თქვა, რომ ლოთი აქ არ იყო და ისიც ცნობილია, თუ რისთვის ამოვიდა გულუა. აინტერესებდა, მე თუ ვეტყოდი რამეს პრეზიდენტის შესახებ, მაგრამ პრეზიდენტის შესახებ მასთან არ მილაპარაკია. როდესაც საუბარი თავიდან ბოლომდე გადავეცი ბატონ პრეზიდენტს, იგი დამშვიდდა.

მეორე დღეს პრეზიდენტი ყურს უგდებდა თავისი შვილების ხმას გროზნოდან, მაგრამ გვიბრძანა, რომ რაციაზე არ გავსულიყავით. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი: ჯუტი ხუბუტია აგზავნის თავის ბიჭებს, რომელთა მეშვეობითაც გაიგო, რომ ზვიადი ჩვენთან იმყოფება. ჩვენთან ამოვიდა გალის მხედრიონის უფროსი დათო შენგელია. დათო შენგელია ჩემგან მოითხოვდა ჯაბა იოსელიანთან შეხვედრას, რაც მე ზვიადს მოვახსენე. შენგელია შეგვპირდა „ადიალებსა“ და ლეიბებს. ბატონმა ზვიადმა გადაწყვიტა სხვა ადგილზე გადასვლა. გადავწყვიტეთ მანევრი, რომ ვითომ პრეზიდენტი სვანეთისკენ წავიდა. შევთანხმდით, რომ მოკავშირე უნდა ყოფილიყო ზური შონია. პრეზიდენტი მე მტოვებდა ყველა ფორმირების უფროსად. დილით ტელევიზიით გამოვიდნენ სოსო ჟღენტი და ელიავა, რომლებმაც ომს უაზრო უწოდეს. პრეზიდენტმა დაიბარა: გუჯუჯი ებრალიძე, ვახო ზარანდია და რაფო კვარაცხელია, მაგრამ გუჯუჯიმ ბატალიონის მეთაურობიდან გადადგომა ისურვა, მოხუცი ვარო. ვინც ბრძოლას გააგრძელებს ხმა ამოიღოსო, თქვა რაფო კვარაცხელიამ. მე უნდა ვყოფილიყავი პარტიზანული მოძრაობის უფროსი. აქვე აღვნიშნავ, რომ სანამ პრეზიდენტი ჩვენთან იყო, ჩვენთან ამოვიდნენ ნაული ჯიქია და ჯუმბერ მაქაცარია, რომლებიც დაშლისკენ მოგვიწოდებდნენ. ერთი თვის წინ ზვიადისტები იყვნენ, ახლა კი ყველა სხვა გზას ეძებდა. ლოთი ამ პერიოდში საქართველოდან იყო გაქცეული. ყოველივე ამ სიტუაციის შემდეგ მე მრჩებოდა ერთი ვარიანტი, გამეყვანა საქართველოდან საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მაგრამ იყო საფიქრალი, თუ როგორ გამეყვანა, რადგან ყველა გზა მოჭრილი იყო. ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემთან ამოვიდნენ ბესო ხარებავა, გოჩა სარია, ბეჟან წურწუმია და გია სარია. ასე რომ მრჩებოდა ერთადერთი გზა – ისინი გამომეყენებინა ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რადგან მათ საშვიც ჰქონდათ და იარაღის ტარების უფლებაც. ამ პერიოდისთვის გოჩა ოთხოზორია უკვე ზუგდიდში დადიოდა, ხოლო ანზორ ჩხეიძე სამხედრო პოლიციაში იყო.

გულრიფშის ბატალიონის უფროსმა, შოთა კვარაცხელიამ ურთიერთობა დაიწყო ჯვრის ბატალიონის უფროსთან, ისიც გვარად კვარაცხელია იყო. მათ დაიწყეს მთაში ამოსვლა და ბიჭების გადაბირება, დაშინება, რომ სოფელ ჯვარში ტექნიკა ბლომად იყო. ძნელად თუ წარმოვიდგენდი მე, ბადრი ზარანდია, როცა გოჩას თავისი ხალხი მოუკლეს, მას შემდეგ იარაღით ამოსულიყო ჩემთან და ბრძოლა გაგვეგრძელებინა, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. არადა მისი ორი მეომარი სოფ. ნარაზენში გენერალ გია გულუას ხალხის მიერ დახვრეტილი იქნა. ასეთმა მდგომარეობამ, რაზედაც ზემოთ მქონდა საუბარი, იძულებული გამხადა, მეფიქრა პრეზიდენტის საქართველოდან გაყვანაზე, ამასთანავე, გამომეყენებინა ჩემი თანამებრძოლები, რომელთაც ცოტა ხნით ადრე ჩემი ცოლის გადამალვა მოახერხეს მხედრიონის დაჯგუფებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე ჯაბა იოსელიანთან შეხვედრაზე უარს ვამბობდი, რის შემდეგაც მოსალოდნელი იყო ჩემი ოჯახის დატერორება. ისინი მილიციის თანამშრომლის ბინაში იყვნენ გადაყვანილნი. მრჩებოდა ერთადერთი ვარიანტი, გამომეყენებინა ჩემი თანამებრძოლები ჩემი ჩანაფიქრის აღსრულებისათვის. სანამ ამას ჩემი თანამებრძოლები გაიგებდნენ, მინდოდა მომეხსენებინა პრეზიდენტისთვის ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და გამეგო მისი აზრი. საღამოს, ამის შესახებ, მე და ზურაბ შონიამ შევიტყუეთ, რომელმაც იცოდა პრეზიდენტის ახალი ადგილსამყოფელი – ეს იყო სოფელ მუჟავას ტებენას დასახლებაში. ჩვენი მისვლის დროს პრეზიდენტის დაცვის უფროსი იქ არ დაგვხვედრია. ბატონ ბესარიონ გუგუშვილს ეძინა. მხოლოდ ბატონი პრეზიდენტი იყო ოთახში. რის შემდეგაც მისი დაცვის წევრი ბაჩუკი შემოგვიერთდა. ჩვენ საუბარი დავიწყეთ ყველაფრის ირგვლივ, რაც ხდებოდა. საჭირო იყო პრეზიდენტის სასწრაფოდ საქართველოდან გაყვანა, რაზედაც იგი დაგვთანხმდა. პრეზიდენტის დაცვის წევრი ბაჩუკი ითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას, პრეზიდენტმა მას საუბარი შეაწყვეტინა. ეს უკვე არარეალური იყო. მთაში ჩვენი მეგობრები რომ ამოსულიყვნენ, ჩვენ აღარც ტყვია – წამალი გვქონდა და აღარც პროდუქტები. პრეზიდენტს ვაცნობე ჩემი თანამებრძოლების შესახებ, ვისთანაც კავშირი მქონდა. პრეზიდენტმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა მათთან შეხვედრა. პრეზიდენტთან შეხვედრისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯვარის ბატალიონის მებრძოლების უმრავლესობა გულრიფშის ბატალიონს შეერთებია. ამის შემდეგ ჩვენთან, მთაში, ამოვიდნენ გოჩა იზორია, გია ჭანია, მილიციის თანამშრომლები, ბესო ხარებავა, ბეჟან წურწუმია, გოჩა და გია სარიები მე და ზურაბ შონია, რომლებიც შეხვდნენ პრეზიდენტს. მათთან საუბარში პრეზიდენტმა მიანიშნა მილიციის განყოფილებაში ჩაბარებაზე. პრეზიდენტი უარზე იდგა, სვანეთის დასახლებაში ასვლაზე, რომელიც პრეზიდენტის დაცვის უფროსმა შემოგვთავაზა, ან კახეთის მიმართულებით, რომელიც უარყოფილი იყო. ერთადერთ დასაშვებ გზად ხევსურეთს მიიჩნევდა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტს გადაწყვეტილი ჰქონდა ორი ვარიანტი: ან ჩაბარებოდა მილიციის თანამშრომლებს, ან რამენაირად ხევსურეთში მოხვედრილიყო. გამოზამთრების შემდეგ გადავსულიყავით გროზნოში. პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი ჭინჭარაული და გოგაძე გააცილა წალენჯიხელმა გალში მცხოვრებმა გვარდიელმა, რომელიც უკან უნდა დაბრუნებულიყო, რადგან მისი ძმა ჩვენთან ერთად იმყოფებოდა. მათი ვინაობა ცნობილი იყო ბუთხუზ ხარჩილავასთვის, რომელმაც ესენი კომენდანტურაში მოიყვანა, მაგრამ პრეზიდენტის დაცვის წევრების წაყვანის შემდეგ ისინი ბანაკში აღარ დაბრუნებულან. მათი დარჩენა ბანაკში (გოგაძე, ჭინჭარაულის) გამოწვეული იყო პრეზიდენტის დაცვის უფროსთან მათი დამოკიდებულებით. პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ ჩვენთან ამოვიდა გოჩა სარია და გვაუწყა, რომ მეორე დღეს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. რის შემდეგაც მე იძულებული გავხდი, დამეშალა ბანაკი. მოქალაქე შევარდნაძემ გასცა ბრძანება პრეზიდენტ გამსახურდიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, პრეზიდენტის დაცვის უფროსი და სამი წევრი საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის კომენდანტურის ოცდაათამდე გვარდიელი და მე, ბადრი ზარანდია, 1993 წლის ნოემბრის ბოლოს აღმოვჩნდით ოხაჩქუეს მთის ქვემო „რიადზე“, მდინარე ილორის სათავეებთან, ალყაშემორტყმული. ჩვენთვის გადაკეტილი იყო სვანეთისკენ მიმავალი გზაც. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა სვანეთში ასვლაზე, ხოლო სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩვენ წინააღმდეგ ზუგდიდში შეიარაღებული მხედრიონი იდგა, ჰყავდათ ოცდაათამდე საბრძოლო ტექნიკა, ხუთი ერთეული რუსული „ტ-72“-ის ტიპის ტანკი. ქალაქ სენაკს აკონტროლებდნენ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ქვედანაყოფები თეკლათის გადასახვევიდან თამადის გზის მონაკვეთამდე. ჩვენი ბანაკიდან ექვსი კილომეტრის მოშორებით შემოყვანილი იქნა ქუთაისის ბატალიონი დევი ჩაკვეტაძის მეთაურობით, რომელსაც სამოცი შეიარაღებული კაცი ჰყავდა, ხუთი საბრძოლო მანქანა და „გრადის“ ტიპის საარტილერიო მანქანა. მას მოჰყვებოდა გულრიფშის რაიონის შინაგანი ჯარების ბატალიონი შოთა კვარაცხელიას მეთაურობით. ერთი სიტყვით, სამეგრელოს გზა ჩვენთვის მოჭრილი იყო. აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლაზე კი ლაპარაკი ზედმეტი იყო. დათქმულ დღეს მე და ჩემი უახლოესი პირი დაველოდეთ ჩვენს თანამებრძოლებს სოფელ ლიაში, რათა შემდგომში დაგვეწყო ქალაქ ზუგდიდის გავლით პრეზიდენტის აღმოსავლეთ საქართველოში გაყვანა, რა დროსაც მე და ჩემთან მყოფი პირი ჩვენმა თანამებრძოლებმა დაგვატყვევეს. ქალაქ ზუგდიდში ტყვეობაში ჩემთან ერთად აღმოჩნდა ჩემი შვიდი თვის შვილი სლავიკ ზარანდია და ორსულად მყოფი მეუღლე თამრიკო ქარდავა. ჩემი ყოფილი თანამებრძოლები პატარა სლავიკას განადგურების მუქარით ჩემგან მოითხოვდნენ, შემესრულებინა ბერბიჭაშვილის როლი, რის გამოც იძულებული გავხდი, დამეწყო თამაში. მე მოვახერხე პრეზიდენტის გაფრთხილება, რომ არ შემხვედროდა არც მე და არც ჩემი სახელით გამოგზავნილ ნებისმიერ პიროვნებას. ამის შემდეგ პრეზიდენტი ჩემთან კავშირზე არ გამოსულა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“

*ვახტანგ VI*

მომავალი თაობების აღზრდას ქვეყნის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ეს ჩინებულად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს, ამიტომ ისინი თავიანთ ყრმებს აღსაზრდელად ჭკვიან, წიგნიერ და ზნეობრივ ადამიანებს აბარებდნენ.

აღმზრდელი პასუხისმგებელი იყო მშობლების, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ის ქვეყანაში, საზოგადოებაში მეტად პატივდებული და დაფასებულიც იყო, ვიდრე დღეს.

საქართველოში საგანმანათლებლო კერები ოდითგანვე არსებობდა. ამას მოწმობს ფაზისის რიტორიკული სკოლის – ფაზისის აკადემიის არსებობა. ფაზისის აკადემია ბიზანტიურ სამყაროში კარგად ცნობილი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. აქ სწავლობდნენ როგორც ქართველები ასევე უცხოელებიც. ამ აკადემიაში უსწავლიათ ბერძენ ფილოსოფოსებს ევგენიოსსა და მის შვილს თემისტეს. აქ მიიღო განათლება, აგრეთვე იოანე ლაზმა, რომელიც ქართველ სწავლულ ზაქარია ქართველთან ერთად კონსტანტინეპოლში ახლდა თავის მოწაფეს ცნობილ ფილოსოფოსს და ღვთისმეტყველ პეტრე იბერს. ფაზისის აკადემიაში უსწავლია იბერიის უფლისწულს ბაკურს. ფაზისის აკადემიის დაარსების თარიღად მიჩნეულია III საუკუნის შუახანები. რუდოლფ შტაინერის ცნობით ფაზისის აკადემია VII-VIII საუკუნეებშიც არსებობდა. ფაზისის აკადემიაში სწავლა ორ ენაზე – ქართულ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა. მოგვიანებით კი ეს ესტაფეტა გელათისა და იყალთოს აკადემიებმა გადაიღეს. გელათის აკადემია გელათის მონასტერთან ერთად 1106 წელს დააარსა წმინდა დავით აღმაშენებელმა და აკადემიაში შეკრიბა ქართველი სწავლულები, მათ შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, რომელმაც შემდეგ დააარსა იყალთოს აკადემია. იყალთოს აკადემიაში კი უსწავლია შოთა რუსთაველს.

ნიჭიერ და სწავლამოწყურებულ ახლაგაზრდებს უცხოეთშიც აგზავნიდნენ განათლების მისაღებად. ქვეყნის გარეთ იქმნებოდა, აგრეთვე ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები: პალესტინაში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში დაარსებულა ქართული სამონასტრო კომპლექსები: ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდორეს, საბას ლავრები, ბეთლემის მონასტერი ქართული წარწერებით, საბაწმინდის ლავრა. საყოველთაოდ ცნობილი ჯვრის მონასტერი, რომლის კედლებზეც გამოსახულია რუსთველის ფრესკა.

ქართველთა საგანმანათლებლო ცენტრი არსებობდა სირიაში შავ მთაზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე სინას მთაზე. ბიზანტიაში ულუმბოსა და ათონის მთებზე. დღევანდელ ბულგარეთში იყო პეტრიწონის უდიდესი საგანმანათლებლო კერა. კუნძულ კვიპროსზე ღალიას მონასტერი, რუმინეთში წმინდა ანთიმოზ ივერიელის (1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა) მიერ დაარსებული მონასტრი. ანთიმოზ ივერიელმა უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმეს, მან საქართველოში ვახტანგ VI-ს გამოუგზავნა პირველი ქართული სტამბა. 1709 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა სახარება ხოლო შემდეგ „ვეფხისტყაოსანი„.

სწავლულები და სასწავლო ცენტრები საქართველოს არც შემდგომ პერიოდში მოჰკლებია. ჩვენი წერილის მიზეზი კი ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში დღეს არსებული საგანგაშო და სავალალო მდგომარეობაა.

ქართველი ახლაგაზრდები დღესაც მიეშურებიან უცხოეთში განათლების მისაღებად. დღევანდელი ხელისუფლება განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს უცხოური დიპლომების მქონე ახალგაზრდებს. სხვა საქმეა, რას სწავლობენ და როგორ განათლებას ღებულობენ ისინი.

რამდენიმე ხნის წინ ქართველმა ჟურნალისტებმა სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის ჩაატარეს გამოკითხვა მათი ინტელექტუალური დონის შესახებ. შედეგები მეტად სამწუხარო და თავშისაცემი აღმოჩნდა.

გამოკითხვამ უჩვენა, რომ ჩვენ უწიგნური და უვიცი ახალგაზრდობა გვყავს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მათი წიგნიერების, ნაკითხობის დონე. ჩვენს ახალგაზრდობას წარმოდგენა არა აქვს უბრალო საკითხებზეც კი. არ იცნობენ ჩვენს წარსულსა და აწმყოს. აქედან გამომდინარე ჩვენი მომავალიც ბურუსითაა მოცული, რამეთუ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა„ (ლაიბნიცი).

ვინაიდან ყოველ შედეგსა და მოვლენას თავისი მიზეზები გააჩნია, ამჯერად შევეცადოთ ზედაპირულად განვიხილოთ ეს საჭირბოროტო მიზეზები.

უმთავრეს მიზეზთაგანი ჩვენი დღევანდელი უბედურებისა არის ის, რომ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს ქართული სახელმწიფოებრიობის მიზანმიმართული ნგრევა საქართველოს ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმების მიერ. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრის ავტორიტარული, ანტიქართული რეჟიმები ანგრევენ და ბალავარს აცლიან ქართული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ქვეყნის განათლების სისტემა - სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალია, მისი ინტელექტუალური ძალაა.

ქართულ საგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარეობს დაუსრულებელი რეფორმა- ექსპერიმენტები. სკოლაში არასაჭირო და მავნე დისციპლინების შემოტანა ხდება ქართულის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების საათების შემცირების ხარჯზე. ყოველ წელს იცვლება სახელმძღვანელოები,



რომელთა უმეტესობა არასრულფასოვანია.

შედეგიც ვიხილეთ! თურმე ამ რეფორმა-ექსპერიმენტებით დაგვიჩლუნგებია და გონებრივად გაგვიღატაკებია ჩვენი ახალგაზრდობა!

საქართველოს დირექტორმა სააკაშვილმა, თავის სალაყბოში, ზღვის პირას გამართულ შეკრებაზე საქართველოს უწოდა „ხუთოსანი ბიჭი„, რუსეთს - ოროსანი. მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფმა ტელევიზიის ჟურნალისტებმა ფარდა ახადეს სინამდვილეს - არ ყოფილა საქართველო „ხუთოსანი ბიჭი„! გამოკითხვამ უჩვენა, რომ ჩვენი ახლაგაზრდობის წიგნიერების დონე ნულს ქვემოთაა! ოროსანიც აღარაა!

სახელმწიფო-სამეურნეო გარდაქმნების მომიზეზებით მისი მთავარი სამიზნე გახდა კომუნისტურ ეპოქაში შექმნილი და დამკვიდრებული სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სახით.

ამავე დროს, ქვეყანაში განხორციელებული არასწორი, გამრუდებული და დამღუპველი ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმა-ექსპერიმენტები, რომლებმაც ცხოველი ხასიათი „ვარდების რევოლუციის„ შემდეგ მიიღო. პრივატიზაციის გეგმის მიხედვით ხელისუფლება აუქმებს ან ამცირებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, აუქციონზე გააქვს მათი კუთვნილი შენობები და ამით ავსებს „სახელმწიფო ბიუჯეტს„.

შედეგები სახეზეა!

ქვეყანას ჰყავს უწიგნური და უვიცი ახალგაზრდობა!

მივუბრუნდეთ ჟურნალისტურ გამოკითხვებს. უნივერსიტეტის სტუდენტობას წარმოდგენა არა აქვს ჩვენი დედა-უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის და მისი პირველი რექტორის შესახებ, არ იციან ვინ არის პეტრე მელიქიშვილი, არ იციან ვინ არის წმინდა ილია მართალი, რუსთველი, კონსტანტინე გამსახურდია და ასე შემდეგ. სამაგიეროდ, ყველამ იცოდა ვინ არის დიზაინერი „ბიჭოლა„.

რა ვიღონოთ? გავკიცხოთ? დავამუნათოთ? სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ?

უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად მათი გულარხეინობისა და უტიფარი ღიმილისა, ეს ახალგაზრდობა ჩვენში თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევს. ეს ახალგაზრდობა არის მსხვერპლი არასწორი და ანტიეროვმული საგანმანათლებლო რეფორმისა, ჩვენივე ბედოვლათობის, ინდიფერენტიზმისა და დაუდევრობის, ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უვიცობის, უზნეობის, არაპროფესიონალიზმის, უსამართლობის, ზნეობრივი დეგრადაციისა და სიმახინჯეების მიმართ ჩვენივე კონფორმიზმისა. ნაცვლად იმისა, რომ ყოველივე ამის გამო ზარებს ვარისხებდეთ, ყურთბალიშზე არხეინად მიგდებულებს გვძინავს საღათას ძილით, რის გამოც, ჯერ კიდევ საუკუნის წინ წუხდა ჩვენი ერის დიდი ჭირისუფალი წმინდა ილია მართალი.

ჩვენ იმ თაობას განვეკუთვნებით, რომელიც დაიბადა და აღიზარდა კომუნისტური ტოტლიტარიზმის ეპოქაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი სფერო მკაცრად პოლიტიზირებული და კომუნისტური იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი. გამონაკლისს, არც განათლების სფერო წარმოადგენდა. მეცნიერების ყოველი დარგი შეზავებული იყო კომუნისტური იდეებითა და დოგმატიზმით. საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდა კომუნისტური ახალგაზრდული ორგანიზაციები. ერთი სიტყვით, გვზრდიდნენ კომუნიზმის მშენებელ თაობებს კომუნისტური იდეოლოგიითა და სულისკვეთებით. ფაქტიურად არ არსებობდა განსხვავებული მსოფლმხედველობა, განსხვავებული ხედვა. ჩვენი ცხოვრებიდან განდევნილი იყო ჭეშმარიტი, ჯანმრთელი პატრიოტიზმი, უგულველყოფილი იყო საქართველოს ეროვნული ინტერესები. კომუნისტებმა საქართველო აქცია ინტერნაციონალიზმის ლაბორატორიად, სადაც იდევნებოდა ყოველივე ქართული. ამას თან ერთვოდა უმაღლეს სასწავლებლებში ფეხმოკიდებული მექრთამეობა.

მიუხედავად ამისა, დღევანდელთან შედარებით მაინც მაღალი იყო სწავლების დონე, პროფესიონალიზმი, სამეცნიერო ტრადიციები. საქართველოში არსებობდა მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა - საქართველოს მეცნიერებათა აცადემია თავისი კვლევითი ინსტიტუტებით. იქ მოღვაწე ქართველი მეცნიერები დღესაც კი დაამშვენებდნენ მსოფლიოს ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებს.

ჩვენ, კომუნისტურ საშუალო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილებმა, მშვენივრად ვიცოდით, რომ ჰაერის ტენიანობა პროცენტობით იზომება და არა გრადუსობით, ვიცოდით სად მდებარეობდა საქართველოში სულორი და სად ილორი. ისიც ვიცოდით, რომ ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა თავის პოემაში „სადღეგრძელო. ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ ფრაზა „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“ წარმოთქვა ავბედით XIX საუკუნეში და არა შოთა რუსთველმა XII საუკუნეში, როგორც ეს „ნამდვილი ისტორიის“ მცოდნე მიშამ გავუწყა.

კომუნისტურ სკოლაში, ჩვენმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გვასწავლა, რომ დიდმა მგოსანმა აკაკიმ თავისი უკვდავი „სულიკო“ 1895 წელს დაწერა, აკაკიმ ვარინკა მაჭავარიანს სთხოვა ამ ლექსისთვის ჰანგის შეთხზვა, რომელმაც ჩინებულად გაართვა ამ საქმეს თავი და უკვდავჰყო აკაკის „სულიკო“. 1898 წელს ინგლისურ ფირმას „ფონოგრაფი“ „სულიკო“ ვარინკასავე შესრულებით ცვილის ლილვალებზე ჩაუწერავს, ხოლო 1900 წელს კოტე ფოცხვერაშვილმა სიმღერა ნოტებზე გადაიტანა, რომელიც 1905 წელს ორკესტრმა ქუთაისის საქალაქო თეატრში შეასრულა, ასე რომ „სულიკო“-ს ისტორია ითვლის ასიოდე წელზე ▶

მეტს და ვერასდიდებით ვერ იმღერებდა მას ძაღლმიმკვდარ შაჰაბასის მიერ მშობლიური კერებიდან აყრილი და ფერეიდანს გადასახლებული ქართველები, როგორც ამას დღევანდელი საქართველოს დირექტორი „გვასწავლის“.

დღევანდელი საქართველოს დირექტორი ხშირად გვამუნათებს, რომ ჩვენმა თაობამ არასწორი ისტორია ისწავლა და წარმოდგენა არ აქვს ნამდვილ ისტორიაზე. ეს „ნამდვილი ისტორიის“ მცოდნე (ალბათ დედამ ასწავლა სახლში ნამდვილი ისტორია), თავის თავს ხშირად ჩვენს დიდ მეფეს დავით აღმაშენებელს ადარის და ცდილობს არ ჩამორჩეს, პირიქით, უნდა რომ გადაასწროს და ამბობს: „დავით აღმაშენებელი ნატოში შესვლაზე ოცნებობდა“-ო?!

დღევანდელი საქართველოს დირექტორს შეუქმნეს განათლებულობის ყალბი იმიჯი, ისიც მშვენივრად იხდენს ლაქიათა და მატრაბაზთა დითირამბებს, ოფიციალურ შეხვედრებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე თავს იწონებს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ცოდნით. საქართველოს დედოფალმა მარიამ ციციშვილმა მოკლა რუსი გენერალი ციციანოვი-ო, განაცხადა ერთ დღეს დირექტორმა, სინამდვილეში კი მარიამ დედოფალმა მოკლა რუსი გენერალი ლაზარევი.

„ნამდვილი ისტორიის“ მცოდნე გვიმტკიცებს, ბაგრატის ტაძარი რუსმა გენერალმა პასკევიჩმა დაანგრიაო. სინამდვილეში კი, 1770 წელს რუსმა გენერალმა ტოტლებენმა მწვანე ყვავილადან დაუშინა ბაგრატის ტაძარს ჭურვები, სადაც გამაგრებული ყოფილან თურქები, სინამდვილეში კი 1662 წელს ააოხრეს თურქებმა ბაგრატის ტაძარი.

ტოტლებენი იმპერატრიცა ეკატერინე II დროს ჩამოვიდა საქართველოში, ხოლო პასკევიჩი ტოტლებენის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციიდან 12 წლით გვიან დაბადებულა (1782 წ). და 1827 წელს დანიშნეს კავკასიის მეფის ნაცვლად.

„საქართველოში მაღალი ხარისხის თოვლია, ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს ამერიკაში ან ერთგან ევროპაში“ აცხადებს თავმომწონედ დღევანდელი საქართველოს დირექტორი. აი თავსატეხი! ვეძებე „თოვლოლოგი“, ვის არ ვკითხე თოვლის ხარისხიანობის შესახებ, უფროსს, უმცროსს, ჩვენიანს, უცხოელს, მაგრამ ვერვინ ამიხსნა რა კრიტერიუმებით დგინდება თოვლის ხარისხიანობა და მისი ავკარგიანობა. თანაც, ამგვარი თოვლი შეიძლება იყოს ამერიკაშიო ან კიდევ „ერთგან“ ევროპაშიო.

ამერიკაში ყველგან არ მოდის თოვლი, ან იმ ევროპაში სად უნდა ვეძებო იმ „ერთგან“ „მაღალი ხარისხის თოვლი“, რათა ჩამოვიტანო და შევადარო ასევე „მაღალ ხარისხიან“ ქართულ თოვლს.

ეს კი არა და დღევანდელი საქართველოს დირექტორმა ესეც კი გვამცნო საზეიმოდ – „მაიკროსოფტმა შექმნა ქართული ანბანი“ –ო.

ესეც არ გვცოდნია საბჭოთა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წერა-კითხვა ნასწავლ ჩასარეცხებს. ჩვენ კი ქართველობა ამდენი ხნის მანძილზე თავს ვიქონებდით ჩვენი ანბანის ღრმად მოხუცებულობით.

არქეოლოგიური ძიებებისას ნაპოვნია ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის მონეტები, რომლებზეც ამოტვიფრულია ქართული ასომთავრული ასოები. აი ისიც:

მონეტაზე ქარაგმით აწერია „კეი~ი ფ~ზ“, სპეციალისტების აზრით კი ეს ნიშნავს „კეისარი ფარნავაზი“. არსებობს ფარნავაზის სხვა მონეტებიც, რომლებზედაც ასევე ქართული ასომთავრულია ამოტვიფრული. ასე რომ, ფარნავაზ I-ის სახელმწიფოში დამწერლობა იყო ქართული და საოცარია, გუშინ შექმნილი „მაიკროსოფტი“, როგორ შექმნიდა ქართულ ანბანს? ესეც, ალბათ ისტორიკოსმა დედამ ასწავლა!

ახლა გადავხედოთ დღევანდელი საქართველოს დირექტორის სანაზირ-ვეზიროს ინტელექტუალურ დონეს:

დღევანდელი საქართველოს დირექტორის ერთ-ერთი ვეზირი საქართველოში, ჩვენი რძლის სამშობლოდან დედალ-მამალი ძროხების შემოყვანასაც აპირებს.

"მიმდინარეობს თანამშრომლობა დაკავებული თანამშრომლის მხრიდან.." - მერაბიშვილი

სამეგრელოში ყველაფერი კარგად მიდის, გაჩნდა ფულიც, აი მაგ. ამ დღეებში გაიტაცეს პიროვნება, რომლის ოჯახმაც მეორე დღესვე 30000 დოლარი გადაიხადა გამოსასყიდი - კახა არდია, სამეგრელოს გუბერნატორი

"ამ სამ კვირაში (ოსიაურის ბანაკში) ჩვენ (რეზერვისტებმა) მივიღეთ ფუნდამენტური ტაქტიკური განათლება" - გიორგი არველაძე

მოხდა კანცელარიის ევაკუება - ნინო ქაჯაია

“ადგილზე მოკვლევას ატარებდნენ ჩვენი ექსპერტები, კერძოდ ძაღლები“ - ვანო მერაბიშვილი

„აი, ჩვენ გვასყვედურობენ: პროფესიონალიზმი! პროფესიონალიზმი! რა შუაშია პროფესიონალიზმი? მთავარია ეფექტურობა!" - ვანო მერაბიშვილი

"მე მეტს აღარ გავგრძელდები!" - გია ბარამიძე

"ეს საქართველოს შიდა კუხნაა" - ბეჟუაშვილი

"დაშავებულები მძიმე მდგომარეობაში არიან რადგანაც მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახამრება" -ვანო მერაბიშვილიი

"ჩვენს პოლიციელებს ბრძანების მიცემა არ სჭირდებათ . ისინი ისედაც ყველანაირ ბრძანებას ასრულებენ" - ვანო მერაბიშვილი

ვანო მერაბიშვილის პრეს-კონფერენცია დიდი პარტიის ნარკოტიკების დაკავების თაობაზე. იმ ნარკოტიკების დემონსტრირების წინ თქვა: "მე მოვახდენ გამოყენებით დემონსტრირებას თქვენს წინაშე"!

განბაჟუიწე და უეჟაიწე... – მიშა ქარელი

რამიშვილის პროცესზე მოსამართლემ თქვა: "ჩვენ აქ მტყუან მართლის გასარჩევად არ ვართ მოსულები!" (ესეც შენი თავისუფალი სასამართლო!)

"ალიაში" იყო ინტერვიუ გარემოს დაცვის ერთ-ერთ ახალდანიშნულ მაღალჩინოსანთან:

კითხვა: მზიურის ტერიტორიის ფეკალური მასებისგან გაწმენდას თუ აპირებთ?

პასუხი-ფეკალური მასა რა არის?

ლანჩხუთის გამგებელი დაიმტვრა, ცხენიდან ჩამოვარდა და ადგილობრივი ჟურნალისტი (ალია)



მივიდა გამგეობაში ზუსტად ამბის გასაგებად და პრესცენტრი ეუბნება: ინფორმაციას ოფიციალურად ვერ დაგიდასტურებ და შინაურულად კიო.

მისი მოთავსება მოხდა ე.წ. ბალნიცაში (მაია ნადირაძე)

ახლა ურიგო არ იქნება ჩვენი ჟურნალისტების მარგალიტებსაც თუ გავეცნობით:

როგორ გრძნობს თავს გარდაცვლილი პოლიციელი? (ნ. ლაზაშვილი) არ დაგავიწყდეთ, ეს ქალბატონი თანამედროვეობის უდიდესი ჟურნალისტია!:

შემთხვევის ადგილზე მოვიდა სხვადასხვა პოლიციის ჯგუფები - ნანა ინწკირველი

"ჩემს ხელთ ამჟამად იმყოფება ყვავილების თაიგული..." - რუსთავი ორის ჟურნალისტი

პრეზიდენტის სველი ფეხები უფლისციხეზე ავიდნენ! - ნათია ლაზაშვილი

კიკალიშვილი: ეჭვმიტანილი დააკავეს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ცოცხალია თუ მკვდარი.

ლაზაშვილი: დავით, რადგან დააკავეს ესე იგი ცოცხალია.. ?!.

კიკალიშვილი: ჰო, იმედი ვიქონიოთ რომ ცოცხალია..

ვინ ჩააგდო ამ დღეში ჩვენი საბრალო ახალგაზრდ ობა, ვინ გაიმეტა? პასუხი ცალსახაა - „დასავლურ ღირებულებებს„ გამოკიდებულმა უგვანო რეჟიმმა და მისმა პატარ-პატარა იდეოლოგებმა. მონური მიმბაძველობით ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი ნიჭიერი და თვალხატულა ახალგაზრდების დამსგავსებას დასავლელ თანატოლებზე, ეს თვით გადაცემიდანაც ნათლად სჩანდა – უცხოური ყაიდის ჩაცმულობა, უცხოური ვარცხნილობა, არაჩვენებური მანერები, რაიც ეგზომ საჩოთირო და სახამუშოა ჩვენი ჯიშისა და ჯილაგისათვის. დასავლეთშიც ასეა, იქ საზოგადოების მოზრდილი ნაწილი ქართველი ჟურნალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ინტელექტუალური დონისაა. არქიფო სეთურის უპირველესი მიზანი და ამოცანაა ტვინი გამოურეცხოს მომავალ თაობას, რამეთუ უწიგნური და უვიცი მასა ადვილი სამართავია!

უკეთესს რას ველოდით ამ ახალგაზრდებისაგან?

სწორედ ამ უმეცართა და უწიგნურთა მიერ განხორციელებულმა „რეფორმებმა„ აღზარდა ეს თაობა.

საქართველოში დღეს უწიგნურობის, უმეცრობის, სიბნელის ხანა დგას, თვით უწიგნური და უმეცარი, მმართველობის სათავეში მოკალათებული კასტა, როგორ აიტანს წიგნიერ, ზნესრულ და განათლებულს მის გვერდით, მის სამფლობელოში?

და არც იტანს, არც აჭაჭანებს ჭეშმარიტ ცოდნასა და ინტელექტს!

კანალიზაციის სპეციალისტი, განათლების ყოფილი მინისტრი ლომაია სიტყვა „ბავშვს„ უშეცდომოდ რომ ვერ დაწერს, ივარგებს იმ ქვეყნის ბავშვი რამედ!?

ახალმა მინისტრიმა კი სკოლები საპყრობილეებად აქცია, მსტოვარ-ზედამხედველებად მანდატურები ჩაუყენა.

ეს ის თაობაა, რომელიც ლოტოტრონებით დანიშნული დირექტორების ხელქვეით აღიზარდა და შედეგიც შესაფერისია.

ეს ის თაობაა, რომელიც დიპლომს ერთმანეთზე შეფურთხებით იცავს, შედეგიც ფურთხის ღირსია!

ქვეყანაში მიზანმიმართულად მიმდინარეობს საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ტრადიციების, ადათ-წესების, ჭეშმარიტი ზნეობრივი ღირებულებების ნგრევა-განადგურება, რომლის ერთადერთი მიზანია ჩვენი ერის გადაგვარება, ქართველი ხალხის უსახურ, ცხოველურ მასად გადაქცევა. საქართველოს ისტორია ხომ საკუთარი თვითმყოფადობისათვის, საკუთარი მეს გადარჩენისათვის ბრძოლის დაუსრულებელი ეპოპეაა. ყოველი დამპყრობელი, სამტროდ მოსული გადამთიელი ცდილობდა მოესპო და ამოეძირკვა ყოველივე ქართული. ვეწამეთ, ვევნეთ, მაგრამ მაინც მოვაღწიეთ დღესამომდის. მოყვრულად მოსულ ავაზაკ მტერსაც გადავურჩით, მაგრამ დღეს ჩვენი ერის ამოგდების მსურველებმა ბრძოლის წესები შეცვალეს, ცეცხლისა და მახვილის ნაცვლად შენიღბულ, არანაკლებ მომაკვდინებელ მეთოდებს იყენებენ. ჭეშმარიტ ეროვნულ, ზოგადკაცობრიულ ღირებულებებს კულტურისა და ცივილიზაციის ნიღაბს ამოფარებული ანტიკულტურით ანადგურებენ.

აბა, იმ ქვეყანაში, სადაც ბოძთან მოცეკვავე ხაბაზი ქალი ვაზირი ხდება, კარგს რას უნდა ველოდოთ.?!

შოთას სიბრძნეც გავიხსენოთ:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!

სხვა-და-სხვა ჭირი ჩემ ზედა არ ახალია, ძველია!"

ამ უმეცარი ახალგაზრდობის აღმზრდელ ხელისუფალთ ვურჩევთ წაიკითხონ აკაკის „გამზრდელი“!

სანამ ჩვენს წერილს დავასრულებდეთ ისევ მეფე-პოეტის ვახტანგ VI –ს სტრიქონებს მოვიხმობთ:

„ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოარულია,
გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია“.

სად ვეძებოთ, ვინ იქნება გამწვრთნელის მცემელი? გამოჩნდება კი ოდესმე?

ამ კითხვებს ჩვენთვის უცნობი ავტორის სტრიქონებით ვუპასუხებთ:

„ვისაც ჰგონია საქართველო პატარა არის,
Bბრიყვია იგი, რომ აზროვნებს სწორედ ამგვარად,
ქართველმა ერმა სამშობლოსთვის სისხლი დაღვარა,
და შეებრძოლა მტერს ურჯულოს, ბოროტს, სატანას,
მონობის უღელს გააყოლებს წარსულს, წარმავალს,
და შეუდგება ჭეშმარიტ გზას ღვთისკენ აღმავალს„!

შეუდგება იმ გზას, რომლსაც ის 1991 წლის 9 აპრილიდან შეუდგა!

**ალექსანდრე სანდუხაძე**

# გურამ შარაძე: „მე პასუხს ვაძლევ მე-20 საუკუნის საქართველოს კიბოს, შაჰ-აბას თენგიზ სიგუას!“

*გურამ შარაძის ბრალდების შემდეგ (იხ. „ასავალ-დასავალი“, 2007 წლის მე-11 ნომერში), რომელიც მან თენგიზ სიგუას წაუყენა, თენგიზ სიგუას მწარე კომენტარი მოჰყვა, რომელიც უკვე იხილა მკითხველმა „ასავალ-დასავალის“ მიმდინარე წლის მე-16 ნომერში. და აი, დღეს საგაზეთო ტრიბუნა კვლავ **გურამ შარაძეს** ეთმობა და კიდევ ერთხელ გვიწევს იმ ავბედითი პერიოდის გახსენება, 1991-1992 წლების სამოქალაქო დაპირისპირება რომ შეარქვა ერმა.*

**- ბატონო გურამ, მოგეხსენებათ, არც ბატონი თენგიზ სიგუა დაგრჩათ ვალში, ჩემთან საუბარში მან პროვოკატორი გიწოდათ და ბევრი კითხვის ნიშანი დაუსვა თქვენს ნათქვამს...**

- ვთქვათ პირდაპირ. მან მე დიდი პროვოკატორი მიწოდა. მე შემეძლო, მაშინვე გამეცა პასუხი, მაგრამ დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა კი თენგიზ სიგუასთან თავის გაყადრება და ასე ვთქვათ, მისი ამ მორიგი ცინიკური და უპასუხისმგებლო განცხადების კომენტირება. მაგრამ, ბოლოს მაინც გადავწყვიტე, რომ ეს ყველაფერი ისტორიას რჩება და შეიძლება მომავალმა თაობებმა იკითხონ, რატომ არ გასცა პასუხი გურამ შარაძემ, თუ მართალი არ იყო? ან რატომ დარჩა სიგუას ეს პასკვილი პასუხგაუცემელი? ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

მხოლოდ და მხოლოდ, ისტორიის წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის, თქვენი გაზეთისა და მისი მკითხველისადმი პატივისცემის გრძნობა მაიძულებს, რომ პასუხი გავცე ამ მეოცე საუკუნის საქართველოს კიბოს!

ეს კაცი არის მოურჩენელი სიმსივნე, რომელიც უკვე ამდენი წელია წამლავს თავისი ცინიკური და გარეგნულად წარმოსადეგი ფიგურით საქართველოს პოლიტიკურ და ეროვნულ სინამდვილეს.

ჩვენ ქვეყნის ბევრი მოღალატე, შადიმანი, ბერბიჭაშვილი, ორჯონიკიძე ვიცით, მაგრამ შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, ასეთი ნიღბის, ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი, ინტელიგენტური ჰაბიტუსით შენიღბული საქართველოს მტერი არც ბერბიჭაშვილი ყოფილა, არც – ორჯონიკიძე და არც – შადიმან ბარათაშვილი; რომელსაც ქართველი ხალხი და საქართველო ასეთი სულგრძელობით იტანს, ითმენს და იმის მაგივრად, რომ მან თავისი ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს და ქართველმა ხალხმა ის არ ჩაქოლოს ლინჩის წესით – ამდენი წელია, ენას არ აჩერებს და ამდენს ბედავს საქართველოს შეურაცხყოფისთვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელისა და მისი წმინდა აჩრდილის შეურაცხყოფისთვის!

ამიტომ, მე დღეს არ შემოვიფარგლები მხოლოდ იმ ეპიზოდით, რომელიც თქვენთან წინა საუბრისას ვახსენე...

მოგეხსენებათ, რომ საუბარი იყო იმაზე, რომ 15 მარტს, გამთენიისას, სამ საათზე, როდესაც სიგუამ და მისმა ბანდამ კოლხურ კოშკს ცეცხლი გაუჩინეს და მე ჩემი თანამშრომლებით მთელი ღამე გავათენე იქ, რათა, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა წყლისა და ცეცხლის სტიქიონისგან, გადაგვერჩინა, სწორედ დილაადრიან სიგუამ ჯერ გამოგზავნა აწ განსვენებული გელა ლანჩავა, რომელსაც, სამწუხაროდ, მე ცოცხალ მოწმედ ველარ მოვიყვან და ველარ ვალაპარაკებ.

**- თუმცა, ნუ გამორიცხავთ, რომ ლანჩავასაც სიგუას მხარე დაეჭირა დღეს... ან, თუნდაც, ეცრუა ისტორიის წინაშე...**

- ყოველ შემთხვევაში, მე შემიძლია ვთქვა: სიგუაზე მეტი გარეწარი და უტიფარი – ლანჩავა ნამდვილად არ იყო! ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ გარდაცვლილია... მე ორივეს ვიცნობდი და ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო – სიგუასავით სინდის-ნამუს გარეცხილი ლანჩავა ნამდვილად არ იყო!

**- ბატონო გურამ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს 15 მარტის მოვლენები...**

- ასე რომ, დილაადრიან, როცა სიგუამ გელა ლანჩავა გამოგზავნა თავისი შეიარაღებული ბანდიტებით, რათა ხანძრისგან გადარჩენილი ბიბლიოთეკა-არქივი, მემორიალური ნივთები და ავეჯი წაეღოთ და, რომ იტყვიან, კინწისკვრით, უარით გავისტუმრე, მეორედ მოსვლისას ამ ბანდასთან, სიგუას ხალხთან ერთად ლანჩავა აღარ იყო. აქედანაც ჩანს სიგუასთან შედარებით გელა ლანჩავას ნაკლები უტიფრობა და უსინდისობა. ესე იგი, სინდისმა შეაწუხა და ვერ გაბედა ჩემთან მეორედ მოსვლა. აბა, ჩემთან მოსვლას რა გაბედვა უნდოდა, როცა თვითონ გენერალი იყო და შეიარაღებული ხროვა ჰყავდა...

უტიფარ სიგუასთან ერთად 15 მარტს მომხდარი ფაქტის მეორე, ცოცხალი მოწმეც მყავს. საკონსტიტუციო სასამართლოს ამჟამინდელ მოსამართლეს ბატონ ვახტანგ გვარამიას მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ გამოჩნდეს! გვარამია შესანიშნავად კითხულობს და შესანიშნავად წერს, როცა მას უნდა! მეორედ ვასახელებ ამ კაცს, რომ იგი არის ცოცხალი მოწმე და ახლაც თუ არ გამომეხმაურა, მესამე წერილს უკვე გვარამიას მივწერ თქვენი გაზეთის ფურცლებზე. მე არ ვიკადრებ, რომ ის კაბინეტში მოვძებნო. ესღა მაკლია! კეთილი ინებოს ბატონმა გვარამიამ და, თუ ის არის ღირსეული მოსამართლე და სამართლის დამცველი, ადგეს და ისტორიული სიმართლე ელაპარაკოს ქართველ ხალხს!

ის ხეც კი მახსოვს, არყის ხე რომ არის კოლხური კოშკის ძველი ჭიშკრის გალავნის გვერდით, სადაც იდგა გვარამია, შეიარაღებული ხალხით სავსე ავტობუსისკენ ჩემი წაყვანის დროს ჩქარი ნაბიჯებით გამოვარდა ბატონი ვახტანგი, შემოვარდა ავტობუსში, მან, ფაქტიურად, თავი გაწირა ჩემთვის და გვერდიდან არ მომშორებია. ამისთვის ძალიან დიდი მადლობელი ვარ მისი! იგი არის მოწმე ჩემი საათნახევრიანი რაციით საუბრისა თანგიზ სიგუასთან, რომელიც იქიდან ბღაოდა, ყვიროდა, მემუქრებოდა...

მაშინ ბატონი გვარამია გენერალური პროკურორის მოადგილედ ითვლებოდა და მან, ფაქტობრივად, დახვრეტას გადამარჩინა! თუ გვარამია არ იტყვის სათქმელს, მაშინ მე ჩავთვლი, რომ ის სიგუას გვერდით დგას და ის სიგუასნაირია! და მას არავითარი მორალური უფლება არ ექნება, რომ იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე! მაშინ ისიც ისევე უნდა იყოს ჩაკეტილი შინაპატიმრობაში, როგორც დღეს თენგიზ სიგუა არის!



როგორ ბედავს სიგუა, რომ მე პროვოკატორს მიწოდებს და გურამ შარაძეს სიცრუეში სდებს ბრალს?

მე ყველაფერს ვიტყვი!

თორემ უკვე, ასეთი გაჩუმებით ყველას ყველაფრის უფლება მივეცით და მტყუანმართალს ველარ ვარჩევთ... ამასობაში ამოსძვრა ხალხს სული...

**- ბატონო გურამ, მეგონა, ახალს იტყოდით რამეს...**

- ეს ერთი ფაქტია, რომელიც უკავშირდება თენგიზ სიგუას სამარცხვინო სახელს ისტორიაში, როგორც კოლხურ კოშკში ხანძრის გამჩენს და მიწასთან გამსწორებელს. მარტო ამიტომ უნდა აგოს პასუხი თენგიზ სიგუამ და მიცემული უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში!

დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახლის, არქივის, ბიბლიოთეკის განადგურებისთვის, დაწვისთვის და ხელყოფისთვის თენგიზ სიგუა უნდა დაისაჯოს!

ახლა მეორე ფაქტს გეტყვით. ამას პირველად ვამბობ! 1991 წლის დეკემბრის ბოლოს, როდესაც გაჩაღდა სამოქალაქო ომი, მე გახლდით გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი.

ნოდარ ლომოურმა და თენგიზ სიგუამ კიტოვანის კაბინეტში რომ შემაგდეს დასახვრეტად და საწამებლად – იქ ვნახე, როგორ აწამებდნენ ედიშერ გიორგაძეს! იქ ვნახე, როგორ ამცირებდნენ და აწამებდნენ მოხუც კაცს, გვარად დიდებულიძეს, რომელიც ქვეყნის სიყვარულის გამო იმხანად სულ მეწამულ, ღვინისფერ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დადიოდა მიტინგებზე!

თუმცა, იქ მოხდა სასწაული. კიტოვანმა მუზეუმში დარჩენა და ამით მუზეუმის გადარჩენა შემომთავაზა. კიტოვანი ხომ არის ცოცხალი? დაუკავშირდით მოსკოვში და ჰკითხეთ. მაშინ ჩემი მუზეუმის გარშემო ყველაფერი დაიწვა! დაიწვა პრეზიდენტის სასახლე! დაიწვა პირველი სკოლა! დაიწვა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტი! დაიწვა სასტუმრო „თბილისი“! განადგურდა მხატვრის სახლი და შედევრები! თვით ქაშუეთის ტაძარსაც კი ძლივს ამოუვსეს ნატყვიარები, ისე იყო დახვრეტილი!

განადგურდა პირველ სკოლაში განთავსებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის განათლების მუზეუმი! ეს არავინ არ იცის! მაგრამ ერთი ტყვია არა აქვს მოხვედრილი ლიტერატურის მუზეუმს, რომელსაც ვიცავდით მე და ჩემი თანამშრომლები! ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ხელმძღვანელმა, ცხონებულმა ლევან ჭილაშვილმა და მე გადავარჩინეთ ჩვენი მუზეუმები!

აი, ასეთი ცოდვა და უბედურება დაატრიალა თენგიზ სიგუამ საქართველოში! ჩამოაგდო პირველი პრეზიდენტი, დაამხო კანონიერი ეროვნული ხელისუფლება, გააჩაღა სისხლისმღვრელი, ძმათამკვლელი ომი, ჩაგვყარა „მოქალაქეთა კავშირის“ ხელში.

**- ბატონო გურამ, თენგიზ სიგუა ერთადერთი იყო, სხვათა შორის, იმ სამეულში, ვინც კატეგორიული წინააღმდეგი იყო შევარდნაძის აქ ჩამოყვანის...**

- მე შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ სიგუამ ეს ნაბიჯი გადადგა ერთი რამის გამო. მას შევარდნაძის თავიდან ჩამოცილება და მისი სავარძლის ხელში ჩაგდება უნდოდა. მას პირველობა უნდოდა! მან პირველობისთვის ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია და ამ პირველობის ტახტის ძიებაში არ უნდოდა შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში!

ჩვენ სიგუას საქართველო ვნახეთ, რაც იყო. სისხლის ტბებში ცურავდა მის დროს საქართველო.

**- რატომ მარტო სიგუასი, ბატონო გურამ? იოსელიანი, კიტოვანი, ლანჩავა, ყარყარაშვილი... მარტო სიგუა იყო ყველაფერში დამნაშავე? ასე ცალსახად ნუ შევაფასებთ მის როლს...**

- თანაბრად არ იყო ყველასი. მე ამიტომ ვარ ასე გაცეცხლებული, რომ ამან, ამ გაიძვერა სიგუამ, კიტოვანთან და იოსელიანთან შედარებით მაინც გადაირჩინა თავი და დღეს შემძვრალია ჩირგვებში და ყველა უბედურება სხვებს ბრალდებათ. კიტოვანი და ჯაბა ანგელოზები კი არ იყვნენ. პირიქით, იმას ვამბობ, რომ თენგიზ სიგუაც ისეთივე დამაქცევარია საქართველოსი, როგორც სხვები!

ან, რომ მაბრალებს, გურამ შარაძე არ მიიღეს აკადემიაშიო... ასეთი ტყუილი შეიძლება? მე ათი წლის წინ ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და ... მეტი რაღა უნდა ექნათ აკადემიკოსებს?!

აი, ასეთი ვერაგი და მატყუარა კაცია თენგიზ სიგუა!

**- ბატონო გურამ, ამ სამს დაუქცევია ქვეყანა და ეგაა... აბა, სხვები რომ იბრალებენ, ჩვენც გვეჭირა იარაღიო, თან, წეღან ნოდარ ლომოურიც ახსენეთ...**

- გეტყვით. მე ვნახე იქ ნოდარ ლომოური. ახლა მასაც შეუძლია პროვოკატორი მიწოდოს, მაგრამ მე მაშინ ვუპასუხებ: თქვენ, ბატონო ლომოურო! ისტორიკოსი რომ ბრძანდებით, როგორ გახდით შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმის დირექტორი? ერთი წერილი მაინც გაქვთ დაწერილი ქართულ ხელოვნებაზე ან მის ისტორიაზე? თქვენ როგორ გაბედეთ დიმიტრი შევარდნაძისა და შალვა ამირანაშვილის სავარძელში ჩაჯდომა? როგორ გაბედა ეს ამ ადამიანმა, რომელიც ტყვიით, სისხლით მოვიდა ხელისუფლებაში? ნოდარ ლომოური კამუფლიაჟში ჩაცმული, ავტომატით შეიარაღებული დარბოდა და აწამებდა ხალხს!

სიგუამ და კიტოვანმა ამ დამსახურებისთვის მისცეს ამ უვიცს თანამდებობა. ლომოური მათ პირველივე დღიდანვე გვერდში ედგა!.

თენგიზ სიგუა თავად არის პროვოკატორიც, ქვეყნის დამქცევიც და საქართველოს შაჰ-აბასიც. შაჰ-აბასი ბებიით იყო ქართველი და ეს კიდევ, ბებიით, ბაბუით, დედით, მამით ქართველი შაჰ-აბასია!

**- სერიოზული ბრალდებაა, ბატონო გურამ...**

- არ დამავიწყდეს. მე ბოდიში მინდა მოვუხადო თენგიზ სიგუას მეუღლეს, შესანიშნავ ექიმს! ბოდიში მინდა მოვუხადო სიგუას სიმამრს, ბატონ გრიგოლ ჟვანიას, ძალიან კარგ პროფესორს! კომუნისტი იყოო, მასზე ამბობენ. ნეტავ, გრიგოლ ჟვანიასნაირი კომუნისტები ბევრი იყოს საქართველოში! რაც მთავარია, მე გული მწყდება, რომ ვკარგავ ამ ხალხს. სირცხვილით როგორ შევხედო მათ... მე ხომ მათი ოჯახის წევრს, ქვეყნის დამაქცევარ თენგის სიგუას ნიღაბი ჩამოვხსენი!

ამაშიც უსინდისოა თენგიზ სიგუა, რომ მე შესანიშნავ პიროვნებას, გრიგოლ ჟვანიას მაკარგვინებს თავისი უტიფრობით, ჩემდამი ჩირქის მოცხებით!

**- ბატონო გურამ, საუბრის ბოლოს სხვა „შადიმანთა“ დასახელება მინდა გთხოვოთ...**

- ჩემო გიორგი, მე რომ დღეს სხვებზე ვისაუბრო, ჩვენ ამით გავაუფერულებთ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი შადიმანის პორტრეტს. მე დღეს ყველაზე ვერაგ ადამიანს ჩამოვხსენი ნიღაბი! მე დღეს თენგიზ სიგუა ვამხილე. ხვალ და ზეგ პატარ-პატარა შადიმანების ჯერიც დადგება!

**გიორგი მამაცაშვილი**

*„ასავალ-დასავალი“, 7-13 მაისი, 2007*

# მასწავლებელო სწორედ! დირექტორო სმენა! მანდატურო ნაბიჯით იარ!

ჩვენი სკოლა ნაციონალური აღლუმის მისაღებად მალე მზად იქნება.

ეროვნული ნიშნისა და ტრადიციების დამცველი დირექტორები სკოლებიდან გააპანღურეს, ახლა ჯერი მასწავლებლებზე მიდგა. მათ ადგილზე უნდა მოვიდნენ ნაციონალური სკებიდან ახლად გამოჩეკილი ბზიკები და ხარაბუზები, რომლებიც დაცლილი არიან „ენა, მამული, სარწმუნოების„ პათეტიკისაგან და მსოფლიო ნაციონალური მოქალაქის აღზრდას აქ საქართველოში შეეცდებიან.

ყოველდღიურმა დუხჭირმა ყოფამ, ნადირივით მხოლოდ საკვების შოვნაზე ფიქრმა – დღეს რა ვჭამოთ, ხვალ რა ვჭამოთო! – საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში ცხოველური ინსტიქტები წამოწია, ადამიანური მისწრაფებები ჩაკვდა.: დედები საკუთარ შვილებს ასახიჩრებენ, კლავენ, სანაგვეზე ისვრიან, ლამის ცოცხლად მარხავენ. და ეს არ არის ანომალიური, ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული შემთხვევები.

რას ნიშნავს ყოველივე? ისე მარტივად არის საქმე როგორც სურთ რომ მოგვაჩვენონ. სინამდვილეში სერიოზულ ემოციურ, ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ სტრესთან გვაქვს საქმე, რომლის მაშტაბები შემაშფოთებელ სახეს იღებს და რომლის უკანაც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე თავგადაკლული ნაციონალები დგანან. ეს მათ ააშენეს გარეგნული იდილიის ნიშნით შეფერადებული სახელმწიფო, რომლის ფასადს მიღმა ბედის ანაბარად მიტოვებული ადამიანები – თავის გადასარჩენად ყველაფერზე მიდიან. გაუსაძლისი სიღარიბე, უიმედობა, რიგით მოქალაქეების პიროვნული ტრაგედიები, პოლიტიკური ელიტის გაუმაძღრობა – ამ სახელმწიფოს მოუშუშებელი იარა გახდა.

თავისი მმართველობის დასაწყისში – ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძანა – მეო, ჩემს ელიტარულ ჩინოვნიკებს იმიტომ ვაძლევ უზარმაზარ ხელფასებს – ხალხის საჭიროებაზე იზრუნონ, მათ სამსახურში ამოხდეთ სულიო. რვა წელი გავიდა ამ პოსტულატის შემოთავაზებიდან და ვის ძვრება სული ამას ყველა ხედავს. მისი ელიტა საქართველოში წახამსებასაც არ კადრულობს, უბრალო ნემსის გასაკეთებლადაც ავსტრიის ყველაზე ძვირადღირებულ კლინიკებში გარბიან. რა თქმა უნდა ბებიებისა და ბაბუების დანატოვარი ქონების ხარჯზე, თორემ ხალხის ფულის ხელის ხლებას ესენი როგორ გაბედავენ! ჩვენი პრეზიდენტი ხომ ამაყად დგას სადარაჯოზე. ის ჩვენი ყველა „სიკეთის„ გარანტია, მაგრამ ღმერთო მომკალი, ხალხის ვარამით გულდათუთქულს ხანდახან ჩათვლებს ხოლმე; ამ დროს კი ვირთხები ბეღელს – (ახლებურად, ბიუჯეტს) შეესევიან. პრეზიდენტს კი თავისი სათაგური იმ ზომაზე აქვს მორგებული – მარტო წრუწუნებს თუ დაიჭერს.

ამიხსენით ბატონო ნაციონალებო! ხელისუფლებაში 8 წლის ყოფნის განმავლობაში, გარდა საკუთარი უზრუნველყოფისა, რომელი თუნდაც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალ–პოლიტიკური საკითხი გადაწყვიტეთ; ახლა ნება მომეცით შეგახსენოთ. 1. პენსია მიუხედავად ასაკის უცერემონიოდ გაზრდისა, არა თუ გაუტოლეთ სასიცოცხლო მინიმუმს, ის თქვენი მმართველობის დროს მასზე ორჯერ უფრო ნაკლები გახდა; 2. უმუშევრობა – არა თუ შეამცირეთ არნახული მაშტაბები მიეცით, რომელსაც ანალოგია მსოფლიოში არ მოეძებნება; 3. მიგრაცია, – ხუთ მილიონიან ქვეყანაში მილიონნახევარი მოქალაქე აიძულეთ სამშობლოდან გადახვეწილიყო; 4. მედიცინა – ასი ათასობით ადამიანი უსახსრობის გამო – ამ მომსახურების გარეშე დატოვეთ და სიკვდილისათვის გაწირეთ; 5. სახელმწიფო საზღვრები, არათუ დაიცავით, ოცპროცენტზე მეტი ტერიტორია პირწმინდად დაკარგეთ, პლიუს მცოცავი ანექსია, თქვენი დაუდევრობით დღესაც გრძელდება.

მთავარ გამარჯვებად ითვლით ჩვენ ხომ არ ჩამოვიშალეთ, კვლავაც ხელისუფლებაში დავრჩით – ამაზე დიდი მიღწევა რა უნდა იყოსო. აი, ასეთია თქვენი მოღვაწეობის სავალალო შედეგები, – ას მთავრობას ეყოფა გადასაყენებლად. მაგრამ თქვენ ქერის ორმოში კოტრიალობთ და რა შვილია საკუთარი ნებით, ან თუნდაც სირცხვილის გრძნობის გამო სადმე წახვიდეთ.

სამაგიეროდ! – იყო უკუნი და სიბნელე, მოვედით ჩვენ და განათლდა ყველაფერიო. შუქი გაქვთო – კი! გაზი გაქვთო – კი! ავტობანი გაქვთო – კი! შეღებილი ფასადები გაქვთო – კი! გამჭირვალე პოლიციის შენობები გაქვთო – კი! – ამ დროს ვიღაცამ იყვირა! ჯობდა ჯიბეები გქონოდათ გამჭირვალეო!. აიტ! ვინ თქვა ეს? ნაციონალებმა – თქვენი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, რომ დავეცემით, რაც გვიშოვია თქვენ არ დაგრჩებათ ყველაფერიო!? ქართველები ოცნებას მიეცენ – ეხ! ეს რომ ასე მოხდეს, – ქვეყანას იმდენი დარჩება ყველა პრობლემას მოგვიგვარებსო: გავისტუმრებთ ამათ შეხრამუნებულ მილიარდობით საგარეო ვალებს; გაიზრდება პენსიები და ის სასიცოცხლო მინიმუმს გადააჭარბებს; ნამდვილი ბიზნესმენები გათავისუფლდებიან ნაციონალური რეკეტისაგან და წილებში იძულებით ჩაჯდომისაგან; გაიხსნება მცირე და საშუალო საწარმოები – ხალხი დასაქმდება, მოისპობა უცხოური პროდუქციის ნაციონალური ლობი და მას გამონთავისუფლებული ქართული ჩაანაცვლებს; განახევრდება გადასახადები; ლტოლვილები დაუბრუნდებიან საკუთარ კერას; აღსდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; აღორძინდება ქართული სოფლის მეურნეობა; ბანკები არნახული პროცენტებით არ დაახრჩობენ გაუბედურებულ ადამიანებს; სკოლა – სკოლას დაემსგავსება და მის ხელმძღვანელებად ვერ მოხვდებიან სანტექნიკები, ზედამხედველები, გინეკოლოგები და გაურკვეველი პროფესიის სხვა ნაციონალები; ბოზოლა ნაციონალები შარშანდელი თოვლივით აორთქლდებიან და გაქრებიან; პატარა ნაციონალები კვლავ დაუბრუნდებიან ბაღებსა და სკოლებს, ვინ იცის, იქნება არ იყოს გვიან და მოხერხდეს მათი საზოგადოებისაკენ შემობრუნება; ხალხი გაიხარებს და მათ სახეებს დაუბრუნდება ჩვეული ღიმილი.

ამასწინათ, მათემატიკოსი მასწავლებელი, თავისი საქმის პროფესიონალი – მხოლოდ იმისთვის მოხსნეს რომ მეორე მასწავლებელს გამოესარჩლა, რომელსაც თურმე სასკოლო ჟურნალი დარჩა სამასწავლებლოში და მანდატურმა მისი დასჯა მოითხოვა. ვისმენდი ამას და ყურებს არ ვუჯერებდი. რა ხდება ამ სკოლებში? – ტერორითა და დასმენებით რისი მიღწევა სურთ? სკოლა ხომ ცოცხალი ორგანიზმია, მისი ემოციისაგან, ადამიანური ურთიერთობისაგან, ტოლერანტობისაგან, მოსწავლის ცელქობისაგან დაცლა მას საკონცენტრაციო ბანაკად გადააქცევს და შედეგი დამღუპველი იქნება. ან ვინ აღჭურვა ეს აპატარა გოგო–ბიჭები – იმ უფლებებით, რომ ღვაწლმოსილ პედაგოგებს თითები უქნიონ და მათი ბედი განაგონ. ასე იწყებოდა წითელი ტერორი ჩინეთში, როდესაც პატარა ხუნგეიბინები შეუსიეს ინტელიგენციას და დენ სიაო–პინის გამოჩენა რომ არა, ქვეყანას მიწასთან გაასწორებდნენ. ვის მოუვიდა აზრად, რომ ახლა აქ, საქართველოში – ქართველი ხუნგეიბინები მანდატურის სახელით სკოლებისათვის მიესია.

ხშირად წამიკითხავს, რომ თვითონ ცეერუს აგენტებს დარჩენიათ უაღრესად საიდუმლო, სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები სხვადასხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგრამ ამისათვის ისინი არავის ჩამოუხრჩვია.

უბედურება იმაშია, რომ ოროსანი მანდატურები, რომლებსაც მეექვსე კლასის მერე სკოლაში საერთოდ არ უვლიათ, მათ დამგეშავ ნაციონალებთან ერთად – დღეს ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკას განაგებენ და ეშმაკმა თუ უწყის რისი მიღწევა სურთ. ან რა აზრი აქვთ ჩადებული მანდატურის ყოველ ორ კვირაში ერთი სკოლიდან მეორეში – როტაციაში. სკოლა – ნაციონალებისათვის მტრის ბანაკია? სადაც შეგზავნილი შენი აგენტი ღმერთი არ გაუწყრეს და ვინმემ არ გადაიბიროს, თუ რა ხდება?.. სასაცილოა ღმერთმანი – ამათი აზროვნების ლაბირინთებში ფათური. მაინც მგონია, ეს მითითება ზემოდან მოდის. ცხადია, მას ცირკულარის ფორმა არ ექნებოდა, მაგრამ ციხის ზედამხედველს ეტყობა ზეპირი დირექტივა მისცეს, რომ სკოლა, სადაც ასეა თუ ისე ორმოც წელს გადაცილებულ „ჩარეცხილთა„ გარკვეული რაოდენობა ახერხებს და სამუშაო ადგილებს ინარჩუნებს, არ არიან საიმედონი ნაციონალური მოძრაობისათვის, ამიტომ მათი ჯაშუშების – მანდატურების ერთ ადგილზე დიდხანს დატოვება შეიძლება ცუდად აისახოს ამ უკანასკნელთა ფსიქიკაზე და უფრო ადამიანურები გახდნენ. შეიძლება – ხანდაზმულებს ავტობუსში ადგილიც კი დაუთმონ, რაც სრული ფიასკო იქნებოდა – ახალი ჯიშის დამბეზღებელ–ჩამშვებთა გამოყვანის საქმეში.

თავიდან მანდატურის ინსტიტუტი ნაციონალებმა საკმაოდ მომგებიანად შეფუთული შემოთავაზეს საზოგადოებას. მანდატურიო! სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას დაიცავსო. მართლაც მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეს. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ სწორედ აქ ვითომ „კეთილშობილური„ მიზნის უკან იმალება ნაციონალური მოძრაობის მესვეურთა შენიღბული ეშმაკობა.

ისმის კითხვა – ათასობით ავადმყოფი, მაწანწალა, მშიერი ბავშვები ჩვენს ნაციონალებს მარტო ტრიბუნაზე ახსენდებათ და მათთვის ხუთი თეთრის გამოყოფაც ენანებათ. ახლა კი თავი მოიქაჩლეს, მანდატურებისათვის მილიონები სასწრაფოდ გამოყვეს და სულ ვიშვიშით შეყარეს სკოლებში, აქაოდა მოსწავლეთა უსაფრთხოებამ ძალიან შეგვაწუხაო.

მოდით ვნახოთ – სად არის ძაღლის თავი ჩამარხული. ნაციონალების ეშმაკობის უკეთ გასაგებად, არც თუ ისე შორეულ წარსულში მოგვიწევს გადასვლა. ცნობილია, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოქალაქეთა კავშირს რომლის წიაღშიც აღიზარდნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიც, საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მცდელობაც კი მიუღწეველ ოცნებად იქცა. კავშირმა ჩაიგდო რა ხელისუფლება ხელში, – გაყალბების მანამდე გაუგონარი, ტოტალური მექანიზმების ამოქმედებით ფაქტიურად შინაარსი დაუკარგა – ისეთ აღიარებულ საკაცობრიო ცნებას, როგორიცაა ადამიანის ნების თავისუფალი გამოხატულება. მოქალაქეთა კავშირის ლიდერები, შემდგომში პრემიერად მოვლენილის მეთაურობით წყვეტდნენ არჩევნების გაყალბების მაშტაბებსა და პროცენტულ მაჩვენებლებს.

გაყალბების ამ ტოტალურ მექანიზმში სკოლას, თავის მასწავლებლებიანად, ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა. სკოლაზე გადიოდა არჩევნების გაყალბების მთავარი ეპიცენტრი. როგორც წესი, სწორედ სკოლაში იქმნებოდა – საარჩევნო უბნები, რომლის ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ დირექტორები, ხოლო მოქალაქეთა კავშირის კვოტით სკოლის დირექტორების მიერ შერჩეული პედაგოგები – კომისიის წევრებად. მათ კი სპეციალურ ტრენინგებს უტარებდნენ, როგორ უნდა გაეყალბებინათ არჩევნები. ვინ? ვინ და ისინი! ვისაც დღეს მამა აბრამის ბატკნებად მოაქვთ თავი.

შევჩერდები მხოლოდ ერთ მათგანზე, საიდანაც კარგად ჩანს არჩევნების, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის, მისი მთავარი დანიშნულებისადმი დანაშაულებრივი მიდგომა. კომისიის თავმჯდომარეს, ანუ სკოლის დირექტორს ეუბნებოდნენ: თუ ნახე, რომ საქმე ცუდად მიდის და ჩვენ ხმების იმ რაოდენობას ვერ ვიღებთ, რაც დაგეგმილი გვაქვს, არჩევნები, რომ დამთავრდება და საარჩევნო ყუთს დასათვლელად გადმოაპირქვავებენ – შენ, ჩვენგან მოცემული, წინასწარ შევსებული ხუთასი ბიულეტინი შეურიეო. გაკვირვებული სკოლის დირექტორის შეკითხვაზე, კი მაგრამ კომისიაში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც არიან და ისინი ამაზე ერთ ამბავს ატეხენო! პასუხი მარტივი იყო, დათვლა ხომ იცი? – კომისიაში უმრავლესობა შენ და შენი მასწავლებლები ხართ, რასაც უმრავლესობა გადაწყვეტთ ისე იქნებაო, შეყრა–შემოყრა არავის დაუნახავს – ოპოზიციას, როგორც წესი მუდმივად მოლანდებები აწუხებსო.

ხელისუფლებაში მოსვლით გახარებულმა და თავბრუდახვეულმა ბობოლა ნაციონალებმა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს გვიჭერს და სულ ასე იქნებაო. სტალინივით გადაწყვიტეს, საარჩევნო ცოდვების თანამოზიარე და თანამებრძოლი სკოლის დირექტორები – ვინმეზე რამით დავალებულები რატომ ვიყოთო, ერთიანად გასხიპეს. მადლობა თქვან – ციმბირი ჩვენი ტერიტორია, რომ არ არის თორემ ნახავდნენ სადაც ამოყოფდნენ თავს.

დროთა განმავლობაში – ქონების შოვნას დახარბებულ ნაციონალებს, ხალხი სულაც გადაავიწყდათ და მათდამი დაპირებული ოქროს ხუხულოებიც საპნის ბუშტივით შემოასკდათ ხელში. გამდიდრებულმა, თუმცა ხალხის წინაშე გაშიშვლებულმა ნაციონალებმა ისევ სკოლისაკენ დაიწყეს ყურება, – თუ გადავრჩებით, აქ გადავრჩებითო. ძველი დირექტორები სკოლიდან დაფერთხილები და მათ ადგილზე ნაციონალური იდეების ერთგული გამტარებლები რომ აღმოჩნდნენ, ეს რა თქმა უნდა წარმატებულ ნაბიჯად ჩათვალეს. მაგრამ მათდა სამწუხაროდ – ჯერ კიდევ ადგილზე დარჩნენ ძველი მასწავლებლები, მათ კი მშვენივრად ახსოვთ გადატანილი. ეს პედაგოგები დღეს ნაციონალებს უყურადღებობასა და უმადურობაში ადანაშაულებენ, ამაზე ხმამაღლადაც ლაპარაკობენ.

ამიტომ მისაღები ზომები დიადი და ნათელია. ციხის ზედამხედველს დაევალა ამ მასწავლებლებისაგან სკოლების გაწმენდა. სასურველია, რომ ეს ისე მოხდეს, პოლიტიკური ნიშნით დევნა თვალში საცემი არ იყოს. ვინაიდან წინ – ორი უმნიშვნელოვანესი არჩევნებია. მაგრამ ამავე დროს აქტიური ძველი პედაგოგები, რომლებსაც სხვებზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ – უნდა განიკვეთონ.

ასე რომ, თუ კი ნაციონალები ჩათვლიან, – მათი უსაფრთხოება სათანადოდ არ არის დაცული და პედაგოგების ნაწილისაგან რაიმე საშიშროება ემუქრებათ, არ გაგიკვირდეთ ყველა საეჭვო მასწავლებლებზე სათვალთვალოდ დამატებით ცალკე მანდატურები დაინიშნოს. ასე გაგრძელდება სანამ ეს ორივე არჩევნები არ ჩაივლის. თუ მოახერხეს და კვლავ შეინარჩუნეს ხელისუფლება, იმიტომ რომ ამ საქმეში ისეთ გონებამახვილობას იჩენენ, მეც კი მიჭირს ჩაწვდომა მაშინ, ამ მასწავლებლებს ძველი დირექტორებივით მასიურად მოისვრიან. მიზეზის მოძებნა არ გაუჭირდებათ – თუ გნებავთ იმ ყბადაღებული კომპიუტერისა და ინგლისურის ცოდნის მოშველიებით. მერე ადგებიან და საზეიმოდ გამოგვიცხადებენ – ჩვენი მცდელობა მოსწავლეებისათვის სკოლები უსაფრთხო გაგვეხადა მიღწეულია. მაშასადამე, მანადატურების სამსახური აწი აღარ არის საჭირო და მათაც დაფერთხილ პედაგოგებს მიაყოლებენ.

უცნაური ის არის, რომ მიუხედავად უმძიმესი სოციალური მდგომარეობისა, ნაციონალები ამ პრობლემას თავს ვერ დაადგამენ, საქართველოს მოსახლეობის 52%, როგორც ეს ბოლო გამოკითხვებმაც დაადასტურა, კვლავ ნაციონალებს უჭერს მხარს, – მელიას თავისი მახრჩობელა უყვარდაო. რა ახსნა უნდა მოეძებნოს ყოველივე ამას. ჩემი აზრით დიაგნოზის დასმა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. პირველი ის, რომ ჩვენი ოპოზიცია შუა საუკუნეების ქართველი ფეოდალებივით ცალ–ცალკე იბრძვიან და ხატზე რომ დააფიცოთ გაერთიანებას მაინც არ აპირებენ. მამელუქისა არ იყოს – იქნებ ფრანგების მოსყიდულია? და მეორე – ქართველი ამომრჩევლის დიდი ნაწილი ტოტალიტარიზმის სინდრომით არის ავად და ახლო მომავალში გამოჯამრთელების პირიც არ უჩანს. ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი კომუნისტურ იმპერიებში ცხოვრებას ქართველის ფსიქიკაზე უკვალოდ არ ჩაუვლია. ის დამფრთხალი და შეშინებულია, ყოველთვის უარესის მოლოდინშია. ამიტომ ყოველგვარ მოსალოდნელ ცვლილებას, თუნდაც სასიკეთოს ეჭვის თვალით უყურებს და გამუდმებით უკან იყურება. თუმცა, თუ ყელში ამოუვიდა და გამწარდა – შეჩვეულსაც გამოუდგება, როგორც ეს შევარდნაძის დროს მოხდა, მაგრამ არც ის დავიწყებია – ვაის რომ გაეყარა და უის შეეყარა. ხოდა ფიქრობს გამწარებული ქართველი, ახლაც იგივე არ დატრიალდესო. არა ბატონებო! შეგუებასა და უმოქმედობას ისევ მოქმედება ჯობია, ერთხელაც იქნება ჩვენც გაგვიმართლებს – თუმცა რამდენი რევოლუცია დაჭირდება ამას ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ უსათუოდ მოვიყვანთ სახალხო მთავრობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს პირადულზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს დააყენებს.

მანამდე კი, თუ ყველაფერი ნაციონალების გეგმით წარიმართა, ერთ მშვენიერ დღეს სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიტანენ ახალ საგანს – ქართული ნაციონალური მოძრაობის (ნეობოლშევიკების) ისტორია. ბოლშევიკების იმიტომ, რომ გარდა პირდაპირი ჩამომავლობისა სულ უმრავლესობაში უყვართ ყოფნა.

მე, ახლა იმ ჭკუაზე ვარ, თუ შემომთავაზებენ დავჯდებოდი (დაჯდომაში სკამი ვიგულისხმე) და დავწერდი ამ ნაციონალური მოძრაობის ისტორიას, მათი ბელადის თუ ფიურერის ბიოგრაფიის ჩათვლით.

**განათლებისა და გაყალბების ექსპერტი**

# ბერ გაბრიელს ქართველი მღვდლები არ აზიარებდნენ

**კითხვა: მამა გიორგი, ერთმა მოძღვარმა გვითხრა, რომ მამა გაბრიელი არ არის წმიდანიო, რადგან მასზე არ დაწერილა არც ტროპარი და არც კონდაკიო.**

**პასუხი:** მე ვერ გავიგე, რატომ გიხსენათ მან ტროპარ–კონდაკი?! განა ტროპარ–კონდაკი აქცევს კაცს წმიდანად?! ან კიდევ, ტროპარ–კონდაკი როგორ დაიწერებოდა ჯერ, როცა ეკლესიას ოფიციალურად არ შეურაცხვას გაბრიელი წმიდანად! მე არ ვიცი, რას ფიქრობს ის მოძღვარი გაბრიელზე, მარა ჩემს აზრს გეტყვით – გაბრიელი უდიდესი წმიდანია ღმერთის წინაშე, ის ღმრთისგან არის წმიდანი და ვინ და როდის დაწერს მასზე ტროპარს, ამას ჩემთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა! თუ გწამთ გაბრიელი, ევედრეთ მას და ნახავთ, თუ შეუშლის ხელს გაბრიელს თქვენს შეწევნაში ის, რომ მასზე ტროპარ–კონდაკის დაწერა ჯერ არ გადაუწყვეტიათ ზერელე და ურწმუნო ადამიანებს!...

**კითხვა: როდის გახდა მამა გაბრიელი წმიდანი?**

**პასუხი:** მამა გაბრიელი კი არ გახდა, არამედ დაიბადა წმიდანად! გასაგებია?! თქვენ ცოტა იცით და სხვებს ამოწმებთ... დალუპავთ სულს, ბაბუა!...

გაბრიელი წმიდანი იყო მაშინაც, როცა მას საქართველოში მღვდლები არ აზიარებდნენ! გასაგებია?!... ის მღვდელი იყო ღმერთის თვალში მაშინაც, როცა მას საქართველოში მღვდლები არ აზიარებდნენ! გასაგებია?!...



როდის უნდა გამოიღვიძოთ!... გაბრიელის დევნა არ უნდა იყოს ქართველი ერის ჩაკვირვებისა და სულიერი გამოღვიძების საგანი? ნუთუ ვერ ხვდებით რას გეუბნებით?! რა დღეში ვყოფილვართ და ვართ კიდევ ჯერჯერობით!...

გაბრიელს, ამ ჭეშმარიტად უდიდეს მოძღვარს, საქართველოში არ აზიარებდნენ!... მერედა ვინ, განა ისევ ქართველი სამღვდელოება არა?!.. განა ქართველი მღვდელმთავრებისაგან არ ჰქონდა აკრძალული მღვდელმსახურება?! რა დიდი განსჯა ამას უნდა. თავად ეს ფაქტი მეტყველებს ყველაფერზე!...

რაში იყო საქმე?! ვერ სცნობდნენ გაბრიელს, თუ ვერ იტანდნენ მას?! თუ იმას იტყვიან, რომ ვერ ცნობდნენ; აი მე რას გეტყვით: სასულიერო პირი იქნება ის ეპისკოპოსი თუ მღვდელი, რომელიც ვერ სცნობს და სულით ვერ გრძნობს წმიდანს, მიუხედავად იმისა, როგორადაც არ უნდა იქცეოდეს გარეგნულად წმიდანი, არ შეიძლება ჩაითვალოს სულიერ მოძღვრად! რადგან სულიერი ხედვა არ გააჩნია! ასეთ სასულიერო პირებს ცოდვილის სასუფეველში აყვანა არ შეუძლიათ, რადგანაც ისინი აქ მიწაზე, ვერ სცნობდნენ ჭეშმარიტების სულის მატარებელს!... ამიტომ ვერავინ სასულიეროთაგან, რომელმაც გაბრიელი ვერ იცნო, ვერ იმართლებს ამით თავს.

ახლა ვთქვათ მეორე – გაბრიელი ბევრმა იცნო კიდევაც, მაგრამ დევნიდნენ სწორედ იმიტომ, რომ არ იყვნენ მისი სულის, რადგან კომპარტიას დამორჩილებულ სასულიერო პირებზე, რომლებსაც, ღმერთზე მეტად ცეკას მდივნების და „კაგებეს„ შიში ჰქონოდათ, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების სული არ დაივანებდა!

გაბრიელი ებრძოდა ბოროტებას მაშინ, როცა ქვეყანა ბოროტების ხანაში იმყოფებოდა, და როცა სასულიერო პირები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ!... გაბრიელის ცხოვრება და მოღვაწეობა უდიდესი მოვლენაა! და მის პიროვნებას სულიერი მოძღვრები უნდა აცნობდნენ და ასწავლიდნენ ერს და არა ისე, ერთი–ორჯერ რომ ახსენებენ – „გაბრიელი წმიდანი იყოო„ – კი არ იყო, არამედ არის! გაბრიელ ბერი „ჩავლილი მატარებელი„ ნუ ჰგონიათ. ღმერთი აწი განაბრწყინებს მას მთელი დიდებით და თან ყველას მოსთხოვეს პასუხს მის დევნა–შევიწროებაზე. ისე, „გემოზე„ გაბრიელის დევნას ვერავინ მიჩქმალავს!... ვერც მის ღვაწლსა და სწავლებას მიაჩუმათებენ ისე, როგორადაც ეს მათ სურთ!...

გაბრიელის ძალა ყველას აქვს თავის თავზე გამოცდილი, კეთილსაც და ბოროტსაც. კეთილი ვერ ბედავდა გაბრიელზე რამეს თქმას, ბოროტი კი მძვინვარებით ანთხევდა გესლს. კიდევ ვიმეორებ – გაბრიელის ცხოვრება უნდა იქნეს სათანადოდ შესწავლილი და უნდა განემარტოს ხალხს მისი ღვაწლის ძირითადი არსი. რადგან იშვიათად არის ცალკე აღებული წმიდანი, რომელსაც ეგზომ რთულ და ბოროტ დროს ასეთი მძიმე ჯვარი და მისია ეტვირთოს ერის ცხოვრებაში.

შიმშილი, ტკივილი, სიცივე, უსახლკარობა, გლახაკობა, ქუჩა–ქუჩა წანწალი, ლანძღვა–გინება, საგიჟეთი, ციხე და დევნაგამოვლილ გაბრიელზე ისე, სასხვათაშორისოდ, უფრო კი საკუთარი „სულიერი ღირსების„ ხაზგასასმელად, რომ საუბრობენ ტანჯვაგამოუვლელი, ახალგაზრდა, ლამაზად და კოხტად მოწყობილი და თბილ ტაძრებში მლოცველი სასულიერო პირები, გული ლამის არის ამოვარდეს!...

გაბრიელ ბერი ხშირად იტყოდა გულგატეხილი – „მე ვერ გამიგო, ქართველმა ერმა„. ეს „ვერ გამიგო„ იმას კი არ ნიშნავდა, რომ დიდებასა და პატივს ითხოვდა ვინმესგან, ან ქონებასა და თანამდებობას!

გაბრიელის რომ არ ესმოდათ, დღესაც ნათლად არ ჩანს?! ბევრს წერენ გაბრიელზე, და წერენ საზოგადოების მიერვე წმიდანებზე შექმნილი „ჩარჩოების„ ფარგლებში, არა აქვთ შეტანილი ის მთავარი, რისთვისაც იბრძოდა გაბრიელი. წერენ მის სასწაულებზე და ასეთი სასწაულები სხვა წმიდანებსაც ბევრი ჩაუდენიათ. მე ყველა წიგნი და გამოცემა წავიკითხე გაბრიელზე და გეტყვით, ბევრი რამ მისი გამონათქვამებიდან შეგნებულად არ არის შეტანილი. ბევრი კიდევ გადაკეთებულია და მორგებული „ცენზურას და ჩარჩოებს!..„ ანნუ დაწერ და თუ დაწერ, უნდა გეყოს სულიერი ვაჟკაცობა, დაწერო ისე, როგორადაც ეს თავად გაბრიელს გამოუთქვამს. მას თქვენი დახმარება და შელამაზება არ სჭირდება, მას არაფერი ეშლებოდა!... ის არასოდეს მოქცეულა ოფიციოზის ჩარჩოებში და მის გამონათქვამებს სათქვენოდ ნუ გამოიყენებთ, თორემ პასუხს აგებთ!...

გაბრიელს არ ეშლებოდა, როცა ამბობდა: „ღმერთს სამყაროში ყველაზე წმიდა ადგილი სასუფეველი აქვს, ხოლო აქ, დედამიწაზე – სვეტიცხოველი„. იერუსალიმი მან თქვენზე ადრე იცოდა... თქვენ ნუ „ეხმარებით„ გაბრიელს „წესის„ დაცვაში, მან იცოდა, რას ამბობდა, ეს თქვენ არ იცით, ის რას ამბობდა!... და რომ არ იცით და არ მოგეწონათ, „შეუსწორეთ გაბრიელს?!„ თუ არ გესმის გაბრიელის და არ იცი ვინ არის, რატომ წერ მასზე?! სასჯელის საქმეა ეს!...

დღეს „დამკვეთები„, ისე ალაპარაკებენ ბევრს გაბრიელზე, როგორც ეს თავად აწყობთ!... მათ სურთ ისეთი გაბრიელი გააცნონ საქართველოს როგორიც მათ აწყობთ!... მაგრამ იცოდეთ: გაბრიელს ვიცნობდით ჩვენ და მე ვიცი ვინ არის ის!... სხვაა მისი ცნობა და სხვაა მისი „ნახვა„. სხვაა მისი გაგება და სხვაა მასთან სიარული!... სხვაა მისი საქმის ერთგულება და სხვაა საფლავებზე ყვავილების მიტანა და თუნდაც საფლავის მოვლა! გაბრიელს რომ მხოლოდ ისე ექადაგა, როგორც ეს „ცენზურაგამოვლილ„ წიგნებში იწერება, რა იქნებოდა იქ გაუგებარი?!... მაგრამ გაბრიელმა ისე იქადაგა, როგორც ღმერთმა აქადაგა. ამიტომ იძახდა მამა გაბრიელი, „მე ვერ გამიგო ქართველმა ერმაო„. და რომ ღმერთმა აქადაგა, ვინ უნდა გაბედოს მისი სიტყვების „გადასინჯვა„, „გაფილტვრა„ და საზოგადო ნორმებთან მისადაგება?!

ვინც „ტყავს„ უფრთხილდება და არა სულს, ვაფრთხილებ: გაბრიელი მალე გამოჩნდება!... გაიგეთ ეს სიტყვა როგორც გინდოდეთ, მე კი ვიცი რასაც ვამბობ!...

გაბრიელის ქადაგებებს მალე განგიმარტავთ ის, ვისაც ყველაზე მეტად ესმის მისი – ვინც თავად გაბრიელის გამოზრდილია!... გაბრიელს წარმოაჩენს ის, ვისაც მიეცა ამის უფლება ღმერთიდან და არა ისინი, რომლებიც დავალებით ცდილობენ და ეცდებიან ამის გაკეთებას!...

ერთი მოვიდა ჩემთან და გამოკითხვა დამიწყო: „თქვენ როგორ და საიდან იცნობდით მამა გაბრიელს... მე მასთან არასოდეს მინახიხართო!„.. თავხედი!... ის გაბრიელთანაც დავალებით დადიოდა და ჩემთანაც ესე მოვიდა, საცოდავი!...

გაბრიელი, თქვენთან მჯდომი, კელიიდან გაუსვლელად, ისე მოივლიდა სამყაროს, რომ თქვენ ამის „გაგებაშიც„ არ იყავით. ის ელაპარაკებოდა სულიერად წმიდანებს ამერიკაშიც, მაშინაც კი, როცა თქვენს საუბარს ისმენდა, ხორციელად თქვენ წინ მჯდომი!... გასაგებია?!

გაბრიელის მადლი ოდნავადაც რომ შეეშვა სულში იმ უტიფარს, ასეთ კითხვას რავა დამისვამდა, არამედ სულით მიცნობდა მეც! მარა, რა უნდა ეცნო, როცა სულგაყიდული იყო!...

კითხვა: თქვენ როგორ უყურებთ დიდგორზე ფილმის გადაღების იდეას? და თუ ეს იდეა თქვენთვის მისაღებია, დავით მეფის როლზე ვის მოიაზრებდით?

პასუხი: ეგ ფილმი დიდგორზევე იქნა გადაღებული წმიდანების მიერ!... და ეს რეალური ფილმი წმიდანების „არქივშია„ შენახული. ამიტომ რეჟისორს ევალება, გახდეს ნამდვილი და ამით შეაღწიოს ამ „არქივში„... ახლა კი, ცოდვილები ცდილობენ, გადაიღონ მხატვრული ფილმი...

არ წაგიკითხავს წმიდა მამის სიტყვა, სადაც ის აღწერს მიცვალებულის სულს მცირე სასამართლოზე, თუ როგორ ანახეს მას მთელი თავისი მიწიერი ცხოვრების ჩანაწერი. თუ ანახეს, ესე იგი, ყოფილა ჩაწერილი! სხვათა შორის, თუ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება იწერება წმიდანებისა და ანგელოზების მიერ, მით უმეტეს, ჩაიწერებოდა ისტორიული მოვლენები, დიდი პიროვნებები და საღვთო ომი. ამის დაჯერება თქვენ გიჭირთ, თორემ, აი, რას გეტყვით: დღეს ჩვენში არის ერთი ნამდვილი მღვდელმთავარი, რომელსაც დიდგორის ომის რეალურ ფირზე „მიუწვდება ხელი„. იგი დიდ ძალას ფლობს ღმერთიდან და შეუძლია, მომავალი რეჟისორი „ჩაახედოს„ რეალური ბრძოლის ეპიზოდებში, ასეთი ფრაგმენტები რეჟისორს საკმარისზე მეტ წარმოდგენას შეუქმნის იმ ბრძოლის დეტალებზე, ეპოქის თავისებურებებზე და თავად დიდგორის გმირზე – დავით მეფეზე!

წმიდანებს შეუძლიათ, ისტორიიდან „ამოგლიჯონ„ ეს „ფირი„ და პირდაპირ უჩვენონ ხალხს ფილმის სახით, მაგრამ დღევანდელი ცოდვილი ადამიანი უბრალოდ ვერ გაუძლებს მაშინდელი ომის საშინელებას! ბევრი ამას არ დაიჯერებს, ბევრი კი იტყვის: – „თუ გიორგიმ იცის, დაგვისახელოს კიდევაც ეს მღვდელმთავარიო„. მაგრამ ასე არ ხდება. ბევრი დაფარული დრომდე არ მჟღავნდება!...

ამ ფილმს მაინც გადაიღებენ და გადაიღებენ ნამდვილები! მსოფლიო „დაიშოკება„ დიდგორზე დავითის ძლიერებით!

**მამა გიორგი (მოწამეთელი)**

*წიგნიდან „თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი„*

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***

**რედაქტორი** ლეილა ცომაია